რითიც ჩავიდა, იმით დაბრუნდება შევარდნაძე სოჭიდან A3

ევროისტორია A8

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 7 მარტი, 2003 წელი. №64 (276)

ფასი 50 თეთრი

### კულუარები

**„ალორძინებაში" „მხედრიონელები" და „ზვიადისტები" ერთად გამოჩნდნენ**

პარტიები თუ ალიანსები არჩევნებისთვის მარტო პოლიტიკურად ან ფინანსურად არ ემზადებიან. უდიდესი ყურადღება “ძალისმიერ” მომზადებაზეა გადატანილი. სხვებს, როგორც ჩანს, არც “ალორძინება” ჩამორჩება. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს პარტიის თბილისის ორგანიზაციაში ყოფილი “მხედრიონელის”, დავით ჯაფარიძის გამოჩენა გვაძლევს.

A2

### ეკონომიკა

**საბითუმო ბაზარი ნახევარ საქართველოს აბნელებს**

*საბითუმო ბაზარი დღეს დილის 10 საათიდან გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას (გსკ) ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტს. ამით ელექტროენერგიის გარეშე დარჩება საქართველოს ყველა რეგიონი - თბილისის, კახეთისა და აჭარის გარდა. გსკ-მ, რომელმაც გუშინ ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო 500 ათასი ლარი ვერ შეაგროვა, საბითუმო ბაზრის ასეთი მკაცრი გადაწყვეტილების შეჩერება ვერ შეძლო.*

A4

### უცხოეთი

**სომხეთი არჩევნების მეორე დღეს**

"გუშინდელი არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა. ჩვენ იმედგაცრუებულები ვართ, უკეთესს მოველოდით", - ამ სიტყვებით დაიწყო სომხეთში ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა პიტერ აიხერმა პრეს-კონფერენცია.

A5

### საზოგადოება

**„ლეიბორისტები„ საოლქოდან უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლებენ**

შალვა ნათელაშვილი თბილისის მოსახლეობისთვის მხოლოდ ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებასთან როდი იგივდება. ელექტროენერგიის საფასურის პარალელურად, იგი წყლის ტარიფის შესამცირებლადაც კარგა ხანია აქტიურად იბრძვის. თუმცა, - საკრებულო და სასამართლო ხელს არ მიწყობენო, - ჩივის ის.

A6

### სამართალი

**გატაცებებისთვის დაკავებულებს გატაცებები არ ბრალდებათ**

შინაგან საქმეთა სამინისტრო საჯაროდ აცხადებს, რომ ბოლო ხანებში იმერეთში მომხდარი გახმაურებული გატაცებები გახსნილია და გამტაცებელთა ნაწილი, კერძოდ, ოთხი კაცი, დაკავებულია. იმერეთის საოლქო პროკურატურაში კი, სადაც ამირან ნაცვლიშვილისა და გიორგი სარდანაძის გატაცებებთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს იძიებენ, ასეთი კატეგორიული განცხადებების გაკეთებისგან თავს იკავებენ.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | ❄ |
| ქუთაისი | 12 | წვიმა |
| ბათუმი | 10 | წვიმა |
| სოხუმი | 12 | წვიმა |
| ფოთი | 12 | წვიმა |
| თელავი | 10 | ❄ |
| ზუგდიდი | 12 | წვიმა |
| გორი | 7 | ❄ |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1601 |
| ევრო | 2.3670 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4609 |
| რუბლი | 0.0684 |

# ვის სჭირდება ასეთი პოლიცია

## რომელიც არ იცავს ხალხს და არ იცავს კანონს



ბესო გულაშვილის ფოტო

*ლევან მაისურაძის და ზურაბ ჩხაიძის პრესკონფერენცია.*

სოფიკო ჩხაიძე

*ვის ან რას იცავს ქართული პოლიცია? როგორც აღმოჩნდა - ვერავის და არაფერს. პოლიცია ვერ ახერხებს, დაიცვას საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოება და სავალდებულოდ არ მიიჩნევს, დაიცვას კანონი.*

გუშინწინ მიხეილ სააკაშვილმა ქართველ სამართალდამცველებს რთული კრიმინოგენული სიტუაციის გამოსასწორებლად ერთი თვის ვადა მისცა; წინააღმდეგ შემთხვევაში, შს მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის დასმით, ან საერთო-სახალხო მღელვარებით დაიმუქრა.

გუშინ კი, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ზურაბ ჩხაიძემ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებებზე პასუხის გაცემა, სამინისტროს ღირსების დაცვა და მიხეილ სააკაშვილისთვის საპასუხო დარტყმის მიყენება სცადა. თუმცა, ვერც მან და ვერც მისმა ხელმძღვანელმა ვერ გაითვალისწინეს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრებს ჩხაიძის მჭერმეტყველება ცუდად აქვთ დაცდილი. თავის დროზე, ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, ზურაბ ჩხაიძის ადვოკატობამ ბევრით ვერ გაუხანგრძლივა მინისტრობა კახა თარგამაძეს. როგორ აისახება პირველი მოადგილის გულახდილობა ახლანდელი შინაგან საქმეთა მინისტრის კარიერაზე, ძნე-

გაგრძელება A7 გვერდზე

## ქვეყანა კონტრაბანდას მიაქვს

### გოგიაშვილი მებაჟეებს ცოცხალი თავით არ თმობს

სოფო კვინტრაძე

*პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტმა საბაჟო დეპარტამენტის საქმიანობა შეისწავლა, რის საფუძველზეც, კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე მწვავე განცხადებებს აკეთებს. სალარიძის მონაცემებით, საქართველოში შემოსული სხვადასხვა სახის პროდუქციის თითქმის ნახევარი კონტრაბანდულია. საბაჟო დეპარტამენტი კი გეგმას წინასწარ ამოღებული გადასახადებით ასრულებს. დავით სალარიძის განცხადებით, საბაჟო სამსახურებში გაუნათლებელი ხალხია დასაქმებული, რომლებიც ამ ორგანოში ჯიბის გასასქელებლად მიდიან.* ***“ასეთ პირობებში, საბაჟო დეპარტამენტის უფროსს ბატონ ასლანიკაშვილს მეტი გამჭრიახობა მართებს!”*** *– აცხადებს სალარიძე. დღეს კი, საბაჟო აკადემიის შენობაში მებაჟეების ატესტაცია იწყება.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## პილატე, ფარისევლები და მემარჯვენე სოციალისტები

გიორგი ასანიშვილი

*მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას სახელისუფლებო ფრაქციები ეჭვის ქვეშ აყენებენ და გულმოდგინედ ცდილობენ, ზურაბ ჟვანიას გუნდს "ტექნიკური დამარცხება" ჩაუთვალონ. "სამართლიანობის აღდგენის" მანტიამოსხმულ "სოციალისტებს" სურთ, ოპოზიციასთან ანგარიშსწორების მთავარ იარაღად საპროცედურო საკითხებისა და წესების საპარლამენტო კომიტეტი გამოიყენონ და საკანონმდებლო ორგანოს მიერ 28 თებერვალს მიღებული კანონი მისი ხელით მოაშთონ. მითუმეტეს, აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლიძე თანახმაა, ნებაყოფლობით იკისროს ეს როლი და აცხადებს: "თუ კომიტეტი არ დაადასტურებს კენჭისყრის დროს მომხდარ დარღვევებს და შესაბამის დასკვნას მხარს არ დაუჭერს, მაშინ ამ საკითხს პლენარულ სხდომაზე პირადად გავიტან".*

გაგრძელება A2 გვერდზე

# კიტოვანი თბილისში აპირებს ჩამოსვლას

### "მე და ჯაბამ საქართველო დემოკრატიის რელსებზე დავაყენეთ, შევარდნაძემ კი იგი პოლიციურ ქვეყნად გადააქცია"

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში მცხოვრებმა საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თავისი პრესკონფერენცია ჯაბა იოსელიანის ხსოვნას მიუძღვნა. "ჯაბა იოსელიანის როლი საქართველოს ისტორიაში" - ასეთი იყო ჟურნალისტებთან საუბრის თემა.

**"მე და ჯაბამ საქართველო დემოკრატიის რელსებზე დავაყენეთ, შევარდნაძემ კი იგი პოლიციურ ქვეყნად გადააქცია,"** - განაცხადა კიტოვანმა და ჟურნალისტებს მოკლედ გააცნო, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, საქართველოში მომხდარი მოვლენები. კიტოვანის აზრით, საქართველოში შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ, მოვლენები ამერიკული სცენარით განვითარდა. და არა ისე, როგორც ეს ქართველ და რუს ხალხებს სურდათ.

**"მე მაქვს იმის უტყუარი ინფორმაცია, რომ კრემლი თავიდანვე არ იყო აფხაზეთში ომის გაჩაღებით დაინტერესებული. საქმე ისაა, რომ შევარდნაძემ აფხაზეთში ნატო-ს ჯარების შესვლის ალბათობა ჯერ კიდევ მაშინ გათვალა. 1992 წლის 3 სექტემბერს ჩვენ,**

გაგრძელება A3 გვერდზე



საქინფორმი

*ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი პირველი მოწვევის პარლამენტში.*

## რატომ არ ხორციელდება რეფორმა პოლიციაში

ლევან იზორია
*სამართლის დოქტორი, თსუ-ს სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის დოცენტი, მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში პრაქტიკულად მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა. ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად თვალშისაცემი და, ამასთან ერთად, არაფრის მომცემია, არის სახელის შეცვლა. კერძოდ, მილიციას დაერქვა პოლიცია. ასეთი სახეცვლილებები ახასიათებს შსს სისტემაში აქამდე განხორციელებულ "რეფორმებს". მას არაფერი აქვს საერთო ძირეულ ცვლილებებთან. ამიტომ გამართლებული იქნება, თუკი მის აღმნიშვნელ სიტყვას უბრალოდ კოსმეტიკას დავარქმევთ.

დღეს მოქმედი პოლიცია საბჭოთა მილიციის ტრადიციებს ემყარება. შინაარსობრივად სახეზეა ძველი კანონმდებლობა, მუშაობის საბჭოთა სტილი. სამაგიეროდ, განსხვავება შეიმჩნევა კორუფციის ასპექტში, მაგრამ ისიც არა მდგომარეობის გაუმჯობესების, არამედ გაუარესების თვალსაზრისით. მცირე ხელფასების ფონზე, პოლიციამ ახალი რეპრესიული ფუნქცია შეიძინა, კერძოდ, ფულზე ნადირობის, ანუ გამოძალვის სახით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღევანდელი პოლიცია, საბჭოთა მილიციისაგან განსხვავებით, მრავალი განზომილებით გახდა უფრო რეპრესიული.

პოლიციის ამ გაზრდილი რეპრესიული "ფუნქციის" ფონზე სისტემაში სახეზეა კორუფციის არნახული მასშტაბები. სისტემას ირონიით ფულის გადამამუშავებელ კომბინატსაც უწოდებენ, სადაც თავად პროდუქციის დამზადების ტექნოლოგია გამოძალვის მეთოდებით წარმოებს. შესაბამისად, კომბინატში წარმატებულია მხოლოდ ის, ვინც გამოირჩევა განსაკუთრებული ძალმომრეობით. ეს სისტემა პიროვნების მორალურ სახეს ხრწნის.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ბორის პასტუხოვი "სარფიან პენსიაზე" გაუშვეს

### იქნება თუ არა შემობრუნება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში?

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

ბოლო დროს, მოსკოვში, ბევრს ლაპარაკობდნენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დარეგულირების რაღაც საიდუმლო გეგმაზე, აფხაზეთის მიმართულებით პრეზიდენტ პუტინის პირად ინიციატივებზე, კრემლსა და საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას შორის უშიშროების საბჭოების დონეზე მიღწეულ საიდუმლო კონსესუსზე.

ალბათ, ამ საუბრების გავლენით, გუშინ მოსკოვის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი, ერთი შეხედვით, პროზაული გადაადგილება ყველამ ისე მიიღო, როგორც აუცილებელი რეალობა.

გუშინ გაჩნდა ინფორმაცია რუსეთის პარლამენტის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ბორის პასტუხოვის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ბორის პასტუხოვი უახლოეს მომავალში შეიძლება გახდეს რუსეთის სამრეწველო-სავაჭრო პალატის თავმჯდომარის, ევგენი პრიმაკოვის მოადგილე.

მოსკოველმა დამკვირვებლებმა უმალ გაიხსენეს ევგენი პრიმაკოვისა და ბორის პასტუხოვის ძველი მეგობრობა. ექსპერტებმა მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნეს ისიც, რომ პუტინს ეს საკადრო ცვლილება კრემლზე მაღლა მდგომმა ძალებმა უკარნახეს. პასტუხოვის გადაყენების თაობაზე ითქვა ისიც, რომ ევგენი პრიმაკოვი კრემლმა ამ სიტუაციაშიც “სწრაფი რეაგირების ძალად” გამოიყენა და, პასტუხოვს გული რომ არ დასწყვეტოდა, სარფიან პენსიაზე გაუშვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ევროისტორია

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV-პროგრამა B8 სხვადასხვა

# მშვიდობიანად გადაადგილებული აქცია მშვიდობისათვის

## ქართველი პაციფისტები მესამე მსოფლიო ომის წინააღმდეგ

ნანა ბასილაშვილი

ერაყში მოსალოდნელი ომის წინააღმდეგ, თითქმის, ყველა ქვეყანაში გამართულ საპროტესტო აქციებს გუშინ საქართველოც შეუერთდა.

პაციფისტთა აქცია თავდაპირველად პარლამენტის შენობის წინ უნდა გამართულიყო, მაგრამ აქციის ორგანიზატორებსა და მათ მხარდასაჭერად მისულებს პოლიციისგან ეუწყათ, რომ რუსთაველის გამზირზე და სახელმწიფო კანცელარიასთან აქციებისა და მიტინგების გამართვა იკრძალება. **"ჩვენ ეს ძალიან თავაზიანად აგვიხსნეს და ჩვენც არანაკლები ზრდილობით გავუგეთ - არ დაგვიწყია ჭიდაობა და, რადგანაც ეს ძალადობის წინააღმდეგ მოწყობილი, მშვიდობიანი აქცია იყო, ჩვენი მხრიდან ძალადობა გაუმართლებელი იქნებოდა",** - მითხრა აქციის ერთერთმა ორგანიზატორმა ბასა ჯანიკაშვილმა. პოლიტიკური კონცერტის მონაწილეებმა და გულშემატკივრებმა, თავიანთი მისიის შესასრულებლად, მშვიდობიანად გადაინაცვლეს ალექსანდრეს ბაღში.

აქციის ორგანიზატორები ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსები, ხელოვანები და მწერლები იყვნენ - ბასა ჯანიკაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, შოთა იათაშვილი, ზურა რთველიაშვილი, ბაკურ ბურდული, კახა ცისკარიძე, ზაზა ხუციშვილი, ვახო ბაბუნაშვილი, სტეფანე და სხვები. ანტისაომარ აქციას მხარს უჭერდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები - "მწვანე ალტერნატივა", "მოძრაობა ღირსეული მომავლისთვის", "კომპიუტერული მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრი", "წამების მსხვერპლთა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრი", "მწერლებისა და ხელოვანების არაფორმალური გაერთიანება". ორგანიზატორებს აქციაზე არც ერთი პოლიტიკოსი არ მიუწვევიათ.

ალექსანდრეს ბაღში შეკრებილ ქართველ პაცეფისტებს ორი მარტივი მოთხოვნა ჰქონდათ: "არ გვინდა ომი" და "არ გვინდა საქართველოს ტერიტორიიდან სხვა ქვეყანა დაიბომბოს".

**"ჩვენ შევიკრიბეთ იმიტომ, რომ პროტესტი გამოგვეთქვა ერაყში მოსალოდნელი საომარი მოქმედების გამო და მეორე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არ გვინდა ჩვენი ქვეყანა გახდეს ამერიკის შეერთებული შტატების ბაზა. არ გვინდა, ჩვენი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ავაგოთ",** - აცხადებდნენ აქციის ორგანიზატორები.

მშვიდობიანი აქცია მშვიდობისათვის მუსიკალური, პოეტური და სხვა შემოქმედებითი გამოსვლებით აღინიშნა. ორგანიზატორები აქციაზე მისულ ყველა გულშემატკივარს მადლობას უხდიდნენ. მართალია, მათი რიცხვი არც ისე დიდი იყო, მაგრამ ეს არც ყოფილა ანტისაომარი თავყრილობის მიზანი.

# "ეროვნული თანხმობის კავშირის" პასუხი "აღორძინებას"

*რამდენიმე დღის წინ "აღორძინების კავშირმა" გააკეთა განცხადება, თითქოს "ეროვნული თანხმობის კავშირი" მასთან ბლოკის შექმნას აპირებდა. ამასთან დაკავშირებით, "ეროვნული თანხმობის კავშირმა" საგანგებო ბრიფინგი მოაწყო.*

ბელა მახარაძე

"ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირი" გამორიცხავს ყველანაირ შესაძლებლობას, რომ "აღორძინებასთან" ბლოკს შექმნის. ნემო ბურჭულაძე ამბობს, რომ ისინი არ აპირებენ არც ერთ პარტიასთან გაერთიანებას, რადგან მათ აქვთ საკუთარი ძალისა და იმ ხალხის იმედი, რომლსაც ახსოვს მათი ხელისუფლებაში ყოფნისა და მუშაობის პერიოდი. **"ბლოკებში შედიან ის პარტიები, რომლებსაც ეშინიათ ბარიერის გადალახვის,"**- დასძენს ნემო ბურჭულაძე.

კავშირის წევრები აცხადებენ, რომ მათი პარტია არის ერთადერთი, რომელსაც რეალურად შეიძლება ოპოზიცია ეწოდოს. "**ჩვენ ოპოზიცია ვართ ჯერ კიდევ იმ დროიდან, ვიდრე ისინი ხელისუფლებაში მოვიდოდნენ. ჩვენ ვართ არათუ ოპოზიცია, არმედ ალტერნატივა და სამართლიანი ხელისუფლება,**"- ამბობს ბურჭულაძე. მათ 1 მარტს იგივე უთხრეს იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც მათთან საარჩევნო კანონის შეთანხმებასთან დაკავშირებით იყვნენ მიწვეულნი.

კავშირი ქვეყნისათვის სასიცოცხლო და აუცილებელ პრობლემებზე ითანამშრომლებს ყველა ოპოზიციურ პატიასთან და ეროვნულ ძალასთან. ისინი კიდევ ერთხელ მოუწოდებენ ყველა მოქმედ პოლიტიკურ ძალას, მიიღონ სამართლიანი საარჩევნო კანონი.

კავშირის წევრებს არ უკვირთ, როცა იგებენ იმის მსგავს განცხადებებს, როგორიც "აღორძინებამ" გააკეთა, რადგან მათი პარტია დღითი დღე ძლიერდება და, ნემო ბურჭულაძის განცხადებით, ამ პარტიებისათვის მომგებიანიც კი იქნება მათთან გაერთიანება, რადგან კავშირი დიდი პოპულარობით სარგებლობს ხალხში.

ნემო ბურჭულაძე გამოთქვამს სურვილს, გაერთიანდეს მთელი ოპოზიცია და საერთო ძალით ებრძოლონ "მავანს".

რამდენიმე ორგანიზაციამ გამოთქვა სურვილი მათთან გაერთიანებისა. ნემო ბურჭულაძე იმედს გამოთქვამს, რომ კიდევ გამოჩნდებიან მსურველები, რომლებიც დღეს სხვადასხვა პარტიებში არიან გადანაწილებულნი. მას მაგალითად მოჰყავს "ნაციონალური მოძრაობის" წევრი ზვიად ძიძიგური.

# კობახიძე მუშტებს ოთხი წლის შემდეგ იქნევს

*2003 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე ქრისტიან-დემოკრატიულმა ალიანსმა 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ჩადენილი კანონდარღვევების გამომზეურება გადაწყვიტა. სახალხო პარტიის განაყოფი გასული საპარლამენტო არჩევნებისას დაფიქსირებულ დარღვევებს "მოქალაქეთა კავშირს" და სახელისუფლებო სტრუქტურებს უკავშირებს.*

ლელა მჭედლიძე

ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის გათვლებით, არჩევნების შედეგები რომ არ გაეყალბებინათ **"ფაქტობრივი გამარჯვება აღორძინების კავშირს ეკუთვნოდა".** ცნობისათვის: უკვე მეორე წელია, რაც კობახიძის პარტია ასლან აბაშიძესთან ალიანსის შექმნის თაობაზე კონსულტაციებს მართავს.

რატომ გაახსენდა ოთხი წლის წინანდელი დარღვევების გამოძიების საკითხი კობახიძეს მხოლოდ ახლა? რატომ არ მიმართა დაგროვილი მასალებით პროკურატურას ან თუნდაც, პარლამენტის კომისიას? როგორც პარტიის თავმჯდომარე აცხადებს, ამ დარღვევების თაობაზე მასალა ნელ-ნელა, სხვადასხვა გზით გროვდებოდა, მათ შორის - მერიის, პარლამენტის თუ კანცელარიის წარმომადგენელთა ყურში ჩაჩურჩულებითაც. საბოლოო გადაწყვეტილება კობახიძემ მას შემდეგ მიიღო, რაც დარღვევების შესახებ განცხადება სხვა პარტიის წარმომადგენლებისგან - "მოქალაქე" ლევან მამალაძისა და ირაკლი ბათიაშვილის მხრიდან გაჩნდა. ახლა კობახიძის პარტია თავმოყრილი ინფორმაციის გამოცდილ იურისტ-ექსპერტებისათვის გადაცემას აპირებს და, საამისოდ, თანამშრომლობისათვის "ლეიბორისტებს", "მრეწველებს", "სახალხოს", "მემარჯვენეებს" და სხვებს იწვევს.

რაც შეეხება სამომავლოდ თანამშრომლობას, თუ ვისთან გეგმავს წინასაარჩევნო პერიოდში სახალხო პარტიის განაყოფი შეკავშირებას, კობახიძე ჯერ ვერ აკონკრეტებს: **"აღორძინებასთან ხანგრძლივი კონსულტაციების მიუხედავად, ჯერ დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება. "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე ავთანდილ ჯორბენაძესთან გზები პარტიაში ვითარების არევის შემდეგ გაიყარა. სხვა პარტიებთან, "ნაციონალური მოძრაობისა" და "დემოკრატების" გამოკლებით, კონსულტაციები გრძელდება. მათ შორის - ედპ-სთან".**

## მოკლედ

**თბილისი.** ჩეჩნეთიდან დევნილები, რომლებიც დროებით პანკისის ხეობაში იმყოფებიან, ჩეჩნეთში დაგეგმილ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლებას მოკლებულნი არიან, რამდენადაც რუსეთის ხელისუფლება მათ მონაწილის სტატუსით არ განიხილავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ერთობა" კონსულტაციებს შეწყვეტს "ნაციონალურ მოძრაობა - დემოკრატიულ ფრონტთან" თუ "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერ, პარლამენტარ ზურაბ ჟვანიას გუნდთან ერთად წინასაარჩევნო ბლოკის შექმნის საკითხი დადგება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ხელისუფლება, კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობოთა გასვლის შემთხვევაში, მზადყოფნას გამოთქვამს საქართველოსთან საზღვრის დამოუკიდებლად დაცვასთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ჭუბურხინჯში დღეს გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე მხარეებმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების შესაძლო გაყვანის პროექტის განხილვაზე ისაუბრეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს ქართული მხარის წარმომადგენლების გარეშე შეხვდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო მაისი-ივნისისათვის, როდესაც ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნებისა და პარტნიორი სახელმწიფოების გენერალური შტაბების უფროსებისა და თავდაცვის მინისტრთა ყოველწლიური შეხვედრა გაიმართება, საბოლოოდ ჩამოაყალიბებს წინადადებათა პაკეტს, რომელიც ქვეყანაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის რეგიონალური უჯრედის გახსნას ითვალისწინებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ვალერი ჩხეიძის განცხადებით, საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე ეუთოს ექსპერტების მონიტორინგი მარტის ბოლოსთვის დაიწყება. **მედია-ნიუსი**

# პილატე, ფარისევლები და მემარჯვენე სოციალისტები

პირველი გვერდიდან

ასეთი განწყობიდან გამომდინარე, გასაგები ხდება, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს რატომ არ ადებს ვეტოს პრეზიდენტი. როგორც ჩანს, შევარდნაძეს იმედი აქვს, რომ თვითონ პილატეს როლით დაკმაყოფილდება და განაჩენს, მის ნაცვლად, საკანონმდებლო კორპუსში მყოფი "ფარისევლები" გამოიტანენ.

"გაერთიანებული დემოკრატების" ინიციატივით მიღებული დოკუმენტის კანონგარეშედ გამოცხადების გზაზე პირველი ნაბიჯი როსტომ დოლიძის კომიტეტის გუშინდელი სხდომა უნდა ყოფილიყო, მაგრამ პროსამთავრობო ძალების სამწუხაროდ, იგი ჩაფიქრებული სცენარით ვერ წარიმართა: კომიტეტმა, ექვსი ხმით ოთხის წინააღმდეგ, მიიღო გადაწყვეტილება, რომ "სოციალისტების" პროტესტი, რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დარღვევის შესახებ, საერთოდ არ განეხილა.

თუმცა, ასეთი "გაუგებრობა" როსტომ დოლიძეს სულაც არ აშფოთებს და დღეისთვის კომიტეტის ახალ სხდომას ნიშნავს. მისი "შეუვალობის" მიუხედავად, ზოგიერთმა პარლამენტარმა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ობიექტურობა გუშინვე დააყენა ეჭვის ქვეშ, როდესაც კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში "სოციალისტების" მიერ ინიცირებული საკითხი საერთოდ ვერ აღმოაჩინა.

ამ ფაქტს როსტომ დოლიძე "საპატიო მიზეზით" ხსნის: **"დღის წესრიგში საკითხის შეტანა იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ კომიტეტის აპარატის უფროსი ავად გახდა".** ასეც რომ იყოს, მაინც გაუგებარი რჩება, თუ რატომ არ გააგრძელა დოლიძემ გუშინ კომიტეტის სხდომა: კი ბატონო, ერთი საკითხის განხილვაზე კომიტეტის წევრებმა უარი განაცხადეს, მაგრამ დღის წესრიგში ხომ სხვა საკითხებიც იყო შეტანილი?

რაც შეეხება "სოციალისტების" არგუმენტებს, რომლის საფუძველზეც პარლამენტის გადაწყვეტილების რევიზია იგეგმება, ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და, ერთი შეხედვით, საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. პირველი "მომაკვდინებელი" ბრალდება ის გახლავთ, რომ 28 თებერვალს ჩატარებული კენჭისყრის წინ კვორუმი არ იყო, დეპუტატების რეგისტრაცია არ ჩატარებულა და თერთმეტმა პარლამენტარმა კანონპროექტს სხვისი პულტებით მისცა ხმა. გარდა ამისა, ფრაქცია "სოციალისტის" თავმჯდომარის, ირაკლი მინდელის განცხადებით, **"სხდომის წაყვანის უფლება გიგი წერეთლისთვის ნინო ბურჯანაძეს ოფიციალური ბრძანებით არ გადაუბარებია, რაც თავისთავად რეგლამენტის მოთხოვნის დარღვევას წარმოადგენს და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის საფუძველს იძლევა".**

რა შედეგითაც უნდა დასრულდეს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის დღევანდელი სხდომა, მას გაგრძელება კიდევ ექნება: ორშაბათს პარლამენტში ტარდება დიდი ეკონომიკური ფორუმი და 115-ლარიანი მინიმალური ხელფასის მომხრეთა "იდეური განადგურებისთვის" სწორედ ეს ღონისძიებაა ჩაფიქრებული.



"სოციალისტებს" გუშინდელი ცდა ჩაეშალათ, დღეს კომიტეტს ისევ მოიწვევენ.

ოპოზიცია კი, სახელისუფლებო ძალების მიერ წაყენებულ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და მათ "თითიდან გამოწოვილად" მიიჩნევს. "მთავარი ბრალდებული", 28 თებერვლის სხდომის წამყვანი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი სოციალისტების არნახულ ძალისხმევას იმით ხსნის, რომ **"რჩეულიშვილსა და მის გუნდს შეკვეთა აქვთ მიღებული და უნდათ, პრეზიდენტს დაუმტკიცონ, თითქოს პარლამენტში ყველაფერი ხელეწიფებათ".** მეტიც: 28 თებერვლის სხდომის წამყვანი, საკითხის წონადობიდან გამომდინარე, არ გამორიცხავს, რომ **"გარკვეული ძალები, შეიძლება, ვიღაცეების ფიზიკურ ლიკვიდაციაზეც კი წავიდნენ".** ასე რომ, არ არის გამორიცხული, ზემოთ ნახსენები "ლიკვიდაცია" ავბედითი წინასწარმეტყველება გამოდგეს.

ჰოდა, გიგი წერეთელიც ცდილობს, "24 საათთან" საუბარში სოციალისტების ბრალდებათა გაქარწყლება "მოასწროს".

**"არც ამ და არც წინა მოწვევის პარლამენტში არასოდეს მომხდარა, რომ სხდომის წამყვანის შეცვლაზე ბრძანება დაწერილიყოს. ასეთი რამ, უბრალოდ, წარმოუდგენელია - სხდომის წამყვანი, შეიძლება, დღეში სამჯერ შეიცვალოს და სად გაგონილა, რომ ყველა ამ შემთხვევისთვის ბრძანებები ცხვებოდეს? თუ "სოციალისტები" ერთ მაგალითს მაინც მოიყვანენ, რომ რომელიმე სხდომის წაყვანაზე ბრძანება დაიწერა, მზად ვარ ჩემი ვიცე-სპიკერის სავარძელი კიდევ ერთ "სოციალისტს" დავუთმო",** - აცხადებს გიგი წერეთელი, რომელიც თავის ოპონენტებს მოუწოდებს, ყურადღებით წაიკითხონ პარლამენტის რეგლამენტის 25 მუხლის "ზ" პუნქტი, სადაც წერია: "პარლამენტის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას, მისივე დავალებით".

**"აქ ლაპარაკია დავალების მიცემაზე და წერილობითი ფორმით ბრძანების გაცემა ნახსენები არ არის",** - განმარტავს წერეთელი.

"სოციალისტების" სხვა ბრალდებებთან დაკავშირებით, ვიცე-სპიკერი აღნიშნავს, რომ არსებობს ვიდეომასალა და სტენოგრაფიული ჩანაწერები, რომლებიც კენჭისყრის წინ რეგისტრაციის ორჯერ ჩატარებას ნათელყოფს. ამასთან, გიგი წერეთელი არ უარყოფს, რომ ეჭვი - თითქოს, კანონპროექტისთვის ხმის მიმცემი დეპუტატები სხდომათა დარბაზში არ იმყოფებოდნენ, მართლაც გამოითქვა.

**"დეპუტატები, უბრალოდ, თავის ადგილებზე არ ისხდნენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია - "შიდამიგრაციული პროცესები" პარლამენტში სისტემატურად მიმდინარეობს, თავის სკამზე არავინ არის მიჯაჭვული. ამიტომ, ხელაღებით იმის მტკიცება, რომ მანდატურმა თავის სავარძელში მჯდომი დეპუტატები ვერ დაინახა, სულაც არ ნიშნავს, თითქოს, ეს დეპუტატები სხდომათა დარბაზში მართლა არ იყვნენ. სულაც არ მინდა, პარლამენტი ანგელოზთა დასად წარმოვაჩინო - სხვისი პულტებით ხმის მიცემა მართლაც ხდება, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, "სოციალისტების" შემოტევა მეტისმეტად ხელოვნურია".**

გიგი წერეთლის გარდა, "სოციალისტებს" სხვა დეპუტატებიც "ამუშავებენ": ზოგიერთმა პარლამენტარმა ვახტანგ რჩეულიშვილის თანაგუნდელები კულუარებში ისეთი აბსურდული სახელით მონათლა, როგორიც არის "მემარჯვენე სოციალისტები". ეს აბსურდულობა ქართველი სოციალისტების პოზიციიდან მომდინარეობს: მთელ მსოფლიოში მიღებულია, რომ სოციალისტური ორიენტაციის პარტიები მოსახლეობის სოციალური გარანტიებისთვის იბრძვიან. რჩეულიშვილის ნავი კი სოციალიზმის "მდინარის" დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს, - მემარჯვენე ყაიდის პოლიტიკოსების მსგავსად, ქართველი სოციალისტები "პოპულისტურ სოციალურ ლოზუნგებს" მხარს არ უჭერენ და ამა წლის 1 ივლისიდან მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების წინააღმდეგ გადაჭრით ილაშქრებენ.

# კიტოვანი თბილისში აპირებს ჩამოსვლას

პირველი გვერდიდან

**საგანგებო სიტუაციათა მინისტრ სერგეი შოიგუსთან ერთად, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთში სამშვიდობო კონტიგენტის გამოყენების ერთობლივი სქემა შევიმუშავეთ. ზოგ რუს პოლიტიკოსს ამაში ჩვენთვის ხელი რომ არ შეეშალა, არც ლტოლვილები გვეყოლებოდა და აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციაც გვექნებოდა. 26 სექტემბერს შევარდნაძე აშშ-ში გაემგზავრა, იქიდან, თბილისის ნაცვლად, მოსკოვში დაბრუნდა და ელცინს შეხვდა. "საქართველოს მეგობრების" დახმარებით მაშინ მან ელცინზე ზემოქმედება შეძლო. იმის მიუხედავად, რომ ბევრ რუს სამხედროს არ სურდა აფხაზეთში მოქმედება, 2 ოქტომბერს რუსებმა, ჩეჩნების დახმარებით, გაგრა აიღეს; შამილ ბასაევი ჩვენს ბიჭებს მიუსიეს, გვარდია განაიარაღეს. რუსეთმა ამის შემდეგ აფხაზეთში ნატო-ს ჯარების შესვლა არ დაუშვა, როგორც ამაზე ბევრი ოცნებობდა საქართველოში,"** - ასე იხსენებს ათი წლის წინანდელ მოვლენებს თავდაცვის ექსმინისტრი.

თენგიზ კიტოვანი წინააღმდეგი ყოფილა შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანისა და ამიტომაც ეს საკითხი მასთან არ შეუთანხმებიათ. რუსი და უცხოელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ხომ არ ერია შევარდნაძის სამშობლოში დაბრუნებაში გავლენიანი რუსი პოლიტიკოსის ევგენი პრიმაკოვის ხელი? ასეთი მოსაზრება თენგიზ კიტოვანმა უარყო და განაცხადა, რომ **"მაშინ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნება სხვაგან და უფრო მაღალ დონეზე გადაწყდა."**

ისტორიული წიაღსვლების შემდეგ, კიტოვანმა გაიხსენა, თუ პირველად სად და რა ვითარებაში შეხვდა ჯაბა იოსელიანს: **"ეს იყო 1964 წელს მოსკოვი-თბილისის მატარებელში, შემდეგ ჩვენი გზები 1988-89 წლებში სამაჩაბლოშიც გადაიკვეთა. ხოლო სამოქალაქო ომის დროს ციხიდან ჯაბა მე გამოვიყვანე."**

**"მე დასავლეთ საქართველოში სადამსჯელო ოპერაციების მოწყობის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. აფხაზეთში ჩემი და ჯაბას გზები გაიყარა, რადგანაც გვარდიისა და "მხედრიონის" დაპირისპირებამ ადგილობრივი სომხების გააქტიურება გამოიწვია, რაც ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის შექმნით დასრულდა,"** - ამბობს კიტოვანი.

ჟურნალისტების თხოვნით, კიტოვანმა გაიხსენა საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტი და განაცხადა, რომ **"ჯაბა იოსელიანს შევარდნაძისათვის ტერაქტი არ მოუწყვია. უბრალოდ, საჭირო იყო ჯაბას ჩამოშორება და ამ გზით მოიშორეს. ტერორისტული აქტი კი შევარდნაძის საერთაშორისო იმიჯის ასაწევად შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის შოთა კვირაიას ორგანიზატორობით განხორციელდა."**

თენგიზ კიტოვანი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ იგი და ჯაბა ოცნებობდნენ საქართველოში საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნაზე: **"ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ საქართველო არ შეიძლება იყოს საპრეზიდენტო ქვეყანა, მაგრამ მაშინ ყური არავინ დაგვიგდო."**

თავდაცვის ექს-მინისტრი თენგიზ კიტოვანი უახლოეს დღეებში თბილისში აპირებს გადაფრენას, ყოფილ თანამებრძოლთან დასამშვიდობებლად.

## კულუარები

# "აღორძინებაში" "მხედრიონელები" და "ზვიადისტები" ერთად გამოჩნდნენ

მერაბ მეტრეველი

პარტიები თუ ალიანსები არჩევნებისთვის მარტო პოლიტიკურად ან ფინანსურად არ ემზადებიან. უდიდესი ყურადღება "ძალისმიერ" მომზადებაზეა გადატანილი. იქმნება ე. წ. მხარდამჭერთა რაზმები, რომლებიც შესაბამისი მომზადების ხალხისგან კომპლექტდება. უკვე ყველა დონეზე ლაპარაკობენ, რომ ასეთი "იატაკქვეშა" ორგანიზაციები თითქმის ყველა პოლიტიკურ გაერთიანებას ჰყავს.

სხვებს, როგორც ჩანს, არც "აღორძინება" ჩამორჩება. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს პარტიის თბილისის ორგანიზაციაში ყოფილი "მხედრიონელის", დავით ჯაფარიძის გამოჩენა გვაძლევს. იგი ბაკურიას მოადგილედ დაინიშნა და არჩევნებისთვის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება დაევალა. თავად ბაკურია ჯაფარიძის "მხედრიონელობას" დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

**"ის, რომ ადამიანი ოდესღაც რომელიღაცა ორგანიზაციის შეკრებას ერთი-ორჯერ დასწრებია, არ ნიშნავს, რომ მისი წევრია. ამასთან ჩვენთვის გადამწყვეტი სულაც არ არის, თუ რას აკეთებდა ადამიანი წარსულში,"** – განუცხადა ბაკურიამ "24 საათს".

წარსულში კი, ჩვენი ინფორმაციით, ჯაფარიძეს "აღორძინებასთან" არცთუ ტკბილი ურთიერთიერთობები აკავშირებდა. 1999 წლის არჩევნებზე იგი "მოქალაქეთა კავშირს" ეხმარებოდა. როგორც ამბობენ, ერთ-ერთ ინციდენტში, რომელიც მთაწმინდის რაიონში მოხდა და "აღორძინება" დაზარალდა, მონაწილეობა ჯაფარიძესაც აქვს მიღებული. ჩვენთან საუბარში ჯაფარიძემ ეს ფაქტი უარყო. იგი ამბობს, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში აქამდე არასოდეს ჩართულა და არც რომელიმე "ამღორძინებელთან" ჰქონია როდესმე პრობლემები. ასეთი ინციდენტის შესახებ არც ბაკურიას გაუგია რამე.

ასეა თუ ისე, "აღორძინებასთან" "მხედრიონელების" გამოჩენა საინტერესო მოვლენაა. პარტიის თბილისის ორგანიზაცია აღარ ხუმრობს. ახალ ხელმძღვანელობას ასლან აბაშიძე, როგორც ჩანს, უფრო სწყალობს და დაფინანსებაც სერიოზულად გაუზარდა. ბაკურია და კომპანია საკმაოდ ხელგაშლილ წინასაარჩევნო კამპანიას ეწევა. მარტო დედაქალაქში 35 ოფისი აქვთ.

რაც შეეხება "აღორძინების" პოლიტიკურ სამზადისს, ისინი პარტნიორების ძიებაში არიან. ჯერ-ჯერობით ოფიციალურად მათთან გაერთიანების სურვილი "XXI საუკუნემ" გამოთქვა. "XXI საუკუნის" მესვეურებმა თავიანთი ორგანიზაცია ლიკვიდირებულად გამოაცხადეს და პირდაპირ "აღორძინებას" შეერწყნენ. როგორც ჩანს, ასეთმა გადაწყვეტილებამ პარტიის სხვა წევრებში უკმაყოფილება გამოიწვია.

მუხრან მაჭავარიანმა, რომელიც "კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების" (ეს ორგანიზაცია "XXI საუკუნეში" შედის) ერთ-ერთი დამფუძნებელია, ჩვენთან საუბარში განაცხადა: **"მე რომ იქ ვყოფილიყავი, ამაზე არ დავთანხმდებოდი. ასე როგორ შეიძლება, ეს ორგანიზაცია ზვიად გამსახურდიამ დაარსა."** იგი პოლიტიკიდან, საერთოდ, წასვლას გეგმავს..

როგორც ჩანს, მაჭავარიანი ერთადერთი არ არის, ვინც კრიტიკის გარეშე მიიღო "XXI საუკუნის" ლიდერთა გადაწყვეტილება. ამიტომ დღეს ისინი უკან იხევენ.

**"ეს არ არის საბოლოო გადაწყვეტილება და, თუ საჭირო გახდა, შეიძლება, გადაიხედოს. ასე რომ, ამის გამო არანაირი პრობლემა არ შეიქმნება. თანაც, ჩვენ ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება არ მიგვიღია. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებმა არასწორად გაავრცელეს. ჩვენ, უბრალოდ, გადავწყვიტეთ "აღორძინებასთან" ერთად, როგორც ერთი მექანიზმი, ისე გამოვიდეთ,"** –გვითხრა გამახარიამ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ბორის პასტუხოვი "სარფიან პენსიაზე" გაუშვეს

პირველი გვერდიდან

ბორის პასტუხოვი, გარდა იმისა, რომ პარლამენტის დსთ-ს საქმეთა კომიტეტს თავმჯდომარეობდა, პრეზიდენტ პუტინის განკარგულებით, საქართველო-რუსეთის ახალი ჩარჩო ხელშეკრულების მოსამზადებელი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ იყო დანიშნული. იგი, სხვადასხვა დროს, აქტიურად მონაწილეობდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში და ჟურნალისტებს თავს აცოდებდა - ქართველების ზედმეტი სიყვარულის გამო, აფხაზები პასტუხაძეს მიძახიანო.

ბორის პასტუხოვი ის პოლიტიკოსია, ვინც, საქართველოს ხელისუფლების დემონსტრაციული იგნორირებით, აფხაზეთში ისე ჩადიოდა, როგორც საკუთარ სამშობლოში; იგი ყოველთვის ისე ჭრიდა და კერავდა, როგორც ეს რუსეთის პარლამენტს გაუხარდებოდა. ქართველი პარლამენტარების ბოლო ვიზიტის დროს, სწორედ პასტუხოვის კაბინეტიდან გამოვარდა ატირებული ადა მარშანია...



ბორის პასტუხოვი



ანდრეი კოკოშინი

რუსეთის პარლამენტის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის აპარატის წარმომადგენელმა "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, რომ პასტუხოვის პოსტს სახელისუფლებო ფრაქცია "ოტეჩესტვო ვსია როსიას" წევრი, რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი ანდრეი კოკოშინი დაიკავებს. მან ისიც თქვა, რომ კოკოშინის კანდიდატურა პრეზიდენტ პუტინის ინიციატივაა.

"ეს საკადრო ცვლილება ჩვეულებრივად, პროზაულად გამოიყურება და ზედმეტია საქართველოსთან დაკავშირებულ რაიმე მიზეზებზე საუბარი. რაც შეეხება საქართველო-რუსეთის ჩარჩო ხელშეკრულების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის პოსტს, კანდიდატურა პრეზიდენტ პუტინის პრეროგატივაა," - აღნიშნა ჩვენმა თანამოსაუბრემ. მაგრამ შეკითხვაზე, ხომ არ უნდა ველოდოთ საქართველოსადმი რუსეთის პარლამენტის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის ტრადიციული დამოკიდებულების კორექტირებას ან შეცვლას, აპარატის წარმომადგენელმა გვიპასუხა: "**ისევე, როგორც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირება, ორი ქვეყნის ურთიერთობის სამომავლო საკითხები დღეიდან სულ სხვა პირობებით წარიმართება.**"

თქმა არ უნდა, კომიტეტის ახალ თავმჯდომარეს ანდრეი კოკოშინს დიდი სიხარულით არ შეხვდებიან პასტუხოვის მოადგილეები კომპარტიიდან - ანატოლი ჩეხოევი და გიორგი ტიხონოვი. ისინი ტრადიციულად საქართველოს "დაუძინებელ ოპონენტებად" მოიაზრებიან.

არის მეორე უტყუარი ინფორმაციაც, რომ მოსკოვის პოლიტიკური წრეების ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი, დასავლური ორიენტაციის მქონე ანდრეი კოკოშინი მხოლოდ კრემლის ადმინისტრაციის მითითებებს შეასრულებს, დსთ-ს სახელმწიფოებისადმი კრემლის ახალი სტრატეგიის შესაბამისად. სხვათაშორის, ამ ახალი სტრატეგიის პრობლემატიკაზე საუბრისას, მოსკოვში ამ დღეებში ჩატარებული ევრაზიის სახელმწიფოთა რესპუბლიკების ეკონომიკურ ფორუმზე ნურსულთან ნაზარბაევმა არ გამორიცხა "**ევრაზიის კონტინენტზე თვისობრივად ახალი სახელმწიფოთაშორისი სტრუქტურის შექმნა, პროგრესული სავაჭრო-ეკონომიკური ინფრასტრუქტურით.**"

რაც შეეხება ანდრეი კოკოშინის პიროვნებას, მოსკოვში ქართველი დიპლომატების ერთი ნაწილის კომენტარით, საქართველოსთან მიმართებაში მას მუდამ რეალისტური პოზიცია ეჭირა - მაშინაც, როცა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტი ეკავა და მაშინაც, როცა რუსეთის თავდაცვის მინიტრის - პაველ გრაჩოვის პირველი მოადგილე იყო. ანდრეი კოკოშინს მოსკოვში იცნობენ, როგორც "კაცს პრიმაკოვის კომპანიიდან", როგორც რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კომპეტენტურ ექსპერტსა და აგრეთვე, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატს. მოსკოვის სამხედრო-პოლიტიკურ წრეებს ანდრეი კოკოშინი ახსოვთ, როგორც სსრკ-აშშ შორის განიარაღების სფეროში დღემდე შექმნილი საერთაშორისო დოკუმენტების ერთ-ერთი ავტორი. სხვათაშორის, დსთ-ს საქმეთა კომიტეტის ახალი თავმჯდომარე რუსეთისა და დსთ-ს რაგბისტთა კავშირის საპატიო წევრიცაა.

# ვინ მიიწვია გენადი გაგულია სოჭში?

სოჭში პრეზიდენტ პუტინის გამგზავრებამდე მოსკოვში იმყოფებოდა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, რომელმაც რუს დიპლომატებთან შეხვედრაზე გამოთქვა მოსაზრება, პუტინ-შევარდნაძის შეხვედრაში აფხაზეთის პრემიერის გენადი გაგულიას მონაწილეობის მართებულობაზე.

"24 საათის" ინფორმაციით, შევარდნაძე-პუტინის შეხვედრის წინადღეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იძულებული გახდა, დათანხმებულიყო მოსკოვის ამ წინადადებას. მოსკოვის დიპლომატიურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ქართულმა მხარემ სპეციალური ნოტით გამოხატა კიდეც სამმხრივი შეხვედრის მიზანშეწონილობა. თუმცა, მოსკოვში ქართული დიპკორპუსი რუსი კოლეგების ამ ცნობას არ ადასტურებს. ქართველი დიპლომატები გამორიცხავენ აფხაზეთის წამრომადგენლის მონაწილეობას ორი პრეზიდენტის შეხვედრაში.

ეკა კვესიტაძის სვეტი

# რითიც ჩავიდა, იმით დაბრუნდება შევარდნაძე სოჭიდან

დღეს შევარდნაძისა და პუტინის შეხვედრის მთავარი რაუნდი გაიმართება. მოლაპარაკებების დიდი ნაწილი, ბუნებრივია, აფხაზეთს შეეხება - სინქრონიზაციის იმ ცნობილი სქემის განხორციელებას, რომლის იდეაც კიშინიოვის სამიტზე დაიბადა და სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი ლტოლვილების დაბრუნებაა.

მიუხედავად შევარდნაძის განცხადებისა - პუტინი ამ ბოლო დროს განსაკუთრებით მეგობრულია და ეს შეხვედრაც თბილ და მეგობრულ გარემოში ჩაივლისო - არანაირი წინაპირობა არ არსებობს საიმისოდ, რომ ქართულ–რუსულ ურთიერთობებში რაიმე საქართველოს სასარგებლოდ შეიცვლება. პრეზიდენტი პუტინი ისევე მეგობრულად იზეიმებს გამარჯვებას საქართველოს პრეზიდენტზე, როგორც მან ეს დსთ-ს ბოლო სამიტზე მოახერხა.

მოლაპარაკებებზე შევარდნაძის მთავარ კოზირად ისევ ის სამი ჩეჩენი რჩება, რომლის ექსტრადირებასაც რუსეთის ხელისუფლება, უკვე დიდი ხანია, დაჟინებით ითხოვს. თუმცა სამი ჩეჩენი, ბუნებრივია, არ არის ის კოზირი, რომელიც ამ აგრესიული და უკიდურესად მტრულად განწყობილი ქვეყნის მხრიდან დიდ დათმობებს გამოიწვევდა.

სამაგიეროდ, რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობაში გაცილებით მეტი კოზირები აქვს. ერაყში მოსალოდნელი და უკვე ლამის გარდაუვალი ომი, ამერიკისთვის ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მნიშვნელობას საგრძნობლად ზრდის. ერთ-ერთი კოზირი პანკისის თემაცაა, რომლის თავის სასარგებლოდ დატრიალება კრემლს ყოველთვის შეუძლია და, რაც მთავარია - საქართველოს სახელმწიფოებრივი სისუსტე, რის გამოც საქართველოს ხელისუფლებას არც ერთი იმ ულტიმატუმის შესრულების თავი არ აქვს, რომელსაც ის პერიოდულად უყენებს მოსკოვს.

ასე იყო კიშინიოვის სამიტზეც. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ, ისევე როგორც მთელმა უშიშროების საბჭომ, ძალიან კარგად იცოდა - რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელება გარდაუვალი იყო, პრეზიდენტი განუწყვეტლივ იმუქრებოდა, სარკინიგზო მიმოსვლისა და პასპორტების გაცემის შეჩერების გარეშე მანდატს არ გავაგრძელებო.

დღემდე გაუგებარია, რაში სჭირდებოდა შევარდნაძეს მოსახლეობის ასე უნიჭოდ მოტყუება მაშინ, როცა ერთი კვირის შემდეგ მთელი მთავრობის მობილიზება და ამერიკის ელჩის დახმარებაც გახდა საჭირო იმისათვის, რომ დევნილები როგორმე რუსი სამშვიდობოების დარჩენის აუცილებლობაში დაერწმუნებინათ.

მატარებელი სოჭი-სოხუმის მიმართულებით ისევ მოძრაობს, პუტინი კი, მეტი ცინიზმისათვის, მაინცდამაინც სოჭში იბარებს შევარდნაძეს მეგობრული მოლაპარაკებების გასამართავად. შეხვედრაზე, ტრადიციულად, მიიღებენ გადაწყვეტილებას სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, რაც, ასევე ტრადიციულად, არანაირ შედეგს არ მოიტანს.

ისიც სავარაუდოა, რომ ამ შეხვედრაზე ძალიან აქტუალური იქნება პანკისის თემა, შესაძლოა - აფხაზეთზე უფრო აქტუალურიც კი, რადგან რუსეთმა, დიდი ხანია შეძლო, რომ საერთაშორისო საზოგადოების მთელი ყურადღება პანკისისაკენ მიემართა და ის საქართველოს ხელისუფლების აქილევსის ქუსლად ექცია.

თუ თოვლის დადნობის შემდეგ გელაევის რაზმი პანკისში დაბრუნდა, ეს უკვე მართლა სერიოზული დარტყმა იქნება შევარდნაძისათვის, რომელსაც ისედაც მთელი ქვეყანა თავზე ენგრევა.

გელაევის გარეშეც, პანკისის პრობლემის მოხსნა ისე, რომ რუსეთმა დემაგოგიის ახალი ტალღა არ ააგოროს, საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს თავსატეხად რჩება, რადგან მოსკოვი დღემდე არ ცნობს პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციის მნიშვნელობას და აცხადებს, რომ პანკისში არაფერი შეცვლილა და იქ ისეთივე სიტუაციაა, როგორიც ერთი წლის წინ იყო.

# რატომ არ ხორციელდება რეფორმა პოლიციაში

პირველი გვერდიდან

პოლიციაში არსებული ფულის გამოძალვის პრინციპი თავად პოლიციელების მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძველი ხდება. სახეზეა პოლიციელების მხრიდან ქურდობის, ყაჩაღობის, ნარკობიზნესის და სხვა დანაშაულთა ფაქტები. ფულის გამოძალვის პრინციპი პოლიციელებსა და დამნაშავეებს შორის ფინანსური გარიგების აუცილებლობას აყალიბებს. დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის გამოვლენის კანონიერი უფლებამოსილება პოლიციაში კარგად ერწყმის მისი ფულით დაფარვის ულმობელ სურვილს. ეს სურვილი იმდენად დაუნდობელია, რომ არაფრად აგდებს დაზარალებულის უდიდეს სულიერ ტკივილს.

პოლიციასა და დამნაშავეთა სამყაროსთან ურთიერთობის საფუძველზე ყალიბდება საზოგადოების მახინჯი განვითარების ფორმები. კანონიერი ქურდების, სხვადასხვა კლანური დაჯგუფების სახით საზოგადოებაში არსებობს "წესრიგის" დაცვის ავტონომიური ინსტიტუტები. აღნიშნულ ინსტიტუტებს განსაზღვრული როლი ენიჭებათ ქვეყანაში ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების საქმეში. მათი მფარველობა პოლიციისთვის დამატებითი შემოსავლების წყაროს უზრუნველყოფას ნიშნავს. "საზოგადოებრივი წესრიგის" დაცვის თვალსაზრისით, პოლიციასა და მოცემულ ავტონომიურ ინსტიტუტებს შორის ხელისუფლების ერთგვარ განაწილებას აქვს ადგილი. ეს სხვა არაფერია, თუ არა კრიმინალი სახელმწიფო რანგში.

აღნიშნული ფორმები ამახინჯებს მოსახლეობის მენტალიტეტს, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდა თაობის ცნობიერებას. მათ აზროვნებაში საძირკველშივე ისპობა სახელმწიფოსა და სამართლის პატივისცემის, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გამომუშავების უნარი. ეს გარემოება ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის ნორმალური განვითარებისათვის.

ამ ფონზე საზოგადოებაში პოლიციის მიმართ უნდობლობა უკიდურეს ზღვარს აღწევს. მოქალაქეს პოლიციასთან ურთიერთობის არავითარი სურვილი არ უჩნდება. ამ უკანასკნელს დაკარგული აქვს დემოკრატიული ლეგიტიმურობის, ანუ აღიარებისა და გამართლების საფუძვლები.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რა აფერხებს შსს სისტემაში რეფორმების განხორციელებას? რა არის ქართული პოლიციის სავალალო მდგომარეობის მიზეზი და როგორ შეიძლება ამ მდგომარეობის გამოსწორება?

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციაში არსებული კრიტიკული მდგომარეობა მთლიანად ქვეყანაში დამკვიდრებული პოლიტიკური სისტემის უვარგისობით არის განპირობებული. ცუდი პოლიციელი არის პირველ რიგში ცუდი პოლიტიკური სისტემის შედეგი. ამიტომ, უწინარესად ამ სისტემის ნაკლოვანებებზეა ყურადღება გასამახვილებელი.

დღემდე პოლიციაში არაფერი გაკეთებულა პოლიციელთა სახელფასო უზრუნველყოფის გაუმჯობესების თვალსაზრისით. პოლიციელები ზოგჯერ თვეების განმავლობაში რჩებიან უხელფასოდ. არაფერი ისეთი საშიში არ არის, როგორც უხელფასოდ დარჩენილი, მაგრამ ძალაუფლების მქონე და შეიარაღებული პოლიციელი. მისი აგრესიის მსხვერპლი ხდება უბრალო ადამიანი. სახელისუფლო სტრუქტურებში შეგნებულად თვალს ხუჭავენ ამ ფაქტებზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში თავად ხელისუფლება გახდება აგრესიის მსხვერპლი. თვითშენარჩუნების მიზნით, ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია კორუმპირებული, მაგრამ, ამასთან, მორჩილი პოლიციელები, როგორც ქვეყანაში სტაბილურობის გარანტი.



მათ ნამდვილად სჭირდებათ რეფორმა.

ასეთ ვითარებაში შსს სისტემაში არსებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ილუზიას წარმოადგენს. პოლიციელთა მიმართ პოლიტიკისა და საზოგადოების კონტროლის ლეგიტიმურობა და, შესაბამისად, კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურობა, პირველ რიგში, პოლიციელთა მუშაობის შესაბამისი ანაზღაურებით მიიღწევა. ამ პრობლემის გადაჭრა კი ქვეყნის საერთო-ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტურობაზეა დამოკიდებული.

მარტო ანაზღაურების გაუმჯობესება არ იქნება კორუფციასთან ბრძოლის რეალური ბერკეტი. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ადამიანებს ყოველთვის უჩნდებათ მეტი ფინანსური შემოსავლის სურვილი. აუცილებელია, ხელფასების გაზრდასთან ერთად, პოლიციის სისტემაში კორუფციის თითოეული ფაქტის მიმართ მკაცრი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. დასჯის ფაქტები უდიდეს პრევენციულ ფუნქციას შეასრულებენ, რაც კორუფციის მასშტაბების შემცირებას უზრუნველყოფს. ყოველივე ეს მხოლოდ მტკიცე პოლიტიკური ნების საფუძველზეა შესაძლებელი.

ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და პოლიციელების ნორმალური ანაზღაურება გარკვეულ დროს ითხოვს. მაგრამ ეს დრო შეიძლება უმოქმედობით უსასრულობამდეც გაიწელოს. ამ დროის ფარგლებში აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან დღესვე კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება, რომლებშიც პოლიციის რეფორმის, მისი დემოკრატიზაციის ნება იქნება გამოვლენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისტემაში მდგომარეობის გაუარესების ტენდენცია უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს, რის გამოსწორებასაც მეტი დრო და ენერგია დასჭირდება.

აღნიშნული ღონისძიებები უწინარესად უნდა შეეხოს პოლიციის სამოქალაქო საზოგადოებაზე ორიენტაციის, პოლიციასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის კონკრეტული ფორმების განსაზღვრის, პოლიციელების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს. ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვა ხელს შეუწყობს, აგრეთვე, ქვეყნის საერთო დემოკრატიულ განვითარებას.

რეფორმის ეს ასპექტები გათვალისწინებულია პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის კომისიის მიერ შემუშავებული კონცეფციით. კომისიამ უდიდესი მუშაობა გასწია უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობითა და დონორი სახელმწიფოების ფინანსური მხარდაჭერით. მაგრამ რჩება იმის შთაბეჭდილება, რომ შს სამინისტროში ყველაფერი კვლავ ძველი დინებით მიდის. ე.წ. რეფორმების ინიციატივით სისტემაში ძველი ტრადიციების შენარჩუნების სურვილი უფრო აშკარაა, ვიდრე რეალური რეფორმების. ახლახან შსს-ში მომზადდა კანონპროექტი, რომელიც ძველი კანონების განახლებულ ვარიანტს წარმოადგენს და არ ითვალისწინებს კომისიის მიერ შემუშავებული კონცეფციის მოთხოვნებს.

ეს ყველაფერი შსს სისტემისთვის ჩვეული, ე.წ. კოსმეტიკის ნაწილია. ამავე კოსმეტიკის გამოვლენა იქნება პოლიციაში დაგეგმილი ატესტაცია. ატესტაცია მხოლოდ მაშინ იქნება კონცეფციის მოთხოვნათა ადეკვატური, თუ იგი ობიექტურობისა და გამჭვირვალობის მიზნით, უცხოელი ექსპერტების, მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების ფართო სპექტრის მკაცრ კონტროლს დაექვემდებარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტო შსს-ს მიერ ორგანიზებული ატესტაცია გახდება კორუფციის მორიგი საფუძველი. ასევე ყოვლად მიუღებელია ატესტაციის ჩატარება შესაბამისი სასწავლო კურსების გარეშე.

საინტერესოა ვის არ სურს შსს-ს სისტემის რეფორმა საქართველოში? არის ეს ყველაფერი ქვეყანაში საერთო კოსმეტიკის ნაწილი, თუ უწყებრივი უპასუხისმგებლობის შედეგი?

აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, აუცილებელია შსს-ს სისტემის სტრუქტურული რეორგანიზაცია და პოლიციური და არაპოლიციური სამსახურების გამიჯვნა. პოლიციური ქვედანაყოფების საქმიანობა, ძირითადად, პრევენციული ფუნქციით, ე.ი. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით, ანუ დანაშაულის თავიდან აცილებით უნდა განისაზღვროს. შესაბამისად, პოლიციის შესახებ ახალმა კანონმაც მხოლოდ პრევენციული ხასიათის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების დეტალური რეგლამენტაცია უნდა მოახდინოს. რაც შეეხება საგამოძიებო უწყების (არაპოლიციური სამსახური) რეპრესიულ ღონისძიებებს, ანუ სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში მოქმედებას, ისინი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა დეტალურად უნდა დაარეგულიროს.

პრევენციული მიზნით მოქმედი პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ძირითადად განისაზღვრება ამა თუ იმ პირის შესახებ ინფორმაციის მოპოვებითა და შეფასებით. იგი არ ეხება დანაშაულის გახსნას, არამედ მიზნად ისახავს მის პროფილაქტიკას. პოლიციის შესახებ ახალი კანონით დეტალურად უნდა განისაზღვროს პოლიციის ტიპური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლებიც პირის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისას ყველაზე მეტი ინტენსიურობით შეზღუდავს ადამიანის ძირითად უფლებებს. მკაცრად უნდა განისაზღვროს აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების წინაპირობები და სამართლებრივი საფუძვლები.

პოლიციის სამოქალაქო საზოგადოებაზე ორიენტაცია, კანონმდებლობასთან ერთად, უმთავრესად მის პრაქტიკულ საქმიანობაში უნდა გამოიხატოს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა პოლიციას საზოგადოებასთან განსაკუთრებული ურთიერთობის ჩამოყალიბების ვალდებულების წინაშე აყენებს. ამ თვალსაზრისით აუცილებელია პოლიციელთა წვრთნის პროგრამის შემუშავება და მისი რეალური ორგანიზება. დღეს მოქმედი პოლიციის რიგებში ხშირად არაკვალიფიციური თანამშრომლები არიან, რომელთა არასაკმარისი სპეციალური მომზადება განაპირობებს პოლიციის მხრიდან სამართალდარღვევებს და პოლიციის საქმიანობის ეთიკური ნორმების უგულებელყოფას. ეს დარღვევები განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში იჩენს თავს და მოსახლეობაში პოლიციის მიმართ შიშს ამკვიდრებს. აუცილებელია დაიწყოს პოლიციელთა პერიოდული წვრთნა, რომლის თემატიკა დაფუძნებული იქნება დემოკრატიის ძირითად ღირებულებებზე, კანონისა და ადამიანის უფლებათა დაცვაზე, საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის შეგნების გამომუშავებაზე. მხოლოდ ამის შემდეგ არის გამართლებული შსს-ს სისტემაში ატესტაციის ჩატარება.

პოლიციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივით აუცილებელია განისაზღვროს პოლიციასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობის კონკრეტული ფორმები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება საშუალო სკოლებში მოსწავლეებსა და რაიონის პოლიციას შორის შეხვედრების, მცირე სასწავლო კურსების ორგანიზება. აღნიშნული ღონისძიებები მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს, გაეცნონ ზოგადად პოლიციის მუშაობას და ფუნქციებს. ზოგადად სახელმწიფოსადმი და კონკრეტულად პოლიციისადმი ნდობის ჩამოყალიბება უნდა გახდეს პედაგოგიური აღზრდის ელემენტი.

პოლიციასა და საზოგადოების ურთიერთობის მიზნით აუცილებელია თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივით, რაიონულ დონეზე შეიქმნას პოლიციის საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოები. საბჭოები პირველ რიგში ეფექტურს გახდის პოლიციელთა მიმართ საზოგადოების კონტროლს. ამასთან, დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით დაისახება თანამშრომლობის კონკრეტული ფორმებიც.

მოსახლეობის პოლიციასთან თანამშრომლობის პარალელურად, აუცილებელია ურთიერთობის ისეთი ფორმებიც, რომლებსაც უფრო მასშტაბური ხასიათი ექნება. ტელევიზიისა და პრესის საშუალებით უნდა მოეწყოს საჯარო მსჯელობები პოლიციაში არსებული მდგომარეობის შესახებ. მათში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეთ როგორც მოსახლეობას, ისე პოლიციელებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვადასხვა პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებს. ასეთი სახის დისკუსიები მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვის, რომელიც პოლიციაში რეფორმების რეალური განხორციელებისათვის არის აუცილებელი.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა, არც პოლიციაში მიღების და არც პოლიციელთა თანამდებობრივი დაწინაურების თვალსაზრისით, საერთოდ არ უთმობს ყურადღებას კანდიდატის კვალიფიციური დონის შეფასების კრიტერიუმებს. აუცილებელია პოლიციელთა სამსახურში მიღების წესისა და მათი კარიერის მკაცრი საკანონმდებლო რეგლამენტაცია. ძირითადი აქცენტი პოლიციაში დასაწინაურებელი პირის სპეციალური განათლების ხარისხსა და სპეციალური მომზადების დონეზე უნდა გაკეთდეს. სავალდებულოა პოლიციელთა კარიერის მკაცრი საფეხუროვანი სისტემის შემოღება, რომლის მიხედვით, ქვედა საფეხურის შესაბამისი თანამდებობრივი მდგომარეობის გავლის გარეშე, შეუძლებელი იქნება მაღალი საფეხურის შესაბამისი თანამდებობრივი მდგომარეობის მოპოვება. პოლიციელთა კარიერის საკანონმდებლო რეგლამენტაციის ძირითადი მიზანი იქნება კონკრეტულად ამა თუ იმ საფეხურის კანდიდატისათვის სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.

აღნიშნული ამოცანების განხორციელება დამოკიდებულია სახელმწიფო ხელისუფლების საერთო პოლიტიკურ ნებაზე, განსაკუთრებით კი - შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობაზე. ამის გარეშე ილუზიაა იმაზე ფიქრი, რომ პოლიციელი საშუალო სკოლაში წავა, საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოებთან ითანამშრომლებს, ან ეთიკური ნორმების დაცვაზე იზრუნებს. სამწუხაროდ, ქვეყანაში მოსახლეობას რჩება იმის შთაბეჭდილება, რომ ყველა დარგის, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, რეფორმების ნაცვლად, მათთვის განუსაზღვრელი დროის ფარგლებში, რაც შეიძლება მეტი კაპიტალის სწრაფ ტემპში დაგროვებას ცდილობს. თუ ამ მოვლენებს ბოლო არ მოეღო და არ გადაიდგა სისტემის დემოკრატიზაციისთვის პრაქტიკული ნაბიჯები, პოლიციის რეფორმის ყველაზე იდეალური წინადადებებიც კი, ძილისწინ ნაამბობი ზღაპარი იქნება.

# საბითუმო ბაზარი ნახევარ საქართველოს აბნელებს

*საბითუმო ბაზარი დღეს დილის 10 საათიდან გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას (გსკ) ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტს. ამით ელექტროენერგიის გარეშე დარჩება საქართველოს ყველა რეგიონი - თბილისის, კახეთისა და აჭარის გარდა. გსკ-მ, რომელმაც გუშინ ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო 500 ათასი ლარი ვერ შეაგროვა, საბითუმო ბაზრის ასეთი მკაცრი გადაწყვეტილების შეჩერება ვერ შეძლო. თავად საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელების განცხადებით, მოვალისგან დაპირებული თანხის მიუღებლობის გამო, ამ რადიკალური და მტკივნეული ნაბიჯის გადადგმა გარდაუვალი იყო.*

გვანცა კვინიკაძე

საბითუმო ბაზარს მოთმინების ფიალა გუშინ აევსო. მიუხედავად სამი კვირის წინ გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიასთან მიღწეული შეთანხმებისა, ამ უკანასკნელმა, საბითუმო ბაზარს, 28 თებერვლისთვის დაპირებული 500 ათასი ლარიდან, ერთი თეთრიც კი არ აღირსა. საბითუმო ბაზრის საოპერაციო დირექტორის ჯონ სვისკოს განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ გსკ-ს ყოველთვიური მოხმარება, დაახლოებით 4.5 მილიონ ლარს შეადგენს, მათ გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას გადახდის საკმაოდ ხელსაყრელი გრაფიკი შესთავაზეს. იმის გამო, რომ გსკ საბითუმო ბაზარს შეძენილი ელექტროენერგიის საფასურს არ უხდის, თავის მხრივ, ვერც საბითუმო ბაზარი ფარავს გენერაციისა და იმპორტიორი კომპანიების დავალიანებას. სერიოზული გაგულისების მიუხედავად, საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ მთლიანად ქვეყნის (თბილისის, კახეთისა და აჭარის გამოკლებით) გამორთვა არა მარტო ტექნიკურად, პოლიტიკური მოსაზრებებითაც შეუძლებელია და, ამიტომ, ელექტროენერგიის მიწოდების შენარჩუნებას სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისთვის მაინც აპირებს.

"24 საათის" ინფორმაციით, გუშინ, საბითუმო ბაზარსა და გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიის წარმომადგენლებს შორის, შეხვედრა გაიმართა. თუმცა იმის გამო, რომ სადისტრიბუციო კომპანიამ 500 ათასის მთლიანად შეგროვება ვერ შეძლო და საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა დააკლდა, ორ მოდავე მხარეს შორის მოლაპარაკება უშედეგოდ – ქვეყნის უდიდესი ნაწილის ჩაბნელების გადაწყვეტილებით დასრულდა.


## საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინერი

**კომპანია ბი-პი-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და ბი-პი-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA აცხადებს კონკურსს კვალიფიციური საინფორმაციო ტექნოლოგიის (IT) ინჟინრის თანამდებობის დასაკავებლად. საინფორმაციო ტექნოლოგიის ინჟინერი წარმოადგენს საქართველოში ბი-პი-ს მილსადენის სამშენებლო პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს ბი-პი-ს ხელმძღვანელობის ქვეშ**

სამუშაოს აღწერა:

IT ინჟინერი ანგარიშვალდებულია პროექტის IT მენეჯერის წინაშე და პასუხს აგებს პროექტის საინფორმაციო ტექნოლოგიის გეგმის განხორციელების ხელშეწყობაზე, სტანდარტული ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის კონფიგურირებასა და ინსტალაციაზე, ავტომატიზაციის საბაზისო ტექნიკურ უზრუნველყოფასა და ტრეინინგზე, პროექტის მიმდინარეობისა და დახურვისას დახმარების აღმოჩენაზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

IT ინჟინრის ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- კომპანიის უსაფრთხოების მართვის სისტემის განხორციელება და დაცვა, უსაფრთხოების მაღალი კულტურის დამკვიდრება.
- ყველა სატელეკომუნიკაციო და მასთან დაკავშირებული ელექტრონული აპარატურის და სისტემების ფუნქციონირება და ექსპლუატაცია.
- IT საინფორმაციო ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება დადგენილ ადგილებში.
- ახალი და არსებული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფის გადაადგილება, ინსტალაცია და კონფიგურირება ყველა საჭირო სამუშაო ტერმინალზე.
- სერვერების ოთახებში, საწყობებსა და ოფისში სისუფთავის და წესრიგის დაცვა და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
- კომპიუტერული სისტემების და ქსელების ექსპლუატაციისა და რემონტის დროს დახმარების აღმოჩენა.
- სეტელეფონო ქსელთან და სხვა სატელეკომუნიკაციო აპარატურასთან, მაგალითად ოფისის ტელეფონებთან დაკავშირებით ჩანაწერების წარმოება.
- სატელეკომუნიკაციო აპარატურასთან დაკავშირებული საიზოლაციო სამუშაოების შესრულება და სამუშაო ნებართვების სისტემის ღრმა ცოდნა.
- მოწყობილობისა და ინვენტარის შეფასება, მოდიფიკაციების ინიცირება ან მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება მოდიფიკაციების პროცედურის პლატფორმის გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს სატელეკომუნიკაციო სისტემების გაუმჯობესებას.
- სამუშაო სადგურების საოპერაციო სისტემების საწყისი ჩატვირთვა, ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და მოგვარება.
- გამოყენებითი კლიენტის პროგრამის დამტკიცებული ბოლო ვერსიის ინსტალაცია, ტესტირება, კონფიგურირება და ექსპლუატაცია.
- პროექტის წევრების დახმარება გამოყენებითი სისტემით სარგებლობისას და ფორმალური და არაფორმალური ტრეინინგის ჩატარება.
- მომხმარებლების დახმარება ავტომატიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში და საჭიროებისამებრ, სხვა ჯგუფებთან კოორდინირება.
- ავტომატიზაციის გრაფიკისა და ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება და აპარატურის ტექნიკური პირობების შემუშავების ხელშეწყობა.
- მითითებისამებრ, პროცედურების, ინსტრუქციების, დოკუმენტაციის და საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება.
- საჭიროებისამებრ, სხვა მოვალეობების შესრულება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

- სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
- უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი და სულ მცირე 3 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის დარგში, ან სულ მცირე 5 წლის გამოცდილება ავტომატიზაციის უზრუნველყოფაში.
- სულ მცირე 3 წლის სამუშაო გამოცდილება ტელეკომუნიკაციის ან საინფორმაციო უზრუნველყოფის დარგში.
- ქართული - მშობლიური ენა, ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა.
- ატესტირებული სპეციალისტი მაიკროსოფტის პროგრამაში (დიპლომირებული სპეციალისტი (MCP), მომავალში დიპლომირებული ინჟინრის კვალიფიკაციით (MCSE).
- თვითმოტივაცია, დინამიკური სამშენებლო პროექტის ატმოსფეროში მუშაობის და დაწესებული მოთხოვნების ალღოს აღების უნარი.
- დადებითი პირადი თვისებები და ურთიერთობის შესანიშნავი უნარი.
- პროექტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით დამატებითი სამუშაოს შესრულება.
- სისტემატურად მოწოდებული ტექნიკური ინფორმაციის ათვისებისა და ეფექტურად გამოყენების უნარი.
- თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა და ავტორიტეტი: სისტემატიზირებულ და ყოველდღიური ზედამხედველობის გარემოში მუშაობის უნარი.
- ზეგავლენა: პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე.
- სამუშაოს კომპლექსურობა: სხვადასხვა დიაპაზონისა და კონტექსტის მქონე მოვალეობების შესრულება სხვა თანამშრომლებთან ხშირი კავშირის გარეშე.
- აუცილებელი უნარ-ჩვევები: შესასრულებელი სამუშაოსადმი რაციონალური და ორგანიზებული მიდგომა. საკუთარი სამუშაოს დაგეგმვის, გრაფიკზე აყვანის და კონტროლის უნარი. კოლეგებთან და ზედამხედველებთან ეფექტური კავშირის დასამყარებლად საკმარისი ზეპირი და წერილობითი ურთიერთობების უნარი.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციფიკის ცოდნა: IT ინჟინერმა უნდა გაიაროს საწყისი მომზადება მის სამუშაოსთან დაკავშირებული მეთოდების, პროცედურების, საშუალებების, მოწყობილობის და სტანდარტების ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

- თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 13 მარტი, ხუთშაბათი.
- კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

*კადრების განყოფილება*

**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38.**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია "ბი-პი საქართველო"**


# ქვეყანა კონტრაბანდას მიაქვს

პირველი გვერდიდან



დავით სალარიძე



მირიან გოგიაშვილი და ალეკო ასლანიკაშვილი.

საბაჟო დეპარტამენტის უფროსის - ალეკო ასლანიკაშვილისგან, მეტი გამჭვირვალობის გარდა, უამრავ კითხვაზეც მოითხოვეს პასუხი. თავად ასლანიკაშვილმა კი კომიტეტის პრეტენზიები არ გაიზიარა, თუმცა, ვერც საკუთარი არგუმენტები წარმოადგინა იმის დასამტკიცებლად, რომ ქვეყანაში იმ მასშტაბების კონტრაბანდა არ არსებობს, რაზედაც კომიტეტის დასკვნაშია ლაპარაკი. სამაგიეროდ, ალეკო ასლანიკაშვილმა კომიტეტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს საკმაოდ აგრესიული ტონით განუცხადა: **"ერთ-ორ სიტყვას გარეთ გეტყვით, პრესის გარეშეო!"** მანამდე კი, პრესის თანდასწრებით, ალეკო ასლანიკაშვილი ნამდვილი "პრესის" ქვეშ გაატარეს. გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის დასკვნა საქართველოში არსებული კონტრაბანდის შთამბეჭდავ ციფრებს შეიცავს. 2002 წლის ოფიციალური მონაცემებით, იმპორტირებული ფქვილის რაოდენობამ 81 ათასი ტონა შეადგინა, რაც რეალურად მოხმარებული ფქვილის რაოდენობის - 800 ათასი ტონის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, ფქვილის იმპორტის 90 პროცენტი ჩრდილშია მოქცეული, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტმა გასულ წელს 50-60 მილიონი ლარი დაკარგა. კონტრაბანდის სტატისტიკა სხვა სახის პროდუქციებზე ასეთია: მოხმარებული ბენზინის მხოლოდ 40 პროცენტია განბაჟებული, დიზელის საწვავის - 23 პროცენტი, ნავთის - 11 პროცენტი. აქედან გამომდინარე, ნავთობპროდუქტების იმპორტიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ნაცვლად 350 მილიონი ლარისა, მხოლოდ 120 მილიონი ლარი შევიდა. კვლავ დიდია არალეგალურად იმპორტირებული თამბაქოს რაოდენობაც, 40 პროცენტი ბაზარზე არსებული სიგარეტებისა განუბაჟებელია. ამ სფეროდან საბიუჯეტო შემოსავლებმა 2002 წელს 41 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როცა მოხმარების სტრუქტურისა და არსებული დაბეგვრის პირობებში თამბაქოდან ბიუჯეტში 100 მილიონი ლარი მაინც უნდა შესულიყო. დავით სალარიძე აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები, ასევე, საგანგებო ლეგიონი და საბაჟო დეპარტამენტი, კონტრაბანდის შემოტანაში ერთობლივად არიან ჩართულები;

გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე საუბრობს საბაჟო სისტემაში გადასახადების წინასწარ ამოღების გავრცელებულ პრაქტიკაზეც. სალარიძის განცხადებით, ყოველი თვის ბოლოს, გეგმის შესასრულებლად, 5-7 მილიონი ლარი მებაჟეების მიერ იმპორტიორებისაგან წინასწარ არის ამოღებული. ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი, საბაჟოს უფროსისაგან განსხვავებით, წინასწარ გადახდებს არ უარყოფს. ალეკო ასლანიკაშვილი არ დაეთანხმა სალარიძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საბაჟო სამსახურებში გაუნათლებელი ხალხი მუშაობს, რომლებმაც არ იციან, რა არის დღგ-ს გადასახადი. ასლანიკაშვილს მიაჩნია, რომ საბაჟოს რეორგანიზაციის რეფორმა, რომელიც გასულ წელს დაიწყო, წარმატებით მიმდინარეობს. **"ერთი ხელის დაკვრით ყველაფრის გაკეთებას კი ათი ასლანიკაშვილიც არ ეყოფა,"** – მიაჩნია მას.

დავით სალარიძემ საბაჟო სამსახურების თანამშრომლების ატესტაციის ჩატარების წესების გამოც სერიოზული პრეტენზიები გამოთქვა. როგორც ცნობილია, მებაჟეების ტესტირება დღეს უნდა გაიმართოს და მასში მონაწილეობის მიღება მხოლოდ საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებს შეუძლიათ. დავით სალარიძე მიიჩნევს, რომ ატესტაცია უნდა გადაიდოს გარკვეული დროით, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს ნებისმიერი მსურველისათვის. ამას გარდა, სალარიძე უნდობლობას უცხადებს კომისიას, რომელმაც ატესტაცია უნდა ჩაატაროს (თავმჯდომარე მირიან გოგიაშვილი, მოადგილე ალეკო ასლანიკაშვილი). **"ამ ტესტირებას მოჰყვება, ის რაც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არაკვალიფიციური კადრების დანიშვნა სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე,"** – აცხადებს დავით სალარიძე.

მიუხედავად იმისა, რომ გუშინდელ სხდომაზე დასმული საკითხები უშუალოდ საბაჟო დეპარტამენტის უფროსის პასუხისმგებლობას უკავშირდება, დავით სალარიძეს მისი თანამდებობიდან წასვლის საკითხი არ დაუყენებია. სალარიძემ ამის გაკეთება მირიან გოგიაშვილს დაავალა. ფინანსთა მინისტრი კი აცხადებს, რომ იგი ასლანიკაშვილის მოხსნას არ აპირებს. **"მე ამ გუნდთან ერთად მოვედი და არავის გათავისუფლებას არ ვაპირებ,"** – განაცხადა გოგიაშვილმა.

საბაჟოს უფროსის პასუხისმგებლობის საკითხი მარტის ბოლოს, ალბათ, უფრო დიდი სიმწვავით დადგება, რადგან კვარტალური გეგმის შესრულებას ძალზე საეჭვო პერსპექტივა აქვს. როგორც დავით სალარიძე აცხადებს, საბაჟოს, პირველ სამ თვეში, 89 მილიონი ლარი უნდა შეეტანა ბიუჯეტში. აქედან, დღეისათვის მხოლოდ 45 მილიონი ლარია მობილიზებული. სალარიძე აცხადებს, რომ დარჩენილ 25 დღეში საბაჟო ბიუჯეტში 44 მილიონი ლარის შეტანას ვერ შეძლებს.

# „ახლები„ ფრაქციის პრიორიტეტად განათლებასა და კულტურას ასახელებენ

*გუშინ საკრებულოს ფრაქციამ "ახალი მემარჯვენეები" პრესკონფერენცია გამართა თბილისის 2003 წლის ბიუჯეტში ფრაქციისა და ზოგადად საკრებულოს პრიორიტეტებთან დაკავშირებით. "ახალი მემარჯვენეები" 2003 წლის ქალაქის ბიუჯეტში პრიორიტეტს განათლებისა და კულტურის განვითარებას ანიჭებენ. ბიუჯეტის მიღების ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორად "ახალმა მემარჯვენეებმა" პროექტის მეორე ვარიანტში ინტერფრაქციული ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებაც დაასახელეს.*

სოფიკო ოხანაშვილი

ფრაქციის თავმჯდომარის მამუკა კაციტაძის განცხადებით, "ახალი მემარჯვენეების" მიერ შემუშავებული პროგრამა, რომლის პირობითი სახელწოდებაცაა "ჯანსაღი თაობა," ექვსი პროგრამისგან შედგება. პირველი პროგრამის თანახმად, უნდა მოხდეს თბილისის ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების კომპიუტერული კლასებითა და შესაბამისი კადრებით უზრუნველყოფა, რის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს მოსწავლეთათვის კომპიუტერზე მუშაობისა და ინტერნეტით სარგებლობის სწავლება. მეორე პროგრამა ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების დამამთავრებელ კლასებში ახალი დისციპლინის -ბიზნესისა და ეკონომიკის საფუძვლების – შეტანას გულისხმობს. ამის აუცილებლობას კაციტაძე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლითა და ცხოვრებისეული მოთხოვნილებებით ხსნის. მესამე პროგრამა სკოლებში საქართველოს კულტურის ისტორიის სწავლებას გულისხმობს, რისთვისაც საჭიროა სპეციალისტთა ჯგუფის შერჩევა სფეროების მიხედვით, რომლებიც მოამზადებენ სახელმძღვანელოებს. ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნება ვიზუალური მასალაც, დაახლოებით ოთხსაათიანი ვიდეოფილმი, რომელიც, კაციტაძის თქმით, გაკვეთილებზე თემატურად იქნება ნაჩვენები. მემარჯვენეები მეოთხე პროგრამის ფარგლებში გეგმავენ მუნიციპალური დაფინანსების მქონე კულტურის ობიექტებში მოსწავლეთა კოლექტიური დასწრების ორგანიზებას ანუ ე.წ. აბონენტური სისტემის აღდგენას. **"ყოველ მეოთხე მოსწავლეს შეეძლება, რომ წელიწადში ორჯერ უფასოდ დაესწროს სპექტაკლს, მუსიკალურ ცენტრში რაიმე ღონისძიებას ან მივიდეს მუზეუმში"**, - განაცხადა ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარემ. მეხუთე პროგრამით "ახალი მემარჯვენეები" 100 სკოლაში სამ სპორტულ სახეობაში - რაგბი, კალაბურთი, ჭადრაკი – უფასო სექციების შექმნის ინიციატივით გამოდიან. მეექვსე პროგრამა სკოლის ასაკის ბავშვებისათვის (16 წლამდე) წელიწადში ერთხელ ცენტრალიზებულ დისპანსერიზაციას ითვალისწინებს. **"ჩვენ გვინდა სკოლის ექიმის სტატუსის აღდგენა"**, - აღნიშნა კაციტაძემ. იმავე წყაროს ცნობით, მოსწავლეთა დისპანსერიზაციის პროგრამა ნაწილობრივ გათვალისწინებული იყო მთავრობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პირველ ვერსიაში, რომლის დასაფინანსებლად გამოყოფილი იყო 3,7 მილიონი ლარი. კაციტაძის ინფორმაციით კი, "ახლების" მიერ წარმოდგენილი დისპანსერიზაციის პროგრამის მთლიანი ღირებულება 5 883 800 ლარს შეადგენს. "ახალი მემარჯვენეების" ლიდერების განცხადებით, 40 მილიონი რეზერვის არსებობის შემთხვევაში ამ პროგრამის სრულად განხორციელება რეალურია, რადგან დამატებით დისპანსერიზაციას მხოლოდ 2,1 მილიონი ლარი სჭირდება.

პრესკონფერენციაზე "ახლებმა" საკრებულოს პრიორიტეტებზეც ისაუბრეს - გამოიკვეთა სამი საკითხი: თბილისის განვითარების გენერალური გეგმის დაფინანსება და მისი სწორად შედგენა, გასული წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების სპეციალური პროგრამის შემუშავება და ქალაქის ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა, რაც კაციტაძის თქმით, მარტო ნაგავსაყრელების, მღრღნელების და მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოგვარებასა და სანიტარული ღონისძიებების გატარებას კი არ გულისხმობს, არამედ მთელი ქალაქის ეკოლოგიური სისტემის გაჯანსაღებას.

"ახალი მემარჯვენეები" მოუწოდებენ საკრებულოს ყველა ფრაქციას, ღიად და გამჭვირვალედ დააფიქსირონ მათი ფრაქციისთვის მისაღები პრიორიტეტები, რათა ყველა დარწმუნებული იყოს იმაში, რომ საკრებულოს არც ერთ პოლიტიკურ ძალასა და ქალაქის მთავრობას შორის ბიუჯეტის მიღებისას არ იქნება გარიგება ბიუჯეტში რაიმე თანხის ჩადებისთვის და ადგილი არ ექნება ლობირების ფაქტებს. "საზოგადოებისთვის და საკრებულოს წევრებისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომელი ფრაქცია რა სფეროზეა პასუხისმგებელი", - განაცხადა კაციტაძემ.

"ახალი მემარჯვენეების" ინფორმაციით, მთავრობა თბილისის 2003 წლის ბიუჯეტის მეორე ვარიანტს საკრებულოს მომავალი კვირის დასაწყისში წარუდგენს.

# "თბილგაზისთვის" ბრძოლა გრძელდება

*გუშინ სატენდერო კომისიამ "თბილგაზის" 10-წლიანი მართვის უფლებით გასაცემ ტენდერში მონაწილეთა საკვალიფიკაციო მონაცემების პაკეტები გახსნა. როგორც "24 საათი" უკვე წერდა, პაკეტებში ამხანაგობა "ახალი მენეჯმენტისა" და სააქციო საზოგადოება "საქტრანსგაზმრეწვის" წინადადებები აღმოჩნდა. თუ საკვალიფიკაციო მონაცემებმა დააკმაყოფილა 18-კაციანი სატენდერო კომისია, მაშინ სამშაბათს პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი კომერციული წინადადებების პაკეტებიც გაიხსნება. გამარჯვებულის ვინაობა 22 მარტამდე გახდება ცნობილი.*

მაია ურუშაძე

ამხანაგობა "ახალი მენეჯმენტის" წევრები არიან გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მთავარი ინჟინერი ნოდარ გობიანიძე და საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ნოდარ ნებიერიძე, ასევე, გაზის კორპორაციის გენერალური დირექტორის მოადგილე იური შიუკაშვილი, ხოლო "თბილგაზის" მომავალ დირექტორატში გაზის საერთაშორისო კორპორაციის იურიდიული სამსახურის უფროსი ჯემალ ხუჯაძე, გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილე გიორგი შაშვიაშვილი და ასევე თანამდებობის პირი ოთარ ჩინჩალაძე არიან წარდგენილნი. ამდენად, როგორც "24 საათი" უკვე წერდა, ამხანაგობა "ახალი მენეჯმენტის" მიღმა საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის ინტერესები იკვეთება. ამას ისიც ადასტურებს, რომ "ახალი ამხანაგობა" გაზის კორპორაციისა და გაზის ტრანსპორტირების კომპანიის თანამშრომელთა მიერ არის ჩამოყალიბებული. ეს უკანასკნელი კი, რომელსაც ირაკლი კიზირია ხელმძღვანელობს, გაზის საერთაშორისო კორპორაციის შვილობილი კომპანიაა.

"თბილგაზის" მეორე პრეტენდენტი კი ძველი "დეპარტამენტ საქგაზისა" და "დეპარტამენტ საქტრანსგაზის" სამართალმემკვიდრე სააქციო საზოგადოება "საქტრანსგაზმრეწვია". სატენდერო განაცხადი ამ კომპანიამ "თბილგაზის" რამდენიმე სპეციალისტთან ერთობლივად შეიტანა. მერიაში კულუარულად უკვე საუბრობენ "საქტრანსგაზმრეწვის" მიერ ტენდერზე შეტანილი საკვალიფიკაციო მონაცემების მთავარ ნაკლოვანებაზე: როგორც ირკვევა, "საქტრანსგაზმრეწვს" მუშაობა დიდი ხანია, შეწყვეტილი აქვს. ამდენად, ამხანაგობა "ახალი მენეჯმენტის" წინადადება, რომლის მიღმაც ამჟამად მოქმედი, თანაც, საკმაოდ მომგებიანი გაზის კორპორაცია და გაზის ტრანსპორტირების კომპანია დგანან, კომისიისთვის, შესაძლოა, უფრო მისაღები აღმოჩნდეს. გარდა ამისა, შესაძლოა, "საქტრანსგაზმრეწვის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ზაზაშვილის წინააღმდეგ შემობრუნდეს ამ კომპანიის მთავარი "კოზირიც" - "იტერასათვის" სასამართლოში მოგებული 20 მილიონი ლარი. სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებულის გამოვლენის პროცესში ქვეყნის ერთადერთი გაზმომმარაგებლის კეთილგანწყობაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

თუ გავითვალისწინებთ ალეკო გოცირიძის გავლენას სახელისუფლებო სტრუქტურებზე და გაზის საერთაშორისო კორპორაციისა თუ გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გახშირებულ სტუმრობებს "იტერას" ხელმძღვანელობასთან მოსკოვში, შესაძლოა ითქვას, რომ "საქტრანსგაზმრეწვს" არავითარი შანსი არ რჩება. ამას თავად "საქტრანსგაზმრეწვის" გენერალური დირექტორი ვანო ზაზაშვილიც აღიარებს. **"ჩვენი ბიზნეს-გეგმის მიხედვით, "თბილგაზს" სუბსიდირება აღარ დასჭირდება და სულ რაღაც ერთ წელიწადში შემოსავლებსაც მოიტანს. მიუხედავად ამისა, ჩვენ "თბილგაზს" არავინ მოგვცემს, მაგრამ განაცხადი მაინც შევიტანეთ,"** – წუხს ის და აცხადებს, რომ ალეკო გოცირიძესთან დაპირისპირება მას მარტოს, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე უწევს. ზაზაშვილთან კავშირს უარყოფენ ლეიბორისტებიც. საკრებულოს მდივანმა ზურაბ ჟვანიამ "24 საათს" განუცხადა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობამდე, მისი საადვოკატო პრაქტიკის მანძილზე, საკმაოდ ბევრ დავაში მიუღია მონაწილეობა. **"ამდენად, სწორი არ იქნება, ჩემი სახელი ყველა იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს დაუკავშირდეს, ვისთვისაც იურიდიული მომსახურება გამიწევია,"** – განმარტა მან.

## მონიტორინგი

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 5 მარტისთვის

მლნ. ლარებში

| დასახელება | პირველი კვარტლის პროგნოზი | შესრულება | % | 5 მარტი |
|---|---|---|---|---|
| **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები** | 252.46 | 118.88 | 47% | 0.82 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 186.38 | 81.72 | 44% | 0.3 |
| საგადასახადო შემოსავლები | 151.98 | 77.59 | 51% | 0.22 |
| სოციალური ფონდი | 53.84 | 31.62 | 59% | 0.45 |
| საგზაო ფონდი | 12.23 | 5.53 | 45% | 0.07 |
| **დეფიციტის დაფინანსება** | | 37.26 | | |

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 1 - 7 მარტის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UKE | US$ | Euro | Yen |
|---|---|---|---|---|
| UKE | | 0.6243 | 0.6859 | 0.0053 |
| US$ | 1.6019 | | 1.0985 | 0.0085 |
| Euro | 1.458 | 0.9103 | | 0.0078 |
| Yen | 188.02 | 117.36 | 128.94 | |

# სადამ ჰუსეინი: „ჩემი რაკეტები ოფიცრები არიან"

## ერაყელები ომის მოლოდინში


სადამ ჰუსეინი ერაყელი ოფიცრების წინაშე.

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ ბრიტანულმა გავლენიანმა გაზეთმა "ფაინანშალ ტაიმსმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ბაღდადში არსებულმა რუსეთის ფედერაციის საელჩომ ერაყში მყოფი რუსი მოქალაქეების ევაკუაცია დაიწყო. ამ მომენტისათვის ერაყში რუსეთის 700-მდე მოქალაქე იმყოფება. პარალელურად, მეორე ბრიტანული გამოცემა "დეილი ტელეგრაფი" სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ერაყში საომარი ოპერაციები 17 მარტს დაიწყება. ყოველივე ამის ფონზე ერაყის ლიდერი სადამ ჰუსენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს თავგანწირული ბრძოლისაკენ მოუწოდებს.*

**"ოთხშაბათს ბაღდადის მთავარ ქუჩებში პოტენციური კამიკაძეების მარში გაიმართა, ხოლო ეროვნული თეატრის შენობასთან ერაყის გვარდიის ალლუმი შედგა,"** იუწყება "ფაინანშალ ტაიმსი." მათ წინაშე თავად ქვეყნის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი წარსდგა, რომლის გამოსვლის შინაარსსაც ამჯერად სააგენტო "ბი-ბი-სი" აქვეყნებს. დიქტატორმა განაცხადა, რომ გაერო-ს მოთხოვნა "სამუდ-2" ტიპის რაკეტების განადგურების თაობაზე, ომის წინ ერაყელი ხალხის დემორალიზებას ისახავს მიზნად. თუმცა, ერაყის შეიარაღებული ძალების ოფიცრების წინაშე გამოსვლისას, ჰუსეინმა რაკეტები თავად სამხედროებს უწოდა და განაცხადა, რომ ერაყზე თავდასხმის შემთხვევაში, შეერთებული შტატები მეორე ვიეტნამს მიიღებს. **"ჩემი რაკეტები არიან ოფიცრები,"-** განაცხადა ერაყის პრეზიდენტმა. ცოტა ხნით ადრე კი, ერაყის ლიდერმა თავის ხალხს მოუწოდა, რომ არ შეეშინდეთ, თუკი ბრიტანული და ამერიკული სამხედრო დანაყოფები უდაბნოში ზოგიერთ რაიონებს დაიკავებენ. ბაღდადში "ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტის ცნობით, ეს განცხადება, დამკვირვებლების ინტერპრეტაციით, ნიშნავს მოწოდებას, რომ ერაყელებმა დიდი ქალაქები უბრძოლველად არ უნდა დათმონ.

ამასთანავე, უშიშროების საბჭოში წარდგენილ ამერიკულ-ბრიტანულ რეზოლუციასთან დაკავშირებით, ცნობილი გახდა ჩინეთის პოზიციაც. ოფიციალური პეკინი აცხადებს, რომ ვაშინგტონის ახალ რეზოლუციას საფრანგეთთან, რუსეთთან და გერმანიასთან ერთად დაბლოკავს. ამასთან დაკავშირებით, "ბი-ბი-სი" გაერო-ში არსებულ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ლონდონი უკვე განიხილავს რეზოლუციის პროექტში შესწორებების შეტანის შესაძლებლობას, რომლის თანახმად, ბაღდადს უკანასკნელი შანსი მიეცემა, რათა დაამტკიცოს, რომ სურს გაერო-სთან თანამშრომლობა და მზად არის, დაიწყოს განიარაღების პროცესი. თუმცა, არსებული ინფორმაციით, ერაყი ასრულებს გაერო-ს მოთხოვნას და დღეისათვის 150 რაკეტიდან 36 უკვე განადგურებულია. მაგრამ, როგორც ჩანს, ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. ერაყში ომის დაწყება უკვე გარდაუვალია და ეს ყველამ კარგად იცის. ბრიტანული გავლენიანი გამოცემა "დეილი ტელეგრაფი" უფრო შორსაც მიდის და, ბრიტანეთის სამხედრო წრეებზე დაყრდნობით, ომის დაწყების თარიღსაც ასახელებს. გაზეთის ინფორმაციის თანახმად, საჰაერო დარტყმების შემდეგ, ამერიკულ-ბრიტანული კოალიციის სამხედრო შენაერთები ერაყის ტერიტორიაზე 17 მარტს შეაბიჯებენ. გამოცემის ცნობით, შეჭრის თაობაზე ბრძანება იმ შემთხვევაშიც გაიცემა, თუკი გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრი ომის მოწინააღმდეგე ქვეყნები ამ გადაწყვეტილებას ვეტოს დაადებენ.

ამერიკელი და ბრიტანელი სამხედროების გეგმის თანახმად, საბრძოლო ოპერაციები ერაყის ტერიტორიაზე 10 აპრილამდე უნდა დასრულდეს, რადგანაც ამის შემდეგ კლიმატური პირობები საბრძოლო ოპერაციების წარმოებას მკვეთრად გაართულებს. თუმცა, ამავე დროს "დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ ლონდონი და ვაშინგტონი ყველაფერს გააკეთებენ, რათა უშიშროების საბჭოს წევრები ახალი რეზოლუციის მიღებაზე დაითანხმონ და საომარი ოპერაციების დაწყებას ერაყის წინააღმდეგ გზა გაუხსნან. არ არის გამორიცხული, რომ ამ დოკუმენტში ჩაიდოს პუნქტი ჰუსეინისათვის ულტიმატუმის წაყენების თაობაზე.

პარალელურად, სხვა ბრიტანული გაზეთი "სან" იუწყება, რომ ჯორჯ ბუში ერაყს 72 საათის ვადას მისცემს განიარაღებისათვის. ჰუსეინისათვის ულტიმატუმის წაყენება, უშიშროების საბჭოში რეზოლუციის მისაღებად, კენჭისყრის დაწყებამდე მოხდება. ასეთ შემთხვევაში კი, რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს კენჭისყრა, სამი დღის შემდეგ ერაყის მასირებული დაბომბვები დაიწყება.

ასევე ცნობილი ხდება, რომ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორმა ჯორჯ ტენეტმა ოთხშაბათს ქუვეითში, ერაყის საკითხთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები გამართა. ამის თაობაზე, არაბული გაზეთი "ალ-ვათანი" იუწყება. გაზეთის ცნობით, ტენეტი ქუვეითის თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრებს შეხვდა. მან ასევე მოლაპარაკება გამართა ქუვეითის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის გენერალურ დირექტორთან. შეხვედრის დროს ერაყში შესაძლო შეჭრის შესახებ ისაუბრეს. დეტალები, რასაკვირველია, ყველასთვის გასაიდუმლოებულია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს შეფი, ჩვეულებრივ, ქვეყნის საზღვრებს ძალზე იშვიათად ტოვებს ხოლმე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვითარება მართლაც ექსტრემალურია.

მდგომარეობის სირთულესა და ერაყში ომის დაწყების რეალურ საფრთხეზე ის ფაქტიც მიანიშნებს, რომ რუსეთმა ბაღდადიდან თავისი მოქალაქეების სასწრაფო ევაკუაცია დაიწყო. მოსკოვი, რომელიც ომის მოწინააღმდეგე სხვა ქვეყნებთან ერთად, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის რეზოლუციაზე ვეტოს დადებას აპირებს, აცნობიერებს, რომ ვაშინგტონი ბაღდადზე დარტყმების განხორციელებას გაერო-ს სანქციის გარეშეც დაიწყებს. ასეთ შემთხვევაში კი, "დეილი ტელეგრაფის" ცნობა 17 მარტს ომის დაწყების თაობაზე, შესაძლოა, საფუძველს მოკლებული არ იყოს.

# ჩინეთში სრულიად სახალხო ყრილობამ მუშაობა დაიწყო


ჩინეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი ძიან ძემინი ყრილობაზე.

5 მარტს ჩინეთის დედაქალაქ პეკინში სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა რიგით მეათე ყრილობა გაიხსნა. 12 დღის განმავლობაში დელეგატებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობა უნდა დაამტკიცონ. გარდა ამისა, ყრილობამ უნდა განიხილოს ჩინეთის ეკონომიკური განვითარების შემდგომი გზები და ბიუროკრატიულ აპარატში რეფორმების დაწყებას გზა უნდა გაუხსნას.

აღსანიშნავია, რომ საკადრო გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი უკვე მიღებულია. ყრილობას მხოლოდ ამ გადაწყვეტილების დამტკიცება მოუწევს. როგორც ცნობილია, 15 მარტს დელეგატები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს დაამტკიცებენ. მოსალოდნელია, რომ მთავრობის ახალ შემადგენლობაში ამჟამინდელი ლიდერის ძიან ძემინის გარემოცვის მრავალი წევრი შევა.

რაც შეეხება ეკონომიკურ განვითარებას, ამასთან დაკავშირებით, ყრილობა მართლაც უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებას აპირებს. **"ჩვენ დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ მუშებისათვის ხელფასის დროულ გადახდას და გლეხების კეთილდღეობის გაუმჯობესებას,"-** განაცხადა სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჩჟუ ჟუნცზიმ. მას დეტალები არ გაუმჟღავნებია. თუმცა, მოსალოდნელია, რომ ჩინეთის ხელისუფლება ახლო მომავალში ყველანაირად შეეცდება მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული მკვეთრი განსხვავების შემცირებას და ჩამორჩენილი რეგიონებისა და პროვინციების აყვავებას. გარდა ამისა, ყრილობა ჩინეთის ხელისუფლების ორგანოებში ბიუროკრატიული აპარატის შემცირებაზეც იმსჯელებს და, როგორც ვარაუდობენ, კონკრეტულ გადაწყვეტილებასაც გამოიტანს. ამდენად, მეათე ყრილობის შედეგები ჩინეთისათვის, შესაძლოა, ახალი ერის დაწყების ტოლფასი გახდეს.

# ავიაკატასტროფა ალჟირში

გუშინ, ავიაკომპანია "ეარ ალჟირის" თვითმფრინავმა "ბოინგ-737" ალჟირის სამხრეთ პროვინციის ტამან–რასეტის აეროპორტიდან აფრენის შემდეგ რამდენიმე წუთში კატასტროფა განიცადა. პროვინცია ტამან-რასეტი ალჟირის სამხრეთში, საჰარას უდაბნოში მდებარეობს. ბოინგ-737-ს ქვეყნის დედაქალაქისკენ - ალჟირისკენ ჰქონდა გეზი აღებული. თვითმფრინავის ბორტზე 97 მგზავრი და ეკიპაჟის ექვსი წევრი იმყოფებოდა. უკვე ცნობილია, რომ ერთის გარდა, ყველა მგზავრი დაიღუპა. მონაცემები იმის თაობაზე, რომ კატასტროფა ტერაქტის შედეგი იყო, ჯერჯერობით არ არსებობს.

# სომხეთი არჩევნების მეორე დღეს

რევაზ ბახტაძე

**"გუშინდელი არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა. ჩვენ იმედგაცრუებულები ვართ, უკეთესს მოველოდით"**, - ამ სიტყვებით დაიწყო სომხეთში ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა პიტერ აიხერმა პრეს-კონფერენცია.

გუშინ სასტუმრო "არმენიაში" ეუთოსა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საერთაშორისო დამკვირვებლებმა 5 მარტს სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთეს.

საერთაშორისო დამკვირვებლების პრეს-კონფერენციას წინ უსწრებდა სომხეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების წინასწარი ოფიციალური შედეგების გამოცხადება.

ცესკო-ს თავმჯდომარის არტაკ საჰრადიანის მონაცემებით, ამომრჩეველთა 67.5 პროცენტმა ხმა მისცა რობერტ ქოჩარიანს, ხოლო 32.5 პროცენტმა - სტეპან დემირჭიანს.

აღსანიშნავია, რომ არჩევნების დღეს დაახლოებით 11 საათისათვის დემირჭიანის შტაბში უკვე იცოდნენ ცესკო-ს მონაცემების თაობაზე და ღამის 12 საათზე საგანგებო პრეს-კონფერენცია მოიწვიეს.

**"ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი არ ყოფილა, როგორიც არ უნდა იყოს მისი საბოლოო შედეგი"**, - განაცხადა გრიგორ ჰარუთუნიანმა, სტეპან დემირჭიანის საარჩევნო შტაბის უფროსმა. **"ჩვენ უპრეცედენტო გაყალბების მოწმენი გავხდით არჩევნების დღეს",** - დასძინა მან.

დემირჭიანის შტაბის ინფორმაციით, იმ უბნებში, სადაც მათმა კანდიდატმა გაიმარჯვა, საარჩევნო კომისიები ხშირად უარს აცხადებდნენ შედეგების დამტკიცებაზე.

ცესკო-ს ინფორმაციით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 583 107 მოქალაქემ, დემირჭიანის შტაბი კი ამტკიცებს, რომ მონაწილეობა მხოლოდ 1 100 000 მიიღო, დანარჩენი ხმები კი რობერტ ქოჩარიანს უბრალოდ მიუთვალეს. თუმცა, მიმომხილველები 400 000 ბიულეტენის გაყალბებას გადაჭარბებულად მიიჩნევენ.

საერთაშორისო დამკვირვებელთა თქმით, მათ 15 შემთხვევაში დააფიქსირეს ბიულეტენების ჩაყრის ფაქტები.

**"ხმის მიცემისა და დათვლის პროცესი გუშინ სერიოზული დარღვევების თანხლებით მიმდინარეობდა",** - განაცხადა 6 მარტს გამართულ პრეს-კონფერენციაზე აიხერმა.

არტაკ საჰრადიანის განცხადებით კი, მნიშვნელოვანი დარღვევები არ ყოფილა და ყველაფერმა მშვიდ ვითარებაში ჩაირა. **"არცერთი მნიშვნელოვანი სარჩელი ან შენიშვნა არ მიგვიღია არც საერთაშორისო და არც ადგილობრივი დამკვირვებლებისაგან",** - აღნიშნა საჰრადიანმა "24 საათთან" საუბრისას.

ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის მტკიცებით, ორ რაუნდს შორის პერიოდში ასევე სერიოზული დარღვევები მოხდა. ადმინისტრაციული წესით დაკავებულ იქნა დაახლოებით 200 ადამიანი, რომელთაგან 77 სატუსაღოშიც მოხვდა. მათი **"უმრავლესობა არჩევნების წინა დღეს გამოუშვეს, რაც ამ მდგომარეობას არ ამსუბუქებს",** - აღნიშნა აიხერმა. პიტერ აიხერის თქმით, ხელისუფლებამ პირველ რაუნდში დაშვებული შეცდომებისთვის არავინ დასაჯა.

სომხეთის ხელისუფლებას პირველ რაუნდში გამოვლენილი დარღვევებისათვის დამნაშავეების დასჯისაკენ ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა არჩევნების წინადღითაც მოუწოდა.

საერთაშორისო დამკვირვებლებს მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტობის ორ კანდიდატს შორის გამართული დებატები აშკარად დადებითი მოვლენა იყო. მათი აზრით, სამოქალაქო საზოგადოების მშვიდობიანი საპროტესტო აქციები და ადგილობრივი დამკვირვებელი ჯგუფების აქტიურობა ასევე დადებითად უნდა შეფასდეს.

საერთო ჯამში კარგად ორგანიზებულ საარჩევნო პროცესს, პიტერ აიხერის თქმით, თან მოჰყვა სერიოზული დარღვევები. აღსანიშნავია, რომ ეუთოსა და ევროპის საბჭოს ერთობლივ განცხადებაში ბიულეტენების უკანონო ჩაყრა რამდენჯერმე არის აღნიშნული.

**"ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ მეორე რაუნდი უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სამყარო ორ კვირაში ძალზე იშვიათად იცვლება",** - ღიმილით აღნიშნა ლორდმა რასელ ჯონსტონმა.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, რამდენად ლეგიტიმური იქნება არჩეული პრეზიდენტის ხელისუფლება, ლორდმა ჯონსტონმა და პიტერ აიხერმა განაცხადეს, რომ მათ უფლებამოსილებაში არ შედის ლეგიტიმურობის ცნობა/არ ცნობა. **"ეს სომეხი ხალხის გადასაწყვეტია",** - აღნიშნა რასელ ჯონსტონმა. "ჩვენ მხოლოდ არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა უნდა დავადგინოთ", - გააგრძელა პიტერ აიხერმა.

ეუთო-სა და ევროპის საბჭოს შეფასებებისაგან კარდინალურად განსხვავდებოდა დსთ-ს აღმასრულებელი მდივნის იაროვის განცხადება, რომელიც დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების გადაწყვეტილების საფუძველზე არჩევნების მონიტორინგს ახორციელებდა.

"სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიული და ლეგიტიმურია", - განაცხადა 6 მარტს მასმედიასთან შეხვედრისას იაროვმა.

უმნიშვნელო შენიშვნების გარდა, დსთ-ს სახელით გაკეთებული განცხადება სავსეა სომხური დემოკრატიის მიმართ გამოთქმული დითირამბებით.

რუსეთის ერთპიროვნული გავლენის ქვეშ მყოფი საერთაშორისო ორგანიზაციის ამგვარი განცხადება გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო, თუ გავითვალისწინებთ მოსკოვისა და ერევნის ძმურ ურთიერთობებს. თუმცა, ადგილობრივი მომიმხილველები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები კერძო საუბარში აღნიშნავდნენ, რომ იაროვმა აშკარად "გადაამლაშა".

დასავლური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული განცხადებით ზურგმომაგრებულმა სტეპან დემირჭიანმა უკანასკნელი კვირების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეკრება მოაწყო მათენადარანთან (ხელნაწერების მუზეუმი).

აღსანიშნავია, რომ მასობრივი გულგატეხილობის მიუხედავად, ათიათასობით ადამიანმა მოიყარა თავი და მუსიკის ფონზე დემირჭიანის ბევრი მხარდამჭერი "მტრის გულის გასახეთქად" მაინც ცეკვავდა.

**"ჩვენ კონსტიტუციური მეთოდებით გავაგრძელებთ ბრძოლას",** - განუცხადა მათენადარანთან შეკრებილ ჟურნალისტებს სტეპან დემირჭიანმა.

**"ჩვენ ამ არჩევნებს არ ვცნობთ და ბრძოლას ბოლომდე გავაგრძელებთ, რასაკვირველია, არსებული სამართლებრივი საშუალებებით",** - აღნიშნა დემირჭიანის უახლოესმა მოკავშირემ, სომხეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა არამ სარგსიანმა.

კონსტიტუციურ მექანიზმებზე ხაზის გასმა დემირჭიანის შტაბს იმისთვის სჭირდება, რომ მათ სტაბილურობის შერყევაში არ დასდონ ბრალი, რაშიც ხელისუფლება ოპოზიციას ადანაშაულებს. ეს საერთაშორისო თანამეგობრობისათვისაც მიუღებელია და დემირჭიანს მისთვის ესოდენ საჭირო დასავლეთის მხარდაჭერას გამოაცლის ხელიდან.

თუმცა, დემირჭიანის შტაბის მტკიცე გადაწყვეტილება, რომ ყოველდღიური შეკრებები გააგრძელონ და დღეს, კვლავ, 4 საათზე დანიშნული შეკრების შემდეგ უკვე ცენტრალური საარჩევნო კომისიისაკენ დაიძრან, სამოქალაქო დაპირისპირების შესაძლებლობას ზრდის.

# კავკასიური ტრიბუნალი - ევროპის საბჭო ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოძიებას აპირებს

*ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევის გამოსაძიებლად ტრიბუნალის შექმნის იდეის ავტორები როგორც რუსეთის არმიის, ისე ჩეჩენი მებრძოლების მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულების ჩამდენთა დასჯას აპირებენ.*

ლევან ღირსიაშვილი

23 მარტს ჩეჩნეთში ახალი კონსტიტუციის თაობაზე რეფერენდუმი იმართება. პუტინის მიერ ჩეჩნებისათვის "ბოძებული" კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ კი, ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნების ჯერი დადგება.

დღეს რუსეთის ხელისუფლებას ჩეჩნეთში დამყარებული სტაბილურობის დემონსტრირება ისე სჭირდება, როგორც არასოდეს. ამიტომაც გამოაცხადა კრემლმა რესპუბლიკაში დისლოცირებული შეიარაღებული ძალების შემცირების და გროზნოს ცენტრში ე. წ. ბლოკპოსტების აღების შესახებ. როგორც ფედერალური, ისე ჩეჩნეთის პრორუსული მთავრობა ყველანაირად ცდილობს, რეფერენდუმში რაც შეიძლება ბევრმა მოქალაქემ მიიღოს მონაწილეობა. წარმატებით ჩატარებული რეფერენდუმი, კრემლის ჩანაფიქრით, ჩეჩნეთში "ანტიტერორისტული ოპერაციის" დასრულების ფორმალური დადასტურება უნდა გახდეს.

მოსკოვი აცხადებს, რომ ჩეჩნეთში ვითარებას აკონტროლებს და მოსახლეობაც ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდება. ჩეჩენ პარტიზანებს კი სწორედ საწინააღმდეგოს მტკიცება უწევთ. რეფერენდუმის წინ ვითარების გამწვავებას ყველა ელოდება. უკვე ორი-სამი კვირით ადრე, რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეში, რუსულ არმიასა და ჩეჩენ მებრძოლებს შორის გააფთრებული შეტაკებები დაიწყო. რუსების აღიარებით, კასპიის ფლოტილიის საზღვაო ქვეითთა ასეულმა დაღესტნის საზღვართან რამდენიმე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა. მოულოდნელად ერთი გასაიდუმლოებული ამბავიც გაირკვა – წინა შაბათს ჩეჩნეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ახმად ყადიროვს, თურმე, თავს დაესხნენ, მისი რამდენიმე მცველი მოუკლავთ, თავად ყადიროვი კი სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა. მეტიც, ორიოდე დღის წინ შამილ ბასაევმა შეძლო დამონტაჟებული ნაღმის აფეთქებით საიქიოს გაესტუმრებინა თავისი ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე – რუსების მიერ გადაბირებული საველე მეთაური იამადაევი. იამადაევი, თავის სამთო მსროლელ ასეულთან ერთად, მთებში მასხადოვისა და ბასაევის ერთგულ ჩეჩენ საველე მეთაურებზე ნადირობდა და არაერთი მათგანი იმსხვერპლა კიდეც.

მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია აიძულა, გროზნოში თავისი წარმომადგენლობა დაეხურა, ჩეჩნეთი დასავლეთისთვის კიდევ უფრო "გაუმჭვირვალე" ტერიტორიად იქცა. ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ჩეჩნეთში შექმნილ მდგომარეობაზე ინფორმაციის მოპოვების ლამის ერთადერთ წყაროდ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მისიების არარეგულარული და მოკლევადიანი ვიზიტებიღა დარჩა. დასავლეთისათვის ეჭვს არ იწვევს, რომ ჩეჩნეთის ვითარების სრული სურათის დასახატად ამგვარი ვიზიტები არასაკმარისია.

ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე ყურადღების მიქცევას, ეუთო-სთან ერთად, ევროპის საბჭოც ცდილობს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ევროპის საბჭოს პირდაპირი მოვალეობაა, მით უმეტეს, რომ რუსეთი ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია. მაგრამ ბოლო დრომდე ევროპის საბჭოს მცდელობებს შედეგი არ ჰქონდა.

ამ კვირის დასაწყისში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიულ კომიტეტზე გერმანელმა დეპუტატმა რუდოლფ ბინდინგმა ჩეჩნეთის საკითხზე საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის იდეა წამოაყენა. ბინდინგი თავად იყო ჩასული ჩეჩნეთში და საკუთარი თვალით იხილა ჩეჩნური "სტაბილურობა".

ახალი ტრიბუნალი, ჩანაფიქრის მიხედვით, ჩეჩნეთში სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებით იქნება დაკავებული. ბინდინგის განმარტებით, ჩეჩნეთის ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალის მიხედვით მოეწყობა. გერმანული გაზეთის "ფრანკფურტერ რუნდშაუს" ცნობით, ევროპარლამენტი ადამიანის უფლებების დარღვევის კონკრეტული დანაშაულების გამოძიებას კავკასიაში მშვიდობის დამყარების და კონფლიქტების მოგვარების ეფექტურ საშუალებად მიიჩნევს.

რუდოლფ ბინდინგი ევროპარლამენტში გერმანიის ბუნდესტაგის დელეგაციას ხელმძღვანელობს და საკმაოდ გავლენიან პოლიტიკოსად მიიჩნევა. ევროპარლამენტში ამ საკითხის წამოჭრამდე, მან გერმანიის კანცლერ შრიოდერს ჩეჩნეთის საკითხში უფრო მკაცრი პოზიციის დაკავებისაკენ მოუწოდა. ეს მოწოდება ბერლინში რუსეთის პრეზიდენტის ამასწინანდელ ვიზიტს დაემთხვა.

რა შეიძლება მოჰყვეს ბინდინგის ინიციატივას ჩეჩნეთისათვის? ამ ტრიბუნალის შექმნის იდეის წამოჭრით, ევროპის საბჭომ ხელი მოაწერა ჩეჩნეთის საკითხში თავის უუნარობას. ევროპის საბჭომ, ბოლო წლების განმავლობაში, ვერაფრით მოახერხა, აეძულებინა თავისი წევრი რუსეთი, ჩეჩნეთის კონფლიქტის დროს ჯეროვნად დაეცვა ადამიანის უფლებები. ძნელი სათქმელია, რამდენად მოხერხდება ამ პრობლემის გადაჭრა ტრიბუნალის შექმნით, რომელიც ისეთივე პოლიტიზებული შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც თავად ევროსაბჭოსა და რუსეთის ურთიერთობებია.

თავად ჩეჩნური დაუმორჩილებლობის მოძრაობა ოპტიმისტურად არის განწყობილი. ტრიბუნალის შექმნის იდეას უკვე მიესალმა ჩეჩნეთის დევნილი საგარეო საქმეთა მინისტრი ილიას ახმადოვი. ტრიბუნალის შექმნას მან "სერიოზული ნაბიჯი" უწოდა. ახმადოვის განცხადებაში ნათქვამია, რომ "მართლმსაჯულების გარეშე მშვიდობის დამყარება შეუძლებელია". მაგრამ, ვის მიმართ უნდა აღსრულდეს მართლმსაჯულება? უკვე დიდი ხანია, ცნობილია, ვინც ხვდება ჩეჩნების "შავ სიაში" – ელცინი, გრაჩოვი, პუტინი, სერგეი ივანოვი, ტროშევი და სხვები. შეძლებს ისეთი "უხერხემლო" ორგანიზაცია, როგორიც ევროპის საბჭოა, ამ პირების პასუხისგებაში მიცემას? საეჭვოა.

# „ლეიბორისტები" საოლქოდან უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლებენ

*შალვა ნათელაშვილი თბილისის მოსახლეობისთვის მხოლოდ ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებასთან როდი იგივდება. ელექტროენერგიის საფასურის პარალელურად, იგი წყლის ტარიფის შესამცირებლადაც კარგა ხანია აქტიურად იბრძვის. თუმცა, - საკრებულო და სასამართლო ხელს არ მიწყობენო, - ჩივის ის.*

ნანა ქადაგიშვილი

"ლეიბორისტებმა" წინა მოწვევის საკრებულოს გადაწყვეტილება, ჯერ კიდევ გასული წლის მარტში გაასაჩივრეს, მაგრამ ჯერ მოპასუხე მხარე - ანუ საკრებულო, არ არსებობდა, ხოლო როცა შეიქმნა, სასამართლოში არ ცხადდებოდა და, ამის გამო, სასამართლო პროცესი მხოლოდ გუშინ შედგა. მართალია, საკრებულოს წარმომადგენელი არც გუშინდელ პროცესს დასწრებია, მაგრამ მოპასუხე მხარის ორჯერ გამოუცხადებლობის შემდეგ სასამართლოს პროცესის გამართვის უფლება უკვე ჰქონდა. პროცესი, როგორც იქნა, შედგა, მაგრამ "ლეობორისტებს" ერთწლიანი ლოდინი არ დაუფასდათ, სასამართლომ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

სასამართლოს ასეთმა გადაწყვეტილებამ "ლეიბორისტებსა" და "დემოკრატიის განვითარემის ცენტრს" ეჭვი უფრო გაუღრმავა. ორივე კარგა ხანია, აცხადებს, რომ ქალაქის მესვეურები "თბილწყალკანალს" მიზანმიმართულად აკოტრებენ, რათა მერე გაყიდონ. "მაქვს ინფორმაცია, რომ "თბილწყალკანალის" გაყიდვას აპირებენ. სასმელ წყალზე ტარიფის გაზრდა იმ ჯგუფის დაკვეთა იყო, რომელსაც ამ ობიექტის ხელში ჩაგდება სურს. თბილისის მოსახლეობა გაზრდილ ტარიფს ვერ გადაიხდის, "თბილწყალკანალი" გაკოტრდება და მერე იაფად ჩაიგდებენ ხელში. რაც თელასის შემთხვევაში მოხდა, ახლაც იგივე განმეორდება. მოვა ახალი მესაკუთრე, რომელიც წყალს არ დაგვალევინებს", - განაცხადა ერთ-ერთი მორიგი პროცესის გადადების შემდეგ შალვა ნათელაშვილმა.

ერთი თვის წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე იგივეს ამტკიცებდა "დემოკრატიის განვითარების ცენტრიც": "მართალია, "თბილწყალკანალს" სხვადასხვა ორგანიზაციების ვალი 18 998 მლნ. ლარი აქვს, მაგრამ მის მიმართ დავალიანებებს თუ გავითვალისწინებთ, დავალიანება ზარალს მაინც ანეიტრალებს. საბიუჯეტო და სამრეწველო ორგანიზაციებს მისი 25,38 მლნ. ლარი ვალი აქვთ, მოსახლეობას, 15 მლნ.-ის ჩამოწერის შემდეგ - 23 მლნ. ლარი. ასე რომ, "თბილწყალკანალი" მაინც მომგებიანი ორგანიზაციაა და მისი რეაბილიტაცია საკუთარი ძალებითაც შეგვიძლია, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას მისი უცხოელებზე გაყიდვა ურჩევნია."

"წყალკანალისა" და ქალაქის ხელმძღვანელობა კი გვარწმუნებს, რომ "წყალკანალი", მხოლოდ და მხოლოდ, 10-წლიანი იჯარით გაიცემა, რასაც კომპანიის პრივატიზებასა და სასმელი წყლის ტარიფის გაზრდასთან არავითარი კავშირი არ აქვს. "წყალკანალი" კვლავ მუნიციპალურ საწარმოდ რჩება, ხოლო ტარიფს კვლავ საკრებულო ადგენს. თუმცა, მსგავსი განცხადებები "ლეიბორისტებს" ვერ ამშვიდებს. ისინი ფარ-ხმალს არ ყრიან და საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებას აპირებენ.




# 8 მარტის განხილვა ჰორმონალურ ჭრილში

მაკა ჯაიანი

*პარლამენტარ ნატო ჩხეიძეს ესმის, რა განსხვავებაა ქალსა და მამაკაცს შორის. "მე ექიმი ვარ და ფიზიოლოგია ვიცი. ქალსა და მამაკაცს განსხვავებული ჰორმონები აქვთ. მამაკაცის ჰორმონებს ჰქვია ანდროგენები, ქალისას - ესტროგენები. როგორც კი ეს ბალანსი იცვლება, ყველაფერი ირღვევა." ამ განმარტების მოტანა ტრადიციონალისტ ქალბატონს 8 მარტთან დაკავშირებით დასჭირდა.*



ნატო ჩხეიძე და ალეკო შალამბერიძე.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

**"8 მარტის აღნიშვნა ჩვენი საზოგადოებისთვის შეგნების გაორებას ნიშნავს. ეს საბჭოური გადმონაშთია. იმ დროს ბევრ ისეთ დღესასწაულს აღგვანიშნინებდნენ, რომლებიც სულ არ გვეზეიმებოდა. გაიხსენეთ 7 ნოემბერი, 25 თებერვალი... დღესასწაული ისეთივე მნიშვნელოვანი რამ არის სახელმწიფოსთვის, როგორიც დროშა, გერბი, ჰიმნი. ნორმატიული აქტი იმის შესახებ, თუ რა თარიღები და როგორი თანმიმდევრობით უნდა აღინიშნებოდეს, არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს, ამას სახელმწიფო პოლიტიკა უნდა არეგულირებდეს. 8 მარტი საბჭოეთის ნიშან-სვეტია, მისი ერთ-ერთი სიმბოლო. იგი იმისთვის შემოიღეს, რომ მომხდარიყო ქალებისა და მამაკაცების თანასწორობა. მაგრამ, განა ეს სამართლიანია? არის კი ქალისა და მამაკაცის თანასწორობა კარგი?** (ამ კითხვებს მოჰყვა ზემოთ უკვე მოყვანილი ციტატა, განსხვავებების შესახებ - მ.ჯ.) **შეიძლება, ეს არის იმის მიზეზი, რომ ქალები და მამაკაცები გაუკუღმართებულ მდგომარეობამდე მივიდნენ?"** - ვარაუდობს ნატო ჩხეიძე.

პარლამენტარმა მანდილოსანმა სქესთა თანასწორობაზე გამოთქმული ეს მოსაზრება შემდეგნაირად განავრცო: **"რატომ უნდოდათ საბჭოთა კავშირში ქალისა და მამაკაცის თანასწორობა? იმიტომ, რომ ქალებსაც ემუშავათ დაზგებთან, ემართათ ტრაქტორები და ა.შ. ერთ დღეს კი დაბანდნენ, დავარცხნიდნენ და ეტყოდნენ, - აი, შენ ყვავილიო. საქართველოში მამაკაცსა და ქალს შორის თანასწორობის დეფიციტი არავის აქვს. მაშ, რაღას ვზეიმობთ?** - კიდევ ერთ კითხვას სვამს იგი, - **ასეთი საკითხები სახელმწიფო იდეოლოგიის გათვალისწინებით უნდა წყდებოდეს. საქართველოში სახელწიფო დონეზე არ აღინიშნება თამარის დღე და "კლარა ცეტკინის დღეს" ავღნიშნავთ. განა, ეს მისაღებია? საბჭოეთის ეპოქაში გაზრდილი ადამიანებისთვის არ უნდა იყოს მისაღები. 50 წლის შემდეგ, თუკი ვინმეს მოუნდება 8 მარტის აღნიშვნა, დააწესოს, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ ეს თარიღი არ უნდა აღიაროს. მით უმეტეს, რომ დროთა განმავლობაში იგი 3 მარტის - დედის დღის ნიველირებას გამოიწვევს."**

ასეთი კატეგორიულობა ნატო ჩხეიძის შეხედულებებს არც მას შემდეგ მოჰკლებია, რაც შეახსენეს, 8 მარტი ქალთა დღედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამაც კი აღიარაო. **"მერე რა, რომ ავსტრია აღნიშნავს 8 მარტს? მას, შეიძლება, ჰქონდეს ვარდის დღე, ტომატის დღე... კი, ბატონო, ნეკერჩხლის ფოთოლი სულაც კანადის სიმბოლოა... ჩვენ ბალტიისპირეთს შევხედოთ - წელს უკვე მესამედ თქვეს იქ უარი ამ თარიღის აღნიშვნაზე. დღევანდელ "საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილ წერილში 15-მდე ვეტერანმა ისიც მოითხოვა, - საბჭოთა კავშირის ჰიმნი დავაბრუნოთ, მუსიკა იყო კარგიო. შეიძლება იყო კიდეც, მაგრამ რა ხდებოდა ამ მუსიკის ფონზე? ამის გათვალისწინებით დავაყენეთ ჩვენ 8 მარტის გაუქმების საკითხი, თუმცა, პარლამენტმა მისი კენჭისყრაზე დაყენებაც არ ისურვა - უფრო მნიშვნელოვანი საკითხებია განსახილველიო. რატომღაც, მნიშვნელოვანი საკითხები მაშინ არ გახსენებიათ, როცა ამ დღესასწაულის აღდგენას დაუჭირეს მხარი,"** - უხსენებს კოლეგებს "ცოდვებს" ტრადიციონალისტი ქალბატონი.

ეს საუბარი საქართველოს პარლამენტში გუშინ მიმდინარეობდა, პირველი რესპუბლიკის დარბაზში. ქალბატონ ნატოს გვერდს მამაკაცი უმშვენებდა - თანაგუნდელი ალეკო შალამბერიძე.

# შარაძე სააკაშვილს ახალი „ბასტიონებისკენ" მოუწოდებს

## "თუ მაგარი ბიჭია, დაგვიდგეს მხარში"

ლელა მარგიანი

*"პრესის საშუალებით მოვუწოდებ გიორგი შაიშმელაშვილს, რომ, როგორც მე მოვიხსენი იმუნიტეტი, დავაგდე მანდატი და, ვიდრე ბოდიში არ მომიხადეს, მანამდე არ დავბრუნდი პარლამენტში, ასევე მოიქცეს შაიშმელაშვილი და დღესვე დატოვოს პარლამენტარის მანდატი ბურჯანაძესთან," - განაცხადა გუშინ პრესკონფერენციაზე პარლამენტარმა გურამ შარაძემ.*



გურამ შარაძე ჩვეულ სტიქიაშია.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

"მცხეთა – უძველესი სატახტო და წმინდა ქალაქი, ათეული წლის მანძილზე ნადგურდებოდა - ჯერ საბჭოთა, ულმერთო საქართველოში, ახლა - თავისუფალ, მართლმადიდებლურ საქართველოში," – ამცნო შარაძემ პრესკონფერენციაზე მისულთ.

"მთავრობა და პროფესიონალი არქიტექტორები ყველაფერს აკეთებენ მის გასაყიდად", – ამბობს შარაძე და თანამედროვე მცხეთის პირველი მტრის ხატსაც ხატავს - "გამსახურდიას, იოსელიანი-კიტოვანის, შევარდნაძე-ჟვანიას და, საერთოდ, ყველა დროის არქიტექტორი, გია შაიშმელაშვილი, ფერებ-ფერებით მოვიდა პოლიტიკაში და უნიჭიერესი ქამელეონია".

გურამ შარაძის ინფორმაციით, მცხეთის გაყიდვა-მოუვლელობის საქმეში არანაკლები წვლილი მიუძღვის მცხეთა-თიანეთის გუბერნატორს, არმაზ შამანაურსაც. "შაიშმელაშვილმა და შამანაურმა პასუხი უნდა აგონ საქართველოს წინაშე. გუბერნატორმა, როგორც მცხეთის ახლანდელმა ხელისუფალმა, უნდა გვითხრას, ვისია უზარმაზარი კომპლექსი "მწვანე კონცხი" სვეტიცხოვლის წინ; რა მდგომარეობაა არმაზის გათხრებზე - ღია ცის ქვეშ მუზეუმში; როგორ ბინძურდება სანათლავი არაგვის წმინდა წყალი რესტორნებიდან ჩასული სიბინძურით, როგორ ნადგურდება დედათა მონასტერი ანტიოქია, რომლის გვერდით წლების მანძილზე სანაგვეა მოწყობილი,"- აღშფოთებულია შარაძე. საქმე იქამდეც კი მისულა, რომ მამა ზენონს ფიზიკური ანგარიშსწორებით დამუქრებიან. "მამა ზენონს თმის ერთი ღერიც რომ ჩამოუვარდეს, ჩვენ მათ მკაცრ განაჩენს გამოვუტანთ", – განაცხადა პარლამენტარმა და არ დააკონკრეტა ვის გულისხმობდა "მათში".

შარაძის მოთხოვნით, "დღესვე უნდა გამოცხადდეს მცხეთაში მორატორიუმი და გამოძიებულ იქნას შაიშმელაშვილის საქმიანობა მცხეთასა და თბილისში, რადგან "პარლამენტარ და არქიტექტორ შაიშმელაშვილს არ უნდა დავანებოთ საქართველოს ორი დედაქალაქის განადგურება."

დაუჯერებს თუ არა პარლამენტარი შაიშმელაშვილი პარლამენტარ შარაძეს და დროებით დაუტოვებს თუ არა მანდატს თავმჯდომარეს, ჯერჯერობით უცნობია.

შარაძემ სამეგობროდ ხელი ამჯერად მიხეილ სააკაშვილს გაუწოდა და მოუწოდა, რომ წინ აღუდგეს მცხეთა-თბილისის დამანგრეველებს და მასთან ერთად ამერიკის საელჩოსთან აშენებული კედელი და ალექსანდროვის ბაღში მშენებარე საელჩოს შენობა დაანგრიოს: "თუ მაგარი ბიჭია სააკაშვილი, ამაში დაგვიდგეს მხარში,"- განაცხადა შარაძემ.

განზრახვის სერიოზულობის ხარისხის გამოსახატავად გურამ შარაძემ პირდაპირ პრესკონფერენციაზე დაწვა მის მიერ დაწუნებული ერთ-ერთი კანონპროექტი მცხეთის სტატუსის შესახებ და თქვა, რომ ასეთივე ბედი ელის ყველა ანტიქართულ კანონს.

ბოლოს ქაღალდის ინკვიზიტორმა მასმედიის წარმომადგენლები მცხეთა-საგურამოს მოსახილავად მიიპატიჟა. შეხვედრა პარლამენტის შენობასთან დათქვეს - შაბათს, დილის 10 საათზე.

# „დეზერტირების" ბაზარი აფთიაქი ყოფილა

ეთერ მამულაშვილი

*ქალაქის სანიტარული სამსახურის და საკრებულოს ანტიკორუფციული კომისიის შემდეგ თბილისის ცენტარალური სუპერმარკეტი, იგივე "დეზერტირების" ბაზარი, ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა დალაშქრა.*

ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ცენტრალურ სუპერმარკეტს ჯერ კიდევ თებერვლის დასაწყისში გაუგზავნა გამაფრთხილებელი წერილი, ბაზარში არსებული დარღვევების გამოსასწორებლად. წერილში ჩამოთვლილი იყო შემდეგი მოთხოვნები: აიკრძალოს ზამბარიანი სასწორებით ვაჭრობა, დაილუქოს და დაიდაღოს სასწორები, ბაზარში მოვაჭრეებს დაევალოთ სანიტარული ტანსაცმლის ჩაცმა, გასაყიდ პროდუქციას ჰქონდეს ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, საკონტროლო სასწორები მაქსიმალურად მისაწვდომი იყოს ყველა მომხმარებლისთვის. ეს არის ის ძირითადი მოთხოვნები, რომელთა შესასრულებლად დეზერტირების ბაზარს ათი დღის ვადა მიეცა.

ერთთვიანი ინტერვალის გასვლის შემდეგ ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამშრომელი და გუშინდელი რეიდის უფროსი, გივი ტყეშელაშვილი აცხადებს, რომ მათ მიერ წაყენებული არც ერთი მოთხოვნა გათვალისწინებული არ არის.

ხსენებული სამსახურის მიერ გუშინ ჩატარებული რეიდი შთამბეჭდავი სანახაობა იყო. უსერტიფიკატო და ლაბორატორიულად შეუმოწმებელ პროდუქციას გამყიდველები დახლებს ქვემოთ აცურებდნენ, ან თავად იმალებოდნენ. ვინც ვერ ასწრებდა, თავის გასამართლებლად ამბობდნენ, - სოფლის ქათამს და კვერცხს რა შემოწმება უნდაო. ხორცის გამყიდველ - ტანსრულ, ულვაშა კახელს ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი სახლში დარჩენოდა და მის ჩვენებას ხვალისთვის დაგვპირდა. აბაშელი შუახნის ქალბატონი სამ შვილს იფიცებოდა, - ჩემი ამოყვანილი სულგუნია, "ნამამაძაღლარი" არ გეგონოთო.



"აფთიაქში"

მოშლილი სასწორები, გახვრეტილი გირები, უხალათო გამყიდველები, შეუმოწმებელი პროდუქცია - გუშინდელი რეიდის ყველაზე ხშირი " ნადავლი" იყო. ამას ბაზრის დირექციაც არ უარყოფს. რა ვქნათ, ზუსტ სასწორებს ვეღარ ვშოულობთო,- თავი იმართლა ცენტრალური სუპერმარკეტის დირექტორმა, ლაერტ ზუბადალაშვილმა. "ხალათებს კიდევ საბუთის გარეშე ვერ გავცემთ, არადა აქ ვინც დგას, მათ უმრავლესობას არანაირი პირადობის დამადასტურებელი საბუთი არ აქვს. რა ვქნათ, ამის გამო არ მივცეთ მუშაობის საშუალება? - დაბნეული კითხულობდა ბაზრის დირექტორი, - გაჭირვებული ხალხია, რომელიც მთელი დღე სახლიდანაა გამოსული ორი-სამი ლარის საშოვნელად, ხელს ხომ არ ვკრავთ?"

თუმცა, ანტიმონოპოლიური სამსახურისთვის ზუბადალაშვილის და ატირებული მოვაჭრეების არგუმენტებზე მეტად კანონმდებლობამ იმოქმედა. ამიტომაც დეზერტირების ბაზარში ორსაათიანი "ექსკურსიის" ბოლოს გუშინდელმა "გიდმა", გივი ტყეშელაშვილმა ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა აქტი შეადგინა და ბაზრის დირექცია ათასი ლარით დააჯარიმა. ცენტრალური სუპერმარკეტის დირექტორმა ჯარიმა 14 მარტამდე უნდა გადაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე განსახილველად დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს გადაეცემა.

ცენტრალური სუპერმარკეტის დირექტორი თავს დამნაშავედ არ თვლის და აცხადებს: "იმის ფონზე, როცა გარეთ, ნაგავსა და ტალახში ყიდიან პრუდუქტს, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან აფთიაქია. იმის გამო დაჯარიმება, რომ ჩვენთან ვილაცას თეთრი ხალათი არ აცვია, უბრალოდ, უზნეობაა", - გვითხრა ლაერტი ზუბადალაშვილმა.

# ვის სჭირდება ასეთი პოლიცია

პირველი გვერდიდან

ლი სათქმელია, სამაგიეროდ, საქართველოს მოსახლეობა ამგვარად მოაზროვნე სამართალდამცველთაგან კარგს რომ არაფერს უნდა ელოდეს, ეს ცხადზე ცხადია.

პირველი და უმთავრესი, რაც გუშინ ზურაბ ჩხაიძისგან შევიტყვეთ, ის გახლავთ, რომ კრიმინოგენული სიტუაცია უახლოესი ერთი თვის მანძილზე მკვეთრად არ გაუმჯობესდება. მან ეს ერთმნიშვნელოვნად აღიარა, ხოლო მიხეილ სააკაშვილის სურვილი პოლიტიკურ პოპულიზმად მონათლა:

**"მიხეილ სააკაშვილმა კარგად იცის, რომ კრიმინოგენული სიტუაციის მკვეთრად გაუმჯობესება ერთ თვეში შეუძლებელია. იგი განცხადებებს წინასაარჩევნოდ, რეიტინგის ასამაღლებლად აკეთებს"**, - ამბობს ჩხაიძე.

აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ მომავალი ერთი თვეც გაჯერებული იქნება მკვლელობებით, ყაჩაღობებით, ქურდობებით და სხვა ჯურის დანაშაულით. პოლიციის ხელმძღვანელობის განმარტებით, ქართული პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და მწირი ფინანსური საშუალებები მათ დანაშაულთან ბრძოლის საშუალებას უზღუდავს, სამართლებრივი ფონი კი, ფაქტობრივად, ხელ-ფეხს უბორკავს დანაშაულთან ბრძოლის მსურველ სამართალდამცველებს. დასკვნა სახეზეა - პოლიციას არ ძალუძს თავისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, პრევენციული ფუნქციის შესრულება – დანაშაულის თავიდან აცილება. ხოლო ერთადერთი, რაც პოლიციამ ზოგიერთ შემთხვევაში მაინც შეიძლება შეძლოს, ეს დამნაშავის დაკავებაა. გუშინ ამის მაგალითები პრესკონფერენციაზე უხვად მოიყვანეს. მაგალითად, თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის ლევან მაისურაძის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2003 წლის პირველ ორ თვეში გახსნილია თბილისში დაფიქსირებული 691 დანაშაულის 81 პროცენტი. ამათგან 156 მძიმე დანაშაულის ფაქტიდან გახსნილია 72. დედაქალაქში იანვარ-თებერვალში შვიდი განზრახ



*ჩვენ გვიცავს ჩვენი პოლიცია?*

მკვლელობა მომხდარა, 13 კი მკვლელობის მცდელობის ფაქტი. მაისურაძის თქმით, მკვლელობების რიცხვმა შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სამი ერთეულით, ხოლო მკვლელობის მცდელობამ ორი ერთეულით იკლო.

მართალია, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემებით, ყველა სახის მძიმე დანაშაული ქვეყანაში 13-19 პროცენტითაა შემცირებული, ის მაინც აღიარებს, რომ კრიმოგენული სიტუაცია ქვეყანაში გართულებულია. მაგრამ, ვის ვის და, პოლიციას ამას ზურაბ ჩხაიძე არ აბრალებს.

**"ჩვენ დღეს ვებრძვით შედეგებს და გამოსავალს საკადრო ცვლილებებში ვხედავთ. არადა, ვერავითარი საკადრო ცვლილებები სიტუაციას ვერ გამოასწორებს. მძიმე მდგომარეობა მძიმედვე დარჩება, თუ არ შევებრძოლეთ მის გამომწვევ მიზეზებს"**, - განაცხადა ზურაბ ჩხაიძემ და მიხეილ სააკაშვილი აქეთ დაადანაშაულა კრიმინოგენული სიტუაციის დამძიმებისთვის წინაპირობების შექმნაში.

**"ვინ იყო პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე მაშინ, როცა ნაჩქარევად იღებდნენ უვარგის საპროცესო და სისხლის სამართლის კოდექსებს. ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ ვამბობდით, რომ ასეთი სამართლებრივი რეფორმა კრიმინალურ აფეთქებას გამოიწვევს და წინასწარმეტყველება გამართლდა. მოქმედ კოდექსთა უმრავლესობა ბრმად არის გადმოღებული უცხოური მოდელებიდან და რეალურად არ მუშაობს. ასეთი სამართლებრივი რეფორმების გატარება ფინანსური მხარდაჭერის გარეშე არაფრით შეიძლებოდა. ახლა უკვე კი საკითხი ასე დგას: სანამ საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებში რადიკალური ცვლილებები არ შევა, კრიმინოგენული მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელია"**, - ამბობს ზურაბ ჩხაიძე და, ფაქტობრივად, მართლაც შეუძლებელს ითხოვს. კერძოდ, ან წინასწარი პატიმრობის ვადების გაზრდას, ან წინასწარი პატიმრობის იზოლატორების კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დაბრუნებას. ამ განცხადების საწინააღმდეგო არგუმენტი – საქართველოს კონსტიტუციის მუხლები – ჩხაიძისთვის დამაჯერებელი არ გახლავთ: **"კი მაგრამ, კონსტიტუცია დოგმა ხომ არ არის"**, – ამბობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე!

ახლა უკვე თავად განსაჯეთ, რა საჭიროა პოლიცია, რომელიც ვერც თქვენ დაგიცავთ და არც საქართველოს უზენაესი კანონის – კონსტიტუციის - დაცვას მიიჩნევს სავალდებულოდ.

## მორიგი მკვლელობა თბილისში

გუშინ, შუადღისას, ირაკლი აბაშიძის ქუჩა რამდენიმე საათით გადაიკეტა. აბაშიძის 68 ნომერში მდებარე პურის საცხობში მკვლელობა მოხდა. საცხობში შევარდნილმა თავდამსხმელმა საცხობის მეპატრონე ჯემალ ქარცხავა ადგილზევე გამოასალმა სიცოცხლეს, ხოლო მისი მეგობარი დავით კლდეისელი გულ-მკერდის არეში მძიმედ დაჭრა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ, მოგვიანებით, მორიგი კრიმინალური შემთხვევის შესახებ შეტყობინება მიიღო - ჭავჭავაძის პროსპექტზე სამარშრუტო ტაქსში მომხდარი ყაჩაღობის თაობაზე.

მიკა მაისურაძე, რომელიც პოლიციამ სპეცოპერაციის ჩატარების შემდეგ ვაკის პარკში დააკავა, ექვმიტანილია ჯემალ ქარცხავას მკვლელობასა და სამარშრუტო ტაქსის დაყაჩაღებაში.

თვითმხილველებმა მაისურაძე გუშინვე ამოიცნეს. მოწმეთა განცხადებით, დაკავებული ჯერ კიდევ გუშინ მივიდა საცხობთან, სადაც მიკა მაისურაძეს, ქარცხავასა და კლდეისელს შორის შელაპარაკება მოხდა. არსებული ვერსიით, მაისურაძე პურის საცხობის მეპატრონეს ფულს სძალავდა.

## "რელასი" - უფულოდ, ხალხი - უშუქოდ

მაია მოსიაშვილი

რუსთავის მოსახლეობის უმრავლესობას, უკვე კარგა ხანია, ელექტროენერგია დღე-ღამეში მხოლოდ ერთი-ორი საათით მიეწოდება. "რელასში" აცხადებენ, რომ ასეთი გრაფიკის მიზეზი გადაუხდელობაა, მოსახლეობა კი საპირისპიროს ამტკიცებს. ორი დღის წინ რუსთავის მერმა საჯაროდ განაცხადა, რომ "რელასში" გამეფებულია ქაოსი და ეჭვი აქვს, რომ მოსახლეობისა და ორგანიზაციების მიერ გადახდილი თანხები "რელასის" ხელმძღვანელობის ჯიბეებში ილექება. ამ განცხადების გაკეთებიდან ერთი დღის შემდეგ ვრცელდება ინფორმაცია, რომ "რელასის" ადმინისტრაციის შენობა გაიქურდა და უცნობმა ბოროტმოქმედებმა სეიფში ჩაკეტილი 16 ათასი ლარი, მოსახლეობიდან აკრეფილი გადასახადები, გაიტაცეს.

რუსთავის პოლიციის სამძებრო განყოფილების უფროსის ინფორმაციით, ყაჩაღობა 6 მარტს, ღამის 3 საათზე მოხდა. სამი შეიარაღებული ნიღბიანი "რელასის" ადმინისტრაციის უსიგნალიზაციო და უგისოსო შენობაში უპრობლემოდ შევიდა და ასევე უპრობლემოდ "დასკოჩა" უიარაღო დარაჯი ნოდარ ულუმბერაშვილი. მძარცველები საათნახევრის განმავლობაში "მუშაობდნენ", გახსნეს მოლარისა და ბუღალტრის სეიფები და იქ შენახული დიდი რაოდენობით თანხა წაიღეს. წასვლისას გაკოჭილი დარაჯი თავის ოთახში შეიყვანეს, დააბეს და პირში ჩვარი ჩასჩარეს. მარტო დარჩენილმა დარაჯმა თავი გაითავისუფლა და პოლიციაში დარეკა.

"რელასის" მთავარი ბუღალტერი ვალენტინა თევდორაშვილი აცხადებს, რომ, რამდენადაც მას ახსოვს, სეიფებში 16 ათასი ლარი იდო.

"ეს არის უბნებიდან 2-3 დღის შემონატანი. თვის ბოლო იყო და გავაკეთეთ მობილიზება, რათა ენერგოკომპანიაში გადაგვერიცხა. ამხელა თანხა სეიფში არასოდეს ინახება. ამჯერად, ბანკში ფულის შეტანას ხელი იმან შეუშალა, რომ "რელასი", როგორც სააქციო საზოგადოება, გაუქმდა და გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის ფილიალი გახდა. გუშინ გამოგვიგზავნეს საბუთები ახალი ანგარიშის გასახსნელად. ალბათ, ვიღაცამ იცოდა, რომ სეიფში თანხა იყო," - განაცხადა თევდორაშვილმა.

"რელასი", თვეზე მეტია, სადისტრიბუციო კომპანიის ფილიალად გაფორმდა. რატომ ვერ მოხერხდა მთელი თვის მანძილზე საბანკო ანგარიშის გახსნა, ან "რელასის" ხელმძღვანელებმა 16 ათასი ლარი სრულიად დაუცველ ადგილას რატომ დატოვეს, ამას, ალბათ, გამოძიება გაარკვევს. პოლიციამ მომხდარზე უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე. გამომძიებლის განცხადებით, პირველ რიგში, საბუღალტრო ექსპერტიზა ჩატარდება, რათა დადგინდეს, რეალურად რა თანხა იდო სეიფში.

ამ ფონზე სრულიად გაურკვეველია მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების პერსპექტივა, რადგან შესაძლოა, ისედაც თითქმის უშუქოდ დარჩენილ ქალაქს, გადაუხდელობის გამო, სრულად შეუწყდეს დენი.

## გატაცებებისთვის დაკავებულებს გატაცებები არ ბრალდებათ

*შინაგან საქმეთა სამინისტრო საჯაროდ აცხადებს, რომ ბოლო ხანებში იმერეთში მომხდარი გახმაურებული გატაცებები გახსნილია და გამტაცებელთა ნაწილი, კერძოდ, ოთხი კაცი, დაკავებულია. იმერეთის საოლქო პროკურატურაში კი, სადაც ამირან ნაცვლიშვილისა და გიორგი სარდანაძის გატაცებებთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს იძიებენ, ასეთი კატეგორიული განცხადებების გაკეთებისგან თავს იკავებენ.*

**"მე არ ვიცი, რას ამბობს პოლიცია. ამ საქმეს ჩვენ ვიძიებთ და არავითარ დაკავებებზე ინფორმაციის მოწოდება არ შემიძლია. დაკავებულთა რაოდენობას ვერ დავადასტურებ. ჩვენ ვმუშაობთ. ვამოწმებთ ქალაქიდან გაქცეულ პირებსაც"**, - ამბობს იმერეთის ოლქის პროკურორი თამაზ ჭუმბურიძე.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პროკურატურის გამომძიებლები სიფრთხილეს ტყუილად არ იჩენენ. პოლიციას მართლაც ჰყავს დაკავებული ოთხი პიროვნება და, შესაძლოა, კიდეც მოეპოვებოდეთ ოპერატიული ინფორმაცია, რომ სწორედ მათ გაიტაცეს სარდანაძეცა და ნაცვლიშვილიც, მაგრამ ფაქტია, არც ერთ დაკავებულს ბრალი გატაცებებში არ აქვთ წაყენებული. სამაგიეროდ, როგორც ქუთაისში მოღვაწე ადვოკატებისგან შევიტყვეთ, ოთხივეს სძალავდნენ აღიარებით ჩვენებებს გატაცებებში მონაწილეობის შესახებ. ჭრელაშვილი, მეტსახელად "ცხოველა", ბერუჩაშვილი, მეტსახელად "ბაჩო", ბრეგაძე და ფურცხვანიძე – ჩვენი ინფორმაციით, ეს ის ოთხეულია, რომელსაც პოლიცია გატაცებებში მონაწილეობას აბრალებს. პირველი ორის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელი აღმოჩნდა, რაც შეეხებათ ფურცხვანიძესა და ბრეგაძეს, ისინი ერთ-ერთის ბინაში დააკავეს. როგორც ბრეგაძე ირწმუნება, მას იარაღი ჩაუდეს და შემდეგ იარაღის უკანონოდ შენახვისთვის სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ბრეგაძის ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ასახელებს იმ პოლიციელების ვინაობას, ვინც იარაღი ჩაუდო და მათაც, ვინც წინასწარი დაკავების საკანში მასზე ფიზიკურ ზეწოლას ახდენდა. რაც შეეხება ფურცხვანიძეს, მას ნარკოტიკების მოხმარებისთვის სასამართლომ 15-დღიანი ადმინისტრაციული სასჯელის მოხდა არგუნა და სასჯელის ვადა დღეს ეწურება. როგორ გაგრძელდება გატაცებების საქმის გახსნის ეპოპეა, ძნელი სათქმელია. მით უმეტეს, რომ, ერთ-ერთი ვერსიით, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩამოხრჩობილ გიორგი ბაბუნაშვილს პოლიცია სწორედ იმერეთის გატაცებების შესახებ ჩვენებას სძალავდა. ახლა კი, ამბობენ, რომ მუშავდება ბაბუნაშვილის თვითმკვლელობის მოტივი. ბაბუნაშვილის ადვოკატის ირაკლი მახათაძის თქმით, ქუთაისის პოლიციის უფროსმა თემურ ნოზაძემ დაურეკა ბაბუნაშვილის სიძეს და დაემუქრა, თუ ადვოკატები არ დაანებებენ თავს გიორგის სიკვდილის გარემოებების ქექვას, გამოვაცხადებ, რომ მას 15 წლის ბავშვი ჰყავდა გაუპატიურებული. მეორე ვერსიის თანახმად, ვრცელდება ხმები, თითქოს სწორედ ბაბუნაშვილმა გათქვა თანამონაწილეები და ამიტომ მოიკლა თავი. ვერ გეტყვით, ამ ვერსიას გამოძიების მსვლელობისას რამდენად მიეცემა ოფიციალური ხასიათი, მაგრამ ფაქტია, რომ მსგავსი მოსაზრება, ჭორის სახით, უკვე საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. თუმცა, აქ არსებობს ერთი შეუსაბამობა – ბაბუნაშვილის ჩვენების მიხედვით, ბრეგაძესა და ფურცხვანიძეს იმ უბრალო მიზეზით ვერ დააკავებდნენ, რომ ისინი პოლიციის ხელში ბაბუნაშვილამდე ერთი კვირით ადრე მოხვდნენ.

*"24 საათი"*

## სომეხი ჟურნალისტის მკვლელობის საქმე გაიხსნა

ერევნელმა სამართალდამცველებმა გახსნეს სომხეთის საზოგადოებრივი ტელერადიოკომპანიის საბჭოს თავმჯდომარის ტიგრან ნაგდალიანის მკვლელობა.

კანონდამცველებმა დააკავეს დანაშაულებრივი დაჯგუფების 6 წევრი, რომლებმაც დაგეგმეს და სისრულეში მოიყვანეს ჟურნალისტის მკვლელობა.

გავრცელებული ინფორმაციებით, ოპერატიული ღონისძიებების გატარებისას ამოღებულია "ტტ"-ს სისტემის პისტოლეტი. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ნაგდალიანს სწორედ ამ იარაღიდან ესროლეს.

ნაგდალიანის მკვლელობის საქმეს სომხეთის გენერალური პროკურატურა იძიებს. შეგახსენებთ, რომ 28 დეკემბერს, როცა 36 წლის ნაგდალიანი მშობლების სახლის სადარბაზოდან გამოდიოდა, უცნობმა პირმა პისტოლეტიდან თავში ესროლა. მძიმე ჭრილობით ნაგდალიანი საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც ექიმებმა ქირურგიული ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

## მკვლელ დეზერტირს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

რუსეთის კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლომ 2 დეზერტირი გაასამართლა. ბრალდებულს, რომელსაც 5 ჯარისკაცის მკვლელობაში ედებოდა ბრალი, მოსამართლემ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, მეორე განსასჯელს კი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში 20 წლით პატიმრობა. გარდა ამისა, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ყოფილი ჯარისკაცების ქონებას კონფისკაცია ჩაუტარდება. მსჯავრდებულებმა მიყენებული მორალური ზარალის ასანაზღაურებლად მოკლულთა ოჯახის წევრებს 600 ათასი რუბლი უნდა გადაუხადონ, ხოლო მოკლული ჯარისკაცების სამხედრო ნაწილს - 200 ათასი რუბლი.

მკვლელობა 2001 წლის 8 ივლისს მოხდა, ბრალდებულთა მტკიცებით, მათ სამხედრო მოსამსახურეები გაძარცვის მიზნით მოკლეს.

## "ხაბურძანიას იდეები" აჭარაში ნაწილობრივ განხორციელებულია

ნესტან ცეცხლაძე
*ბათუმიდან*

უშიშროების სამინისტროს კანონპროექტი "ექსტრემისტულ და უცხოურ კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერების, მათი ლიკვიდაციისა და აკრძალვის შესახებ", რომელმაც გასულ კვირას ძლიერ შეაშფოთა საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, აჭარის რეგიონული არასამთავროებისათვის სიახლეს სულაც არ წარმოადგენს. მათ, აჭარის მთავრობამ, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გრანტების მიღების გამო, უკვე კარგა ხანია უნდობლობა გამოუცხადა და დამსჯელი სანქციებიც შემოიღო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების შესახებ კანონის თანახმად (რომელიც 2001 წელს მიიღეს) მართალია, საარჩევნო კომისიებში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საკუთარი წარმომადგენლის დანიშვნის უფლება აქვთ, ოღონდ, კანონის ერთ-ერთი პუნქტი ასეთ შეზღუდვას აწესებს: **"მათი საქმიანობის და პროგრამული უზრუნველყოფის ფინანსური წყარო არ უნდა იყოს უცხოური"**. კანონში ამგვარი აკრძალვის შეტანას აჭარის პარლამენტის რესპუბლიკის საბჭოს იურიდიულ საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე მალხაზ ბოლქვაძე ასეთ განმარტებას აძლევს:

**"ხელისუფლებისთვის არ არის ცნობილი, თუ რისთვის იღებენ ეს ორგანიზაციები დაფინანსებას. მათი საქმიანობა და ის პროგრამები, რომლისთვისაც უცხოური გრანტები მიიღეს, გასაიდუმლოებულია - არც ერთი უცხოური წყარო არ მიაწვდის ინფორმაციას საარჩევნო კომისიას, რა საქმიანობისთვის დააფინანსა ესა თუ ის არასამთავრობო ორგანიზაცია... არადა, არჩევნებზე ზედამხედველობის უფლების მოპოვების ობიექტი სახელმწიფოსათვის გამჭვირვალე უნდა იყოს"**.

ბოლქვაძის თქმით, ეს არის ავტონომიის ხელმძღვანელობის პოზიცია, გნებავთ - ნორმა, რომელიც კანონში აისახა.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები კანონის ამ პუნქტს აფასებენ, როგორც დისკრედიტაციას. **"თუკი ჩვენი საქმიანობა საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას, ან ჩართულები ვართ ფინანსურ მაქინაციებში, ამისთვის არსებობს შესაბამისი კანონები. რა თქმა უნდა, უშიშროება უნდა ფლობდეს ინფორმაციას, მაგრამ ამას ისეთი სახე არ უნდა ჰქონდეს, რომ დავბრუნდეთ კომუნიზმის პერიოდში, როდესაც ყველა ორგანიზაციას სწორედ უშიშროება აკონტროლებდა... კანონი ირიბად ამბობს, რომ არ ენდობა არცერთ რეალურად დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციას, რადგან უმეტესობა სწორედ საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტებიდან მიღებული გრანტების საშუალებით ეწევიან საქმიანობას"**, - ამბობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის თავმჯდომარე ასლან ჭანიძე.

ეს თემა მოახლოებული არჩევნების ფონზე, ალბათ, კიდევ უფრო აქტუალური გახდება. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, აქამდე აჭარის ხელისუფლებისთვის ოფიციალური პროტესტი არავის განუცხადებია.

## 3 მილიონად შეფასებული ძვირფასეულობა მოიპარეს

ჰონგკონგში მოწყობილი საერთაშორისო საიუველირო გამოფენის გახსნის პირველივე დღეს 2 მსხვილი ქურდობა მოხდა. გამოფენიდან მოიპარეს ამერიკელი იუველირის ნამუშევარი - 2 მილიონ დოლარად შეფასებული ბრილიანტის ყელსაბამი და ბელგიელი ოსტატის ნაკეთობა - მილიონდოლარიანი ბრილიანტის სამაჯური.

გამოფენის დაცვის თანამშრომელთა განცხადებით, ორივე ექსპონატს რამდენიმე საათის მანძილზე ათვალიერებდა 2 ევროპელი მამაკაცი, რომლებმაც საგამოფენო დარბაზი შეუმჩნევლად დატოვეს.

ექსპერტთა განცხადებით, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამოფენა, რომელიც ყოველ წელიწადს ტარდება, წელს გამორჩეული იყო როგორც მსოფლიოში სახელგანთქმულ იუველირთა ექსპონატებითა და ცნობილი დამთვალიერებლებით, ასევე უმაღლესი პროფესიონალიზმით ჩადენილი ქურდობით.

## ბრალდებული აცხადებს, რომ ბათუმის იზოლატორში სასტიკად აწამეს

ნესტან ცეცხლაძე
*ბათუმიდან*

კახა დავითაძე, რომელიც ბათუმის პოლიციამ თებერვალში დააკავა, აცხადებს, რომ აღიარებითი ჩვენება კანონდამცველებს სასტიკი ცემისა და წამების შემდეგ მისცა. მას ბრალი ედება ტარიელ ნაკაშიძის სასიკვდილოდ დაჭრაში. ადვოკატის აკაკი ნემსაძის განცხადებით, ბრალდებულს დაცვის აყვანის საშუალება დაკავებიდან ერთი კვირის შემდეგ მისცეს. თუმცა, საქმეში კახა დავითაძის განცხადება დევს, რომელშიც ბრალდებული აცხადებს, რომ ადვოკატის აყვანა არ სურს. ახლა პატიმარი ამბობს, რომ დაცვაზე უარი ძალით ათქმევინეს. ჯერ სამედიცინო შემოწმებამ, ხოლო შემდეგ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ დავითაძე ნაცემია, მაგრამ ვერ მოხერხდა იმის დადგენა, როდის მიიღო პატიმარმა დაზიანებები. ადვოკატის განცხადებით, გამოძიება ცემის ფაქტს სხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევს და დაკავებულის სხეულზე აღმოჩენილ დაზიანებებს მკვლელობამდე ანუ მის დაკავებამდე მომხდარ ჩხუბს უკავშირებს. დავითაძის ოჯახმა და ადვოკატმა აჭარის სახალხო დამცველსაც მიმართეს, თუმცა ზორბეგ წუწუნავა, როგორც ჩანს, გამოძიების ვერსიას ეთანხმება. "ხშირად მომმართავენ ხოლმე ასეთი პრეტენზიებით, მაგრამ შემდეგ იკარგებიან," - აცხადებს აჭარის ომბუდსმენი და ამას იმით ხსნის, რომ "საბოლოოდ მოქალაქეები პოლიციას ურიგდებიან. თავად მოსახლეობა არ არის მზად იმისათვის, რომ დაიცვას საკუთარი უფლებები," – ამბობს ზორბეგ წუწუნავა.

მოქალაქეების შიშსა და უნდობლობას ისიც ამძაფრებს, რომ შეუძლებელი ხდება მათ მიმართ გამოყენებული ძალადობის დამტკიცება. პირველ რიგში, ამის მიზეზი ის არის, რომ დაკავებულებს ადვოკატის აყვანის საშუალება მოგვიანებით ეძლევათ, მაშინ, როცა საქმის დეტალები გამოკვეთილია ანუ, როგორც ამბობენ, როცა "საქმე უკვე შეკერილია".

კახა დავითაძის ადვოკატი აკაკი ნემსაძე ამბობს, რომ მის საადვოკატო პრაქტიკაში იყო მსგავსი საქმეები, მაგრამ სასამართლომ დაზარალებულის მხარის მტკიცებულებები არ გაიზიარა.

## მოკლედ

**თბილისი.** გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გამართული ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა დაეთმო კოდორის ხეობაში ორი წლის წინათ განვითარებული ცნობილი მოვლენების დროს ტყვედ აყვანილ გერვასი ჯოლოგუას საკითხს. გასული წლის სექტემბერში სეპარატისტებმა ჯოლოგუას სიკვდილით დასჯა გადაწყვიტეს. მას ბრალი დასდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების მოწყობაში, აფხაზეთის ე. წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარებაში. ამჟამად იგი სისასტიკით გამორჩეულ დრანდის ციხეში იმყოფება. სოხუმში გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი, რომ ჯოლოგუას დახვრეტის ნაცვლად 15 წლით პატიმრობა მაინც შეუფარდონ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის სამართალდამცველები კვლავ უშედეგოდ ეძებენ 23 თებერვალს ცხინვალის ციხიდან გაქცეულ ცხრა პატიმარს, რომელთაგანაც ოთხი ქართველია. ისინი სასჯელს იხდიდნენ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის, მათ შორის - მკვლელობისთვისაც. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის პაატა ბედიანიშვილის ინფორმაციით, ოსური პოლიციის წარმომადგენლებმა სოფელ კეხვში სპეცოპერაცია ჩაატარეს; თუმცა, მათი ინფორმაცია, რომ გაქცეულები ამ სოფელში, ერთ-ერთი გაქცეული პატიმრის - ბლიაძის სახლში იმყოფებოდნენ, ზუსტი არ გამოდგა. „ამის შესახებ ქართულ მხარეს ოსებმა მოგვიანებით შეატყობინეს. დაახლოებით ათი წუთის დაგვიანებით კეხვში ქართველი პოლიციელებიც მივიდნენ, მაგრამ გაქცეული პატიმრები იქ არ აღმოჩნდნენ“, — აცხადებს ბედიანიშვილი. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**გორი.** პოლიციამ ცხინვალთან დააკავა თბილისიდან რამდენიმე დღის წინ გატაცებული სახელმწიფო დაცვის სამსახურის კადრების განყოფილების გამგის ალექსანდრე ჩქარეულის კუთვნილი "ბმვ"-ს მარკის ავტომანქანა; დაკავებულია ორი გამტაცებელიც - თბილისში მცხოვრები მამუკა ჩხაპელია და გურჯაანელი მალხაზ ბადუაშვილი. გორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან, სოფელ ფლავისმანიდან გატაცებული კიდევ ერთი ავტომანქანა ამოიღეს. დაკავებულია სოფელ ფლავისმანში მცხოვრები გელა თენაძეც. სამართალდამცველთა განცხადებით, ორივე ავტომანქანის სარეალიზაციოდ გადაყვანას აპირებდნენ ცხინვალში. **ინტერ-პრესი.**

## ჯორჯონე



*ჯორჯონე – ჭექა-ქუხილი*

დიდი იტალიელი მხატვრის, **ჯორჯონეს** შესახებ ცოტა რამ ვიცით. ხელოვანთა ბიოგრაფი, **ჯორჯო ვაზარი**, სულ ათიოდე გვერდს უძღვნის მას, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ხოტბა შეასხას მხატვრის ნიჭს. ჯორჯონე ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ **კასტელფრანკოში** დაიბადა, მაგრამ ჯერ კიდევ ბავშვობაში გადავიდა ვენეციაში, სადაც დიდ მაესტროს, **ჯოვანი ბელინის** დაემოწაფა. ბელინიმ ჯორჯონეს საღებავების შერევა და ფუნჯის მოსმა ასწავლა. 18 წლისას უკვე საკმაო ტექნიკა ჰქონდა დამოუკიდებელი მუშაობის დასაწყებად. ფერწერის ახალგაზრდა ოსტატს კლიენტები მოაწყდნენ და სულ მალე მხატვარმა ვენეციის ერთ-ერთ ყველაზე ელეგანტურ უბანში მშვენიერი სახლი შეიძინა. სახლის ფასადი თვითონ მოხატა, ინტერიერები ძვირფასი ავეჯითა და სამშვენისებით გააწყო. სახლში დღე და ღამე სუფრა იყო გაშლილი და სუფრას უდარდელი ლამაზმანები უსხდნენ.

ხატვის გარდა, ლამაზი და მელოდიური ხმით დაჯილდოებულ ჯორჯონეს მუსიკაც ემარჯვებოდა. მშვენივრად მღეროდა და ვიოლაზე უკრავდა. ეს იყო მისი გართობა, როცა ფუნჯი არ ეკავა ხელში.

ჯორჯონემ თავისი ფორმების დახვეწილობა ჯოვანი ბელინისა და **კარპაჩოსგან** აითვისა, შუქჩრდილის ხელოვნება და ფონად იდუმალი პეიზაჟების გამოყენება კი **ლეონარდოსგან** ისწავლა. ბევრს კითხულობდა და ამის გავლენა მის ტილოებსაც ეტყობა. მაშინ იტალიაში ძალიან პოპულარული იყო პოეტი **იაკოპო სანაძარო**, რომელიც სოფლის ბუნებას უგალობდა, თავის პოემებს ბუკოლიკური, პასტორალური განწყობით ავსებდა. ჯორჯონეს ბევრ ნამუშევარს ეტყობა ეს სტილი, რომელიც მის შემდეგ ფართოდ გავრცელდა მთელს რენესანსულ მხატვრობაში. „ჭექა-ქუხილი“ ალბათ ჯორჯონეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომელშიც ასე ოსტატურადაა გამოსახული რბილი, წვიმის ოხშივარით ავსებული იტალიური პეიზაჟი.

განსაკუთრებით უყვარდა ქალის შიშველი სხეული და ხშირად ხატავდა მას, თუმცა კი გრძნობიერებისაგან ცლიდა გამოსახულებას. ჯორჯონეს ქალები სრულყოფილადაა აგებული, მათი სილამაზე უნაკლოა, მაგრამ სრულიად მოკლებულია იმას, რასაც დღეს sex-appeal ეწოდება. თუმცა კი ცხოვრებაში მხატვარი ვერასოდეს ეწინააღმდეგებოდა ხორცის ძახილს: როცა ერთ-ერთი მისი სატრფო შავი ჭირით დაავადდა, ჯორჯონე მის საწოლს არ მოშორებია და 34 წლის ასაკში საკუთარი სიცოცხლით გადაიხადა სიყვარულის საფასური.

## ტიციანი

**ტიციანო ვეჩელიო**, ანუ უბრალოდ **ტიციანი** პიევე დი კანდორეში დაიბადა და ისიც ვენეციაში გადავიდა საცხოვრებლად. ტიციანიც ჯოვანი ბელინის სახელოსნოში ეუფლებოდა ფერწერის საიდუმლოებებს და იქვე დაუმეგობრდა ჯორჯონეს, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, 1511 წელს, როცა ვენეციაში შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა, პადოვაში გაიქცა.

ორი წლის შემდეგ ვენეციას დაუბრუნდა და რესპუბლიკას თავისი ფუნჯი შესთავაზა. აქ ტიციანმა 99 წლის ასაკამდე იცოცხლა და მრავალი ნამუშევარი დაუტოვა შთამომავლობას.

ჯორჯონეს მსგავსად, მასაც უყვარდა ქალის სხეულის გამოსახვა, რის შესანიშნავი მოწმობაა ცნობილი ტილო „მიწიერი და ზეციური სიყვარული“. როცა **ლუკრეცია ბორჯას** ქმარმა, **ალფონსო დ’ესტემ** ეს სურათი ნახა, ფერარაში მიიწვია მხატვარი, მაგრამ ტიციანმა უარი შეუთვალა და ეს პატივი სახელგანთქმულ პოეტს, **არიოსტოს** დაუთმო.

1523 წელს ტიციანი მანტუას გაემგზავრა და იქ **იზაბელა გონძაგას** პორტრეტი დახატა. გამოსახულება იმდენად ჰგავდა ორიგინალს, რომ იზაბელა შეძრწუნდა და ტიციანს ნამუშევრის გადაკეთება სთხოვა. 1530 წელს პოეტმა **პიეტრო არეტინომ** იმპერატორ **კარლოს V**-ის კარზე წარადგინა მხატვარი. ამ პერიოდს ეკუთვნის ცხენზე ამხედრებული იმპერატორის ცნობილი სურათი.

ამის შემდეგ პაპმა **პავლე III**-მ ტიციანი რომში მიიწვია, ერთ-ერთ სამოციქულო სასახლეში დაუდო ბინა და პრივილეგიებით აავსო. რომის პერიოდს ფლორენცია მოჰყვა, მაგრამ 1552 წელს 75 წლის მაესტრო საბოლოოდ დაუბრუნდა ვენეციას. 1556 წელს ეკუთვნის მისი ბოლო ავტოპორტრეტი: ღრმა ნაოჭებით დასერილი სახე, ნათელი გამოხედვა, დიდი წითური წვერი, მარჯვენაში მძლავრად ჩაბღუჯული ფუნჯი.

აქ ვენეციაში ტიციანი ოცი წლის ჭაბუკის ენერგიითა და აღმაფრენით მუშაობდა. ფრარის ეკლესიამ მას ქრისტეს დასაფლავების სცენა შეუკვეთა და საფასურად თვით მხატვარს დაჰპირდა ეკლესიაში დაკრძალვას. ტიციანი მუშაობას შეუდგა, მაგრამ შავმა ჭირმა, რომელსაც 1511 წელს გაექცა, ამჯერად არ აცალა შეკვეთის შესრულება.

ტიციანის ნახატი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ლეონარდოსას, ფორმები მოკლებულია სრულყოფილებას, დრამატული ეფექტები სუსტია, მხატვარმა ვერ მიაღწია სივრცული განლაგების სინთეზს, მაგრამ ვერც მანამდე და ვერც მის შემდეგ ვერავის გამოუყენებია ფერი ასეთი შთაგონებითა და ფანტაზიით.



*ტიციანი – დანაე*

# ბორჯების საგვარეულო

1492 წელს რომის ეპისკოპოსის ტახტზე არჩეულ იქნა ესპანელი აზნაური **როდრიგო ბორხა** (იტალიური გამოთქმით — ბორჯა), რომელმაც **ალექსანდრე VI**-ის სახელი მიიღო. ამ პაპის არჩევნები სამაგალითო იყო თავისი სისწრაფით: კონკლავი, ანუ ახალი პონტიფიკის ასარჩევად შეკრებილ კარდინალთა საბჭო სულ ოთხი დღე მსჯელობდა მის არჩევას და გადაწყვეტილებაც ერთსულოვანი იყო. გამორიცხული არაა, რომ როდრიგო ბორჯამ პაპის ტიარა სიმონიის საშუალებით მიიღო. სიმონია კანონიკური სამართლის ტერმინია და საეკლესიო თანამდებობის ქრთამით მიღებას ნიშნავს. ამბობენ, როდრიგომაც ერთი საპალნე ვერცხლი დახარჯა „საარჩევნო კამპანიისთვის“.

ახლადარჩეულმა პაპმა, რომელსაც თავისი კარდინალობის დროს ხუთი პაპის არჩევნებში მიეღო მონაწილეობა, ტახტზე ასვლის შემდეგ ყველას მდიდრული საჩუქრები დაურიგა — მომხრეებსაც და ყოფილ მეტოქეებსაც. ეს სრულიად ბუნებრივი იყო: კარდინალობის პერიოდში აღებულ ქრთამებს ახლა პაპობისათვის დაბანდება სჭირდებოდა. არც ერთი სხვა კარდინალი არ ყოფილა მასავით მდიდარი, არც პაპის კურთხევის ცერემონია ყოფილა ოდესმე ასეთი მდიდრული.

წმ. პეტრეს ტაძრამდე გზა ორი კილომეტრის მანძილზე ხალიჩებით იყო მოფენილი, გზის მიმდებარე შენობები კი ფარჩითა და ატლასით შეემკოთ. ცეკვებით, სიმღერებითა და ქვემეხების ქუხილით გამართულ დღესასწაულში ათიათასმა რაინდმა და ასობით უცხო ქვეყნის ელჩმა მიიღო მონაწილეობა. ახალ პონტიფიკს თავიდანვე დაეტყო ესპანური წარმოშობით განპირობებული სიყვარული ფუფუნებისადმი. ამ მისწრაფებას ისიც აღვივებდა, რომ ბორჯას გვარი მაინცდამაინც მდიდარი და წარჩინებული არ ყოფილა.

სამაგიეროდ, საეკლესიო კარიერა თავბრუდამხვევი ჰქონდა: პაპი **კალისტოს VIII** მისი ბიძა იყო, ამიტომაც ჯერ მხოლოდ დიაკონის ხარისხში მყოფი 25 წლის როდრიგო უკვე კარდინალის წოდებას ფლობდა, თუმცა მღვდლად მხოლოდ 36 წლისა ეკურთხა. რომში ჩამოსულს ორი შვილი ჩამოჰყვა, რომელთა დედები უცნობია. **პიუს II**-ის ამალაში მყოფს ანკონაში მოგზაურობისას ვენერიული სენიც შეეყარა. „იმიტომ რომ მარტო არ სძინებია“ — მორცხვად განმარტავდა მისი პირადი ექიმი.

მაგრამ ყველა მაცდუნებელი, ბოლოს და ბოლოს, თვითონ ვარდება გრძნობების ტყვეობაში. როდრიგოსათვის ეს ვინმე **ვანუცა დე’ კატანეი** აღმოჩნდა, რომელიც თუმც გათხოვილი იყო, ოთხი შვილი აჩუქა პაპს: **ჯოვანი**, **ჩეზარე**, **ლუკრეცია** და **ჯუფრედო**. ამის შემდეგ ესპანელი კარდინალის უმთავრესი სამოქმედო მოტივი მამობრივი სიყვარული გახდა. ვანუცას კი ვატიკანში ბოროტი ენები ქრისტეს სასძლოს ეძახდნენ.

პაპად არჩევიდან მეხუთე დღეს ალექსანდრე VI-მ თავისი ვაჟი ჩეზარე ვალენსიის მთავარეპისკოპოსად დანიშნა. ამის შემდეგ დაიწყო თავისი ნათესავების დაკმაყოფილება. ამით არ დასრულებულა: ვატიკანის კარები ფართოდ გაუღო მეგობრებსა და ნაცნობებს. ერთი სიტყვით, კაი კაცი იყო! თუმცა კი ავსიტყვაობას რა გამოლევს ამქვეყნად: ათი პაპიც არ კმარა ამხელა ნათესაობის დასაპურებლადო, — დღემდე შემორჩა ერთი აღშფოთებული თანამედროვის სიტყვები.

ახალმა პაპმა ეკლესია თავის წინამორბედთაგან გაქურდული ჩაიბარა, მაგრამ სულ მალე მოაგვარა ყველაფერი: შეამცირა ბიუროკრატია და გაყინა ჯამაგირები, მინიმუმამდე შეამცირა გასავალი, ვატიკანის კურიას ასკეტური ცხოვრება აიძულა და თვითონაც დამორჩილდა ამ წესს. მოწვეულ სტუმრებს პაპთან სადილი აღარ მოსწონდათ, რადგან მხოლოდ ერთ ხელ საჭმელს მიართმევდნენ, ღვინოც კი არ მოჰქონდათ სუფრაზე. ვატიკანის სალაროები სწრაფად შეივსო. რომში იმხანად სრული ანარქია სუფევდა: ფრაქციათა შორის გაუთავებელი ბრძოლის გამო ქალაქში ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა იყო გახშირებული. ალექსანდრეს არჩევამდე რამდენიმე თვის განმავლობაში ჩადენილ მკვლელობათა რიცხვმა 220-ს მიაღწია. ალექსანდრემ სამძებრო საქმიანობა გააძლიერა. არჩევის ლამის მეორე დღეს ალექსანდრე VI-მ ორი მკვლელი ჩამოახრჩობინა. პაპის ბრძანებით, მათი სახლები მიწასთან იქნა გასწორებული, მათი გვამები კი რამდენიმე დღის განმავლობაში დატოვეს მთავარ მოედანზე. რომაელებზე ამ სანახაობამ გაცილებით უფრო დიდი ეფექტი მოახდინა, ვიდრე თბილისელებზე „ვიდეოპატრული“ ახდენს.

ყოველი კვირის სამშაბათს ალექსანდრემ რომში მცხოვრებ ყველა მამაკაცსა და ქალს კურიაში საჩივრების შემოტანის საშუალება მისცა. ყოველ საჩივარს თვითონ განიხილავდა და, მემატიანის თქმით, ამ დროს საოცარ სამართლიანობასა და გონიერებას იჩენდა.

ალექსანდრემ ოთხ ოლქად დაჰყო რომი და თითოეულ მათგანში წესრიგის დასაცავად მაგისტრატი დააყენა. გარდა ამისა, პაპი დიდ ყურადღებას აქცევდა ქალაქის გარეგნულ სახეს. მაშინვე დაიწყო რომის გასამაგრებელი და შენობათა სარესტავრაციო სამუშაოები. წმიდა პეტრეს ტაძრის მიმდებარე უბნები ალექსანდრე VI-ის ქვეშ იმდენად გამშვენიერდა, რომ მათი არქიტექტურული იერსახე და დაგეგმარება დღესაც თითქმის ხელუხლებელია. ალექსანდრე VI-ის დროს მისი მფარველობის ქვეშ მოღვაწეობდნენ დიდი მხატვრები: **პინტურიკო**, **რაფაელი**, **ბრამანტე**. ალექსანდრემ შემკობინა რომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბაზილიკა, სანტა მარია მაჯორეს ინტერიერი. ამ სამუშაოებში დაიხარჯა ახლადაღმოჩენილი ამერიკიდან შემოსული პირველი ოქრო.



*პაპი ალექსანდრე მეექვსე (როდრიგო ბორჯა)*

მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ალექსანდრემ სულ მცირე ხანი ისწავლა ბოლონიის უნივერსიტეტში და თვითონ ძალიან განათლებული არ იყო, ამის გამო სხვის მიმართ ბოღმა არ აწუხებდა. პაპმა მნიშვნელოვანი პრივილეგიები გამოაცხადა რომის უნივერსიტეტის პროფესურისათვის, ირგვლივ ლიტერატორები და მეცნიერები შემოიკრიბა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საბიბლიოთეკო ფონდის განვითარებას. ალექსანდრე VI ცნობილია თავისი განსაკუთრებულად ტოლერანტული დამოკიდებულებით ებრაელებთან. პაპმა დააცხრო ესპანეთის აგრესია იტალიის მიმართ, საფრანგეთის მეფეს, **შარლ VIII**-ს გადააფიქრებინა იტალიაში სამხედრო ძალით შეჭრა, რისთვისაც ძალიან ემადლიერებოდა ხალხი.

რომაელებმა თავიდანვე შეიყვარეს მღვდელთმთავარი: საყვარლების რაზმიც აპატიეს და შვილებისადმი ზღვარგადასული სიყვარულიც. განსაკუთრებით ალექსანდრეს თავისი ქალიშვილი, ლუკრეცია უყვარდა და პინტურიკიოს დაავალა მისი გარეგნობის უკვდავყოფა. შესაძლოა, ლუკრეცია არ ყოფილა ეგზომ ანგელოსური არსება, მაგრამ რენესანსის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალი იყო. მისი გარეგნული სახიდან განსაკუთრებით ცნობილია ოქროსფერი თმები: მათი სიგრძე და სიმძიმე შაკიკის გამუდმებულ შეტევებს იწვევდა.

მამამ ლუკრეცია პეზაროს ახალგაზრდა მთავარს, **ჯოვანი სფორცას** მიათხოვა. ჯოვანი ნადირობდა, ილხინდა და შინ გვიან ღამით დაბრუნებული, ცოლს ზედაც არ უყურებდა. იმედგაცრუებული ლუკრეცია რომში დაბრუნდა. მამამ იგი არა მხოლოდ მიიღო კარზე, არამედ ჯოვანის საკუთარი იმპოტენციის აღიარება მოსთხოვა, რადგან კათოლიკური კანონებით მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ქორწინების გაუქმება. განრისხებული ჯოვანი გალმა შეედავა პაპს და ქალიშვილთან ინცესტში დასდო ბრალი. საქმეში თვით ლუკრეცია ჩაერია და განაცხადა, რომ ქალწულია. აქ ალექსანდრე VI-მ ორ კარდინალს ანატომიური ექსპერტიზის ჩატარება უბრძანა. ვერდიქტმა დაამტკიცა ლუკრეციას ქალწულობა. ჯოვანის ბიძამ, მილანის ჰერცოგმა **ლოდოვიკო მორომ** ძმისწულს ურჩია, პაპის ლეგატის თანდასწრებით დაემტკიცებინა თავისი მამაკაცური ღირსება. მაგრამ ჯოვანიმ საჯაროდ განაცხადა, რომ ცოლს არ მიჰკარებია.

ამის შემდეგ ალექსანდრემ ქალიშვილი ნეაპოლის მეფის უკანონო შვილს, **დონ ალფონსოს** გააყოლა. ალფონსო 17 წლის იყო, ლუკრეცია — 18. ქალს თავდავიწყებით შეუყვარდა ქმარი და როცა ალფონსომ რაღაც პოლიტიკური მიზეზებით მიატოვა იგი და ნეაპოლს დაბრუნდა, ლუკრეცია ისეთ დეპრესიაში ჩავარდა, რომ ალექსანდრემ იგი ქალაქ სპოლეტოს მთავრად დანიშნა და ქმარს დაბრუნება აიძულა. სამწუხაროდ, სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: რამდენიმე თვეში უიღბლო ალფონსო ცოლისძმის, ჩეზარეს მოგზავნილმა მკვლელებმა საკუთარ საწოლში ბალიშით დაახრჩვეს. დაქვრივებულმა ლუკრეციამ ერთი ალფონსო მეორეზე გაცვალა: ეს ფერარას ახალგაზრდა ჰერცოგი, **ალფონსო დ’ესტე** იყო და მასთან ქორწინება ყველაზე ხანგრძლივი და ბედნიერი გამოდგა.

ბევრი ჭორი დადის დღემდე ალექსანდრე VI-სა და მისი ქალიშვილის ბნელ ურთიერთობაზე. ინცესტის არც ერთი უშუალო მტკიცება არ არსებობს. სიმართლე კი ისაა, რომ ალექსანდრე ძნელად იტანდა ლუკრეციას სიშორეს და სახელმწიფო საქმეებით იქარვებდა დარდს. ამ საქმეებში კი ბადალი არ ჰყავდა: თვით სარწმუნოებას განიხილავდა როგორც instrumentum regni — სახელმწიფოს იარაღს, რომელსაც სიმდიდრე და ძლიერება უნდა განემრავლებინა.

1500 წლისთვის პაპის სახელმწიფოს კვლავ დააკლდა სახსრები. და რადგან მაშინ ეკლესია ვერც უცხო ქვეყნებიდან შემოსული ჰუმანიტარული დახმარების და ვერც არყისა და თამბაქოს ნაწარმის უგადასახადო გაყიდვის ხარჯზე გამდიდრდებოდა, ალექსანდრე VI-მ საიუბილეო წელი გამოაცხადა და ინდულგენციების ნამდვილი „სეილი“ გამართა. მაგალითად, უნგრეთის მეფეს, **ვლადისლავ VII**-ს განქორწინება გაუფორმა 30.000 დუკატის სანაცვლოდ. რადგან პაპის სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ამ პოლიტიკურ წარმონაქმნს ლამის იტალიის მესამედი ეჭირა) „კრიმინალური სიტუაცია“ საკმაოდ მძიმე იყო და რომში შემოსული მლოცველების ნაკადი არც ისე მრავალრიცხოვანი, პაპმა პონტიფიკალური ფლოტის 12 გალერა გაყიდა და კარგი ფასიც აიღო. ახლა კი შეეძლო სხვა პაპების ზეობისას დაკარგული ტერიტორიების აღდგენა: სამხედრო ექსპედიცია მოაწყო ქალაქების, ფორლისა და იმოლას წინააღმდეგ, სათავეში კი თავისი ვაჟი, ჩეზარე დააყენა.

ჩეზარე ათლეტური აღნაგობის ვაჟი იყო, სწორუპოვარი მონადირე და მეომარი: ისეთი ფიზიკური ძალა ჰქონდა, რომ ერთხელ ცხენის ნალი გაასწორა ხელებით. სანპიეტროს მოედანზე გამართული კორიდის დროს ერთდროულად ორი ხარი მოკლა, მათგან ერთ-ერთს ხმლის ერთი დარტყმით წააცალა თავი. ნადირობისა და ომის გარდა, ნატიფი და გალანტური მანერების სფეროშიც ერთობ განსწავლული იყო, რის გამოც ქალები უსიტყვოდ ნებდებოდნენ მის მომხიბლაობას. 1493 წელს ალექსანდრემ თავისი ვაჟი კარდინალის ხარისხში აიყვანა, მაგრამ ჩეზარე იმდენად მოუმზადებელი აღმოჩნდა ეკლესიური ცხოვრებისათვის, რომ ოთხ წელიწადში მამას სთხოვა და კვლავ საერო მდგომარეობას დაუბრუნდა. ყველაფერთან ერთად, ჩეზარე არ ყოფილა განათლებული და არც ესწრაფოდა განათლებას. სარდლის უკეთესი კანდიდატურა ძნელი საპოვნელი იყო.

იმ დროს ევროპაში ჯერ კიდევ არ არსებობდა რეგულარული ჯარები. თითქმის ყველა ომი დაქირავებული ძალების საშუალებით წარიმართებოდა. ჩეზარე წარუძღვა ლაშქარს, რომელშიც შედიოდა პაპის დაქვემდებარებაში მყოფი 4000 შვეიცარელი და გასკონელი გვარდიელი, 2000 იტალიელი მებრძოლი და საფრანგეთის მეფის მიერ გამოგზავნილი 300 მეარბალეტე. ქალაქები უბრძოლველად ჩაბარდნენ პაპის ძალაუფლებას. მხოლოდ ფორლის ქალბატონი, **კატერინა სფორცა** არ დანებებულა: კლდეზე აშენებულ ციხედარბაზში გამაგრდა ერთი მუჭა ერთგულ მეომრებთან ერთად და რამდენიმე დღე უმკლავდებოდა მომხვდურებს. ჩეზარემ სიცოცხლე შეუნარჩუნა წარჩინებულ მოწინააღმდეგეს, დატყვევებული რომში წარგზავნა და დედათა მონასტერში გამოაკეტინა.

ჩეზარეს კიდევ სურდა ლაშქრობის გაგრძელება, მაგრამ ფრანგი მეარბალეტეების უარმა ექსპედიციის დასრულება აიძულა. ალექსანდრე VI-მ ზეიმით მიიღო თავისი ვაჟი, დაპყრობილ ქალაქთა მმართველად გამოაცხადა და დიდი თანხაც მიუთვალა ახალი დაქირავებული ძალების შესაგროვებლად და იმ დროს ყველაზე პრესტიჟული კონდოტიერის, ანუ დაქირავებული სარდლის, **ვიტელოცო ვიტელის** მოსაწვევად, რომელსაც ჩეზარემ არტილერია ჩააბარა.

**გაგრძელება იქნება**

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეჟარაშვილი



*ლუკრეცია ბორჯა*



*ჩეზარე ბორჯა*

ნომრის პერსონა

# თბილისში სროლა დაიწყება და არჩევნებამდე გაგრძელდება

მაია ჭალაგანიძე

*საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი (ITM), ღმერთმა დაიფაროს და, მარტო პოლიტიკურ კვლევებს არ აწარმოებს. კვლევის ობიექტს უყურებენ ობიექტურად, ანუ როგორც საგანს, და არ ულრმავდებიან მის შინაარსს. მათთვის კარაქს და პოლიტიკურ ორგანიზაციას ერთი და იგივე ღირებულება აქვს.*
*საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჯერ კიდევ განვითარებადი დარგია და მხოლოდ არჩევნებისას, პოლიტიკურ ძალთა რეიტინგის შედგენისას ხდება საყოველთაო ინტერესის საგანი. ITM-ის ხელმძღვანელი, გოჩა ცქიტიშვილი ამბობს, რომ, სამწუხაროდ, დღეს რეიტინგს უწოდებენ იმას, რაც საერთოდ არ არის რეიტინგი. კვლევისას, მისდა გასაოცრად, აღმოაჩინა და დაასაბუთა, რომ ხალხის ზიზღის საგანი ყოფილა არა კორუფცია, არამედ კორუმპირებული ადამიანი - იმ მარტივი მოტივით, რომ გამოკითხული თავად არ არის ეს ადამიანი.*

**- რას ეწოდება რეიტინგი და რა პრინციპით დგება იგი?**

- ზუსტი განმარტება არ არსებობს. რეიტინგი გარკვეულ შკალაზე მნიშვნელობას გულისხმობს. ანუ, რა ადგილი, რა სივრცე გიკავია 0 ამომრჩევლიდან 2 მილიონ ამომრჩევლამდე შკალაზე. ხშირად რეიტინგად საღდება ის, რაც საერთოდ არ არის რეიტინგი, რადგან, თუ ამ შკალაზე ორმა-სამმა პროცენტმა რაღაც თქვა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს 2-3-პროცენტიანი რეიტინგი აქვს. საერთო ჯამში, რეიტინგი დათვლადი რამ არის. ეს მაჩვენებელი პოლიტიკურ კვლევებში სხვაა, სოციალურში - სხვა და მედიაში კიდევ განსხვავებული მნიშვნელობისაა. ხშირად, მარკეტინგის კვლევისას, რეიტინგის ალტერნატიული ტერმინი ინდექსია.

**- საბჭოთა პერიოდში სტატისტიკას ეს ფუნქციები ჰქონდა?**

- საბჭოთა კავშირის დროს არ არსებობდა არც ერთი სარეიტინგო ინსტრუმენტი, რომელიც ხალხის აზრს შეცვლიდა. ამისთვის სხვა, მძლავრი ინსტრუმენტები იყო. მაგალითად, ციმბირში გადასახლება. საბჭოთა დროს ჩვენ მარტივად ვუყურებთ. სსრკ-ს პირველი პირის თანამდებობა, ფორმალურად, არჩევითი იყო. სხვათა შორის, სტალინი თბილისის დიდუბის რაიონის ერთ-ერთ საარჩევნო უბანში იყრიდა კენჭს. ვერ ვიტყვით, რომ სტალინის არჩევნები გაყალბებული იყო. მას 100-დან 100 კაცი აძლევდა ხმას. ზოგი, ალბათ, იმიტომ, რის გამოც დღეს ასლან აბაშიძეს აძლევენ ხმას, მაგრამ დიდ ნაწილს სტალინი მართლა უყვარდა. საარჩევნო უბნებში საღამოსვე დგებოდა რიგი, ცეცხლს ანთებდნენ და ათენებდნენ, რომ პირველს მიეცათ ხმა. რა თქმა უნდა, პირველი იყო ის, ვინც უნდა ყოფილიყო - ვინმე დამკვრელი ფეიქარი, ვთქვათ, გორიდან.

**- ახლანდელი საარჩევნო რეიტინგის კვლევისას, ითვალისწინებთ თუ არა გაყალბების უცნობ სიდიდეს?**

- გაყალბების ხარისხი, როგორც წესი, თავად გამყალბებელმაც არ იცის. რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ და ხშირად ეს უცნობი სიდიდე დათვლადია. მაგალითად, აჭარასა და ქვემო ქართლში. დასამალი არ არის, რომ ყველაზე მონოლითური გაყალბების მექანიზმი სწორედ ამ ორ რეგიონშია. ასლან აბაშიძე და ლევან მამალაძე არიან ადამიანები, რომელთაც ეყოთ ნიჭიერება იმისთვის, რომ თავიანთ რეგიონებში ვითარება სრულად ეკონტროლებინათ. ამის დაკარგვა არ შეიძლება. რა თქმა უნდა, ეს მეთოდები ცივილური არ არის. ამ რეგიონებში კვლევის ჩატარება და საზოგადოებრივი აზრის მიღება შეგვიძლია. გაყალბების პროცენტსაც გამოვიცნობთ, თუ შენარჩუნებული იქნება ის მექანიზმი, რომლითაც აქამდე ყალბდებოდა. ერთი საინტერესო დეტალი: აჭარაში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევისას მიღებული მაჩვენებელი ემთხვევა ქვემო ქართლში მიღებულ მაჩვენებელს. ეს, დაახლოებით, 70 პროცენტია. კონტროლის მექანიზმი იმდენად მკაცრია, რომ გამოკითხვების დროსაც კი ადამიანები ამბობენ, რომ ასლან აბაშიძეს მისცემდნენ ხმას. იმ კულტურებში, სადაც ხელისუფლისადმი ვერტიკალური ორიენტაციაა, ამგვარი დამოკიდებულება უცხო არ არის. აზერბაიჯანში, სიგარეტების კვლევისას, ადამიანები გვეუბნებოდნენ, რომ ეწევიან იმ სიგარეტს, რომელსაც ეწევა ალიევი...

მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენი იყო გაყალბებული, ვიდრე პროგნოზი. ხშირად პარტიები ერთმანეთში ცვლიან იმ ადამიანებს, ვინც აყალბებს. იყიდიან იმ გუნდს, არჩევნებს რომელიც აყალბებს და საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებენ. ეს იმდენად რთული პროცესია, რომ მისი წინასწარი პროგნოზირება არც აუცილებელია და არც შესაძლებელი.

წინასაარჩევნო პერიოდში ზუსტად ვიცით, რამდენ პროცენტს მიიღებდა პოლიტიკური ორგანიზაცია. შემდეგ, არჩევნების დღეს, ვამბობთ, რამდენი პროცენტია გაყალბებული, მაგრამ ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნებამ ყოველთვის პრობლემები შეგვიქმნა.

**- ამ ხნის მანძილზე გაყალბების რაიმე ლოგიკას თუ წააწყდით?**

- მოულოდნელად აღმოვაჩინეთ, რომ აყალბებენ ის პარტიები, ვინც ყველაზე ბევრს და ხმამაღლა ყვირის.

**- იმედია, პრობლემები არ შეგექმნებათ, თუ კონკრეტულად ისაუბრებთ ამ აღმოჩენის შესახებ.**

- ძალიან მინდა, ვინმემ ამიხსნას, როგორ ჰქონდათ "ლეიბორისტებს" 25 პროცენტი თბილისში.

**- "ლეიბორისტთა" მძლავრი არგუმენტით, ისინი არ არიან ხელისუფლებაში და გაყალბებას ვერ მოახერხებენ.**

- სულ ახლახან კიდევ ერთი რამ აღმოვაჩინე: ტერმინი "ადმინისტრაციული რესურსი" სულაც არ ყოფილა ორგანიზაციული რესურსი, რომელიც ხელისუფლებას აქვს. ეს არის გაყალბებისკენ მიმართული ორგანიზაციული რესურსი.

**- თუ ჩაგიხედავთ ისტორიაში, სად იღებს სათავეს არჩევნების გაყალბების მეთოდიკა?**

- გაყალბების სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ ვიცი, ჩვენთან სად იღებს სათავეს. ეს გახლავთ კონკრეტულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის კონკრეტული გარიგების შედეგი. პოლიტიკური ტერმინი "კონსულტაცია" პირდაპირ "გარიგებას" ნიშნავს. ამ გარიგებას კი ვაჭრობის ფორმა აქვს. შედეგად, ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია მზად არის, აღიაროს სხვის მიერ გაყალბებული რეიტინგები, თუ სანაცვლოდ გარკვეული პროპორციის საკუთარ გაყალბებულ რეიტინგებს მიიღებს. სამწუხაროდ, ეს პროცესი ბევრად უფრო ორგანიზებულია, ვიდრე თავად სახელმწიფო. სახელმწიფო რომ აფხაზეთში რკინიგზის აღდგენის, ან პასპორტიზაციის, ან თურქეთიდან შემომავალი გემების პრობლემისადმი ასეთივე ორგანიზებული იყოს, გარწმუნებთ ეს პრობლემები არ იქნებოდა.

სხვათა შორის, პოლიტიკოსები ძალზე ნიჭიერი ხალხია. აქვთ ღირსება, თავმოყვარეობა, მაგრამ ერთმანეთს მაინც გაურიგდებიან. ოღონდ, ეს ხდება ხალხის, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, რადგან ხალხს ვერ გაურიგდები.

**- თქვენი ტიპის ორგანიზაციები მოსახლეობის რამდენი პროცენტის გამოკითხვით საუბრობენ შედეგებზე?**

- შედეგი იმდენად მრავალგვარია, რომ ძალზე ძნელია, თქვა, რამდენი ადამიანი უნდა გამოიკითხოს. შერჩევის ზომა იმდენნაირია, რამდენნაირი ვითარებაც შეიძლება შეიქმნას. გამოკითხულთა შერჩევის 28 მეთოდი არსებობს და თითოეულს კიდევ ქვეტიპები აქვს. ინფორმაციის სანდოობის მაჩვენებელი ორგანიზაციის რეპუტაციაა.

**- კვლევითი ინდუსტრია ჩვენში ჯერ კიდევ განვითარების გზას ადგას და არც საზოგადოებას აქვს მყარი ტრადიციები. რეალურად მოქმედებს თუ არა რეიტინგები საზოგადოებრივ აზრზე?**

- რეიტინგების გამოქვეყნება ყველა ქვეყანაში ამომრჩეველზე ზემოქმედების კონკრეტული, ნებადართული და ლეგალური ინსტრუმენტია. სხვადასხვა ვითარებაში რეიტინგები სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს. კვლევითი სივრცე, საზოგადოება, სოციალური გარემო ჩვენში ისეთია, ზუსტ პასუხს ვერ იტყვი. თუ ის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც მხარს ვუჭერ, არის მაღალი რეიტინგის, მაგრამ ვერ იმარჯვებს, მე, როგორც ამომრჩეველს, მეკარგება სურვილი, მივიდე არჩევნებზე. არის მეორე მოტივიც: ჩემს პარტიას იმდენად მაღალი რეიტინგი აქვს, რომ ჩემი მონაწილეობის გარეშეც გაიმარჯვებს. ასე რომ, მაღალმა რეიტინგმა შეიძლება პოლიტიკური ძალის სასარგებლოდაც იმუშაოს და საზიანოდაც. თუმცა, უპირატესად, მაღალ რეიტინგს სარგებლობა მოაქვს.



გოჩა ცქიტიშვილი

ვახო ხაინდრავას ფოტოები

**- რა ახდენს დადებით და უარყოფით გავლენას პოლიტიკოსთა რეიტინგზე და თავად პოლიტიკოსებს არჩევნებამდე თუ აინტერესებთ იგი?**

- აინტერესებთ. მაგრამ, პოლიტიკურ კვლევებს მხოლოდ პოლიტიკოსები არ ატარებენ. უცხო ქვეყნები მუდმივად არიან დაინტერესებული პოლიტიკური ვითარებით. სწორედ ბიზნესი განსაზღვრავს პოლიტიკას, თუმცა, ეს ჩვენთან, ხშირ შემთხვევაში, მახინჯი ფორმებით ხდება.

რაც შეეხება დადებით და უარყოფით გავლენას. გააჩნია, რა მოტივით უჭერენ მხარს ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას. მაგალითად, "ლეიბორისტებისა" თუ "დემოკრატების" ამომრჩევლები თავისი გემოვნებით ირჩევენ პოლიტიკოსს და ეს მოტივები იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისგან, რომ ერთი და იგივე ფაქტორი რომ ვამუშაოთ, სხვადასხვა შედეგს მოგვცემს. ამდენად, უნიკალური რეცეპტი იმისა, რაც ცალსახად წაადგება პოლიტიკოსს, არ არსებობს. თუ არ ჩავთვლით ღიმილს, კეთილმოსურნეობას, ხალხთან დისტანციის შემცირებას და მათთან გასაგებ ენაზე საუბარს.

**- რამდენად ჭრის პოპულიზმი, ანუ კეთილმოსასმენი, მოსახლეობისთვის აქტუალური, თუმცა, ნაკლებად შესასრულებელი საუბარი?**

- შეგვიძლია, მარტივი ექსპერიმენტი ჩავატაროთ: გადავთვალოთ პოლიტიკური აქტივობის თემები და მერე ცალკე, პარალელურად, ამ თემების განვითარება გავაანალიზოთ. აღმოჩნდება, რომ თემას 100-დან მხოლოდ 20 პროცენტში აქვს გაგრძელება. თუ პოლიტიკური აქტივობა გამიზნულია დროის ლოკალური მონაკვეთისთვის, მაშინ ის პოპულიზმია. დღეს ხუთი თემიდან ოთხი ასეთია.

**- ექსპერიმენტისთვის, განვიხილოთ ახლახან მომხდარი ორი მოვლენა – "ლეიბორისტთა" საჩივრის საფუძველზე ტარიფის შემცირება და "დემოკრატების" ინიცირებული, ხელფასის 115 ლარამდე ზრდა.**

- ორივეში არის პოპულისტურიც და საქმის კეთებაზე ორიენტირებული თემაც. "ლეიბორისტთა" შემთხვევაში, ამ თემას, მართლაც, მოჰყვა გაგრძელება და საკონსტიტუციო სასამართლოში, რატომღაც, ოპოზიციურმა პარტიამ პროცესი მოიგო. პოლიტიკის ისტორიაში, შეიძლება, ვერ მოძებნოთ შემთხვევა, როდესაც აგრესიული ოპოზიციური ძალა, რომლის მთავარი დევიზია "ხელისუფლების დემონტაჟი" - ამავე ხელისუფლებაში პროცესს იგებს... ამის შემდეგ, სახელმწიფო არხის დიდი მოცულობით სატელევიზიო ეთერი ეთმობა იმის პროპაგანდას, რომ ჩვენთვის ტარიფი შემცირდა. როგორც ირკვევა, ტარიფის შემცირებით, ოჯახი დაზოგავს არა ასობით ლარს, არამედ, წლის განმავლობაში, შეიძლება, 20-30 ლარი დააგროვოს. ამის მიუხედავად, მთელი ინფორმაციული დაწოლა სწორედ მოსახლეობის დიდ შეღავათზე გაკეთდა. აქედან დასკვნა: ეს აქტივობა იყო წარმატებულად პოპულისტური. აღმოჩნდა, რომ ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფოს შეუმცირდა ვალდებულებები სუბსიდიებზე, დაზოგა უამრავი თანხა და "თელასს" და "ენგურჰესს" შეუმცირდათ გადასახადი. ამით მივიღეთ ის, რომ შეშინდნენ ინვესტორები და სახელმწიფო მომავალი კატასტროფის წინაშე დადგა. ნიჭიერმა პოლიტიკოსმა შალვა ნათელაშვილმა (ნიჭიერებასა და ინტელექტს შორის განსხვავებაა) მოძებნა მოგებიანი თემა, პარტნიორი პოლიტიკური ძალა (ქვეყნის მმართველობა) და მოახდინა ამ თემის რეალიზაცია. ეს იყო წმინდა პოპულიზმი, რომელმაც პოლიტიკოსს რეიტინგი მოუმატა.

თუ მეორე შემთხვევას განვიხილავთ, "პოპულიზმი" შემდეგი ცნებით უნდა შევცვალოთ - საქმის კეთებისთვის მზადყოფნა და საზოგადოებრივი ურთიერთობების რეალიზაცია (პიარი). ამ საქმეშიც ორივე ელემენტი უნდა ვეძებოთ. რა თქმა უნდა, პრობლემა არ არის, ხალხს 115 ლარი დაურიგდეს, აბსურდია, რომ ვინმეს არ უნდოდეს ამ თანხის აღება. მაგრამ, ისიც ნათელია, რომ ეს ხელისუფლება ამ გარემოში გადასახადებს ვერ ამოიღებს. ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც სავსე არიან ვალდებულებებით. ნავთობპროდუქტებიდან შესული გადასახადები, სხვადასხვა მონაცემით, 10-დან 25-პროცენტამდეა, თამბაქოს ექსპორტიდან რეგისტრირებული გადასახადი - 15-დან 30 პროცენტამდე. შეუძლებელია, ამ "ჩრდილოვანი" ადამიანებისადმი ვალდებულებების მქონე ხელისუფლებამ გადასახადების ამოღება შეძლოს. ხშირად ამ ტიპის ადამიანები თავად გვევლინებიან ხელისუფლებად. ხელისუფლების პირველ პირს ბევრს არაფერს ეკითხებიან. ამ ქვეყანას სულაც არ აკონტროლებენ ის ადამიანები, ვისაც ყოველ საღამოს ვუყურებთ ტელევიზიით.

ამ პოლიტიკურ თემას თუ დავუკვირდებით, არ შეიძლება, "დემოკრატების" ინიციატივა პოპულიზმად მოინათლოს, რადგან ამ საკითხის გადაჭრა პარლამენტმაც მოითხოვა. თუ პოლიტიკური ორგანიზაცია იბრძოლებს ხელფასის გაზრდისთვის და არა ინვესტორის გაგდებისთვის, ამას პოპულიზმს ვერაფრით დავარქმევ.

**- როგორ გგონიათ, დაბალრეიტინგიანი პარტიების საარჩევნო რესურსი მხოლოდ ფულია?**

- თუ ფული დაიხარჯება იმაში, რომ ხალხმა მოქალაქეთა კავშირის პლუსები დაინახოს, ეს ფული ნორმალურად იქნება დახარჯული. შესაძლოა, დიდი ფული შავი პიარისკენ იყოს მიმართული (ანუ ვის რამდენი მილიონი აქვს ნაშოვნი). საქმე ის არის, რომ დახარჯვის რესურსი ცოტაა, ფული კი - ბევრი. 1999 წელს საარჩევნოდ დახარჯული 100 დოლარი 10-ჯერ უფრო ეფექტიანად იმუშავებდა, ვიდრე ახლა დახარჯული 100 დოლარი. სავარაუდოდ, 7-ჯერ, 8-ჯერ მეტი თანხა იქნება აკუმულირებული ამ საპარლამენტო არჩევნებზე. დღეს სარისკოა მოსყიდვის გამო ფულის დახარჯვა. ამისთვის ადგილობრივი არჩევნების მაგალითიც კმარა - ეს სისხლის ღვრის ტოლფასია. მაშინ ჩვენ ვამბობდით, რომ ეს ბინძური არჩევნები იქნებოდა.

**- მომავალ არჩევნებზე რაღას იტყვით?**

- გასული ადგილობრივი არჩევნები საპარლამენტოს გენერალური რეპეტიცია იყო. აქვე გეტყვით, რომ გამარჯვებული არ იქნება ერთი პოლიტიკური ძალა.

წარმოუდგენელი არაფერია – დაახლოებით სამ თვეში თბილისში სროლა დაიწყება (თუ უკვე დაწყებული არ არის) და არჩევნებამდე გაგრძელდება. დღეს სასწორზე დევს არა მხოლოდ სკამების რაოდენობა, არამედ დახარჯული ფულიც. მახსოვს, ინვესტორთან ძალიან მძიმე საუბარი ჰქონდათ წაგებულ პოლიტიკოსებს. ახლა იმდენად დიდი ფული იდება, რომ შეიძლება საუბარი არც შედგეს...

**- როგორ ზეგავლენას ახდენს ამომრჩეველზე ის ბინძური ბრალდებები, რასაც პოლიტიკოსები ერთმანეთს საჯაროდ უყენებენ?**

- ამას რამდენიმე ეფექტი აქვს. პირველი არის ის, რომ ყველა პოლიტიკოსის ნეგატიური კუთხით წარმოჩენა უკვე გაცვეთილი თემაა. იმდენად, რომ პოლიტიკოსის წესიერების, კეთილსინდისიერებისა და ღირსეულობის ალარავის სჯერა. თუ არ ჩავთვლით ე.წ. ექსცესურ ამომრჩეველს, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებს რაციონალიზმი.

**- ამგვარი ამომრჩევლის რიცხვი დიდია?**

- დიახ, საკმაოდ დიდია. პოლიტიკოსის "ჩემპიონი სტერეოტიპი" ასეთია: ხალხისთვის თავდადებული, სოფელში დაბადებული, მარტივი, ხალხის ენაზე მეტყველი და ეული. მთელი მსოფლიო ებრძვის პოლიტიკოსის ამგვარ ტიპს. ასეთი ადამიანი ჩვენთან არ არსებობს, მაგრამ ხალხს ჰგონია, რომ არის ასეთი პოლიტიკოსი.

**- ბოლო ხანს გაისმა ხმები, რომ გაერთიანებული ოპოზიციის სიის სათავეში შეიძლება ვიხილოთ პარლამენტის დღევანდელი თავმჯდომარე. რას იტყვის ამაზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის სპეციალისტი?**

- ეს იქნებოდა იშვიათად სწორი გადაწყვეტილება.

გაერთიანებაში შემავალ პოლიტიკურ ძალებს განსხვავებული ელექტორატი ჰყავთ. სააკაშვილი და ჟვანია განსხვავებული ტიპის ადამიანები არიან. გაჩეჩილაძე და გამყრელიძეც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. შესაბამისად, მათი არჩევის მოტივებიც სხვადასხვაა. გაერთიანებით ამომრჩეველი, ერთგვარად, დაბნეულია. მან აირჩია ერთი და ამავე გაერთიანებაში მეორე ლიდერიც გაჩნდა. ასეთ დროს ძალზე ეფექტურია ისეთი მესამე ფიგურის გამოჩენა, რომელიც ლიდერად მოგვევლინება. პოლიტიკური პარტიის სათავეში ქალის, როგორც ყველაზე ნაკლებად სანდო კონსტრუქციის წარმოჩენა, გარკვეული თვალსაზრისით, პრობლემურია. მაგრამ, ამის მიუხედავად, ნინო ბურჯანაძე არის იმ ატრიბუტიკის მატარებელი, რომელიც კონფლიქტში არ მოდის ამ გაერთიანებაში შემავალი ლიდერების საამომრჩევლო მოტივებთან. ამ შემთხვევაში, ყველა ხვდება, რომ ბურჯანაძის პირველპირობა გამოწვეულია გარანტირებულად პროფესიული და ადამიანური მაჩვენებლებით და ამაზე არავინ დავობს. ის არ არის რბილი ქალი, არის ქვეყნისთვის რეპრეზენტატიული და შეიძლება მოგვევლინოს კარგი დამბალანსებლის როლში. გარდა ამისა, ოპოზიციის გაერთიანების შემთხვევაში, ლიდერობის პრობლემას წყვეტს. ნორმალური ურთიერთობები აქვს სხვა პოლიტიკურ ძალებთან... გაერთიანებას ისეთივე მოვლა სჭირდება, როგორც სხვას ყველაფერს. მომვლელად ნინო ბურჯანაძე დღეს ყველაზე ოპტიმალური კანდიდატურაა.

**- მოდით, ცოტა პრესის რეიტინგებზეც ვისაუბროთ. არსებობს რაღაც გაურკვეველი წარმოშობის ორგანიზაციის, ან ორი-სამი პიროვნების მიერ დათვლილი რეიტინგები. ამას ვინმე აკონტროლებს?**

- ეს საქმიანობა კანონით არ არის აკრძალული. თუმცა, ათიდან ცხრა ასეთი გამოქვეყნებული მასალა, როგორც წესი, ვილაცის კერძო ინტერესებს ემსახურება (დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ). ერთადერთი ინსტრუმენტი იმისა, რომ ამგვარი 5-კაციანი გამოკითხვები შეჩერდეს, არის ის რომ მედიამ რომელიც ამ სარეიტინგო მაჩვენებელს აქვეყნებს, შეაფასოს კვლევითი ორგანიზაციების რეპუტაცია.

**- მერვე წელიწადია, თქვენი ორგანიზაცია იკვლევს საზოგადოებრივ აზრს. რა ცვლილებები განიცადა თქვენი კვლევის ობიექტმა?**

- იყო უფრო ემოციური, აქტიური, დაინტერესებული და არა პოლიტიზებული. ჰქონდა ინფორმაციის მაღალი მიმღებლობა, მონაწილეობის მაღალი ხარისხი. განსაკუთრებული აღმავლობა შეიმჩნეოდა 1998 წლიდან, როცა გარკვეულ ეკონომიკურ წარმატებებს მივაღწიეთ... ამის შემდეგ ყველაფერი დაინგრა - გაქრა ნდობა, გაცვდა ყველა თემა. სახელმწიფო პროცესებში ჩართულობის ხარისხი შემცირდა, მიმღებლობა ნულზე დავიდა. ადრე აქტუალური იყო თოქ-შოუში ორი ადამიანის ჭიდილი. ახლა ეს არაფრით განსხვავდება იაფფასიანი ამერიკული ბოევიკისგან, სადაც ბოროტება უნდა დამარცხდეს და სიკეთემ გაიმარჯვოს.

არა ქართული ეკონომიკა, არა ლარის პერსპექტივა, არა პოლიტიკოსთა ინტელექტი - არამედ საზოგადოების აზრი და სოციალური ორიენტაციებია ყველაზე ცუდი, რაც დღეს საქართველოში ხდება. არ დაიჯეროთ, რომ პოლიტიკოსები ცუდი ადამიანები არიან და ხალხი კარგია. პოლიტიკოსები ისეთივე არიან, როგორიც ხალხი.







# ბადრი მაისურაძის „სიმღერა მუსიკისთვის"

## დღეს თბილისის ოპერაში "ბალ-მასკარადს" დიდი თეატრის ქართველი სოლისტი იმღერებს

*"თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ტენორი" – ეს გულწრფელი კომპლიმენტი ბადრი მაისურაძის მისამართით მსტისლავ როსტროპოვიჩმა წარმოთქვა. დიდი თეატრის ქართველი სოლისტი, რომელიც მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო თეატრებში მართავს სპექტაკლებს, დღეს თბილისის სცენაზე იმღერებს ვერდის "ბალ-მასკარადს". ბადრი მაისურაძის შემოქმედებითი ცხოვრება კინოთი დაიწყო. ფილმებში - "სიყვარული ყველას უნდა" და "ნეილონის ნაძვის ხე", კომიკური როლების შესრულების შემდეგ იგი მოულოდნელად აღმოჩნდა ოპერის სცენაზე. თავიდან პედაგოგები ოპერის მიმართ მის არასერიოზულ დამოკიდებულებას უჩიოდნენ. ამ "ცოდვას" თავად მომღერალიც აღიარებს, თუმცა, "გიტარისა და ჩქარი ტაშის" ასაკიდან გამოსვლა მას მაინც არ გასჭირვებია. თბილისის კონსერვატორიის (გოჩა ბეჟუაშვილის კლასში) დამთავრების, მოსკოვსა და მილანში გავლილი სასწავლო კურსების შემდეგ იგი ჯერ ვინიასის და ბიორლინგის სახელობის კონკურსების გამარჯვებული გახდა, მოგვიანებით კი რიგ-რიგობით დაიპყრო მსოფლიოს უდიდესი სცენები (ლა სკალა, დოიჩე ოპერა, ვენის შტაადსოპერა, სან კარლოს თეატრი ნეაპოლში, მადრიდისა თუ მარიას თეატრები...). ლირიულ-დრამატული ტენორის 40-მდე პარტიას თანდათან ემატება უფრო დრამატული როლები: შემოდგომაზე დიდ თეატრში (მაისურაძე 1994 წლიდან მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტია) ოტელოს იმღერებს. მომავალი წლის სეზონს კი ლა სკალაში გახსნის - რიკარდო მუტისთან ერთად შეასრულებს "აიდას". გუშინ, ბადრი მაისურაძე "24 საათის" სტუმარი იყო.*

მადი სერებრიაკოვა

**– ასეთი კინო-კარიერის შემდეგ როგორ მოხვდით საოპერო სცენაზე?**

– ეს ბატონი ზურაბ ანჯაფარიძის დამსახურებაა. კონსერვატორიაში ვსწავლობდი, მაგრამ არ დავდიოდი ლექციებზე. მთელ დღეებს გადაღებებზე ვატარებდი.. გიტარა და ჩქარი ტაში... ბატონმა ზურამ "სამგროშიან ოპერაში" თამაშისას (თეატრალურ ინსტიტუტში მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში ვიყავი) სასიმღერო სცენაში მომისმინა. მაშინ ვერ ვიტანდი კლასიკურ სიმღერას, მაგრამ ბატონმა ზურამ სასწაული მოახდინა და ისე შემაყვარა ოპერა, რომ ახლა, თუ რაიმეს კარგს ვაკეთებ, ეს მთლიანად მისი დამსახურებაა.

**სრულყოფილ მომღერლად ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესია. თქვენ როდის იგრძენით თავი ჩამოყალიბებულ მომღერლად?**

– მიუხედავად იმისა, რომ 1992 წლიდან ვმღეროდი უცხოეთში, მხოლოდ 1996 წლიდან ვიგრძენი, რომ მაქვს სცენაზე სიმღერის უფლება. არსებობს სპეციალობები, სადაც 8-9 საათი იმეცადინებ და, თუ ოდნავი ნიჭი გაქვს, რაღაცას მიაღწევ. მომღერალს კი შეუძლია, დღეში ნახევარი საათი იმღეროს. ამიტომ მომღერლებს შედარებით გვიან აქვთ რენესანსის პერიოდი. თუმცა, ყველა ასაკს თავისი შესაბამისი რეპერტუარი აქვს, გამომდინარე ხმის მდგომარეობიდან, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, გარეგნობიდანაც. ყველა ასაკის მომღერალი არ შეეფერება, ვთქვათ, "გმირისაყვარლის" პარტიებს. ზოგიერთ პარტიას ახალგაზრდული სიხალასე უხდება. თუმცა, არის პარტიები, რომლებიც უფრო გვიან უნდა იმღერო. აი, მაგალითად, ბორისი უნდა იმღეროს ხანში შესულმა ადამიანმა, რომელსაც ცხოვრება გავლილი აქვს. იგივე შეიძლება ითქვას ოტელოზე, რომელსაც მე მხოლოდ ახლა ვიმღერებ. ასე რომ, ძალიან მნიშვნელოვანია ხმის პროგრესი, შეიძლება - რეგრესიც, რადგან ყოველი პარტიის შემდეგ რაღაც გაკლდება.

**– მაგრამ რამდენი გემატებათ...**

– რა თქმა უნდა. ისევ ზურაბ ანჯაფარიძეს გავიხსენებ. 65 წლის იქნებოდა, როცა ასეთი რამ მითხრა: "აი, ახლა გავიგე, როგორ ვიმღერო და ხმა აღარ მაქვსო".

**– ამბობენ, ზოგჯერ, ცოტა ჭარბი წონის გამო, კონტრაქტებზე უარის თქმაც გიწევთ...**

– იყო ასეთი შემთხვევა მეტროპოლიტენში. 10 კილოგრამის დაკლება მომთხოვეს. რეჟისორის ჩანაფიქრის მიხედვით, ერთ სცენაში წელს ზევით შიშველი უნდა გამოვსულიყავი. წარმოიდგინეთ, რა სანახავი ვიქნებოდი! წონაში დაკლება ადვილი არ არის. წონასთან ერთად ხმასაც აკლდება. ეს არის უმეტესად რეჟისორების პრობლემა. იმ თეატრში, სადაც რეჟისორს უფრო წამყვანი პოზიცია აქვს, ვიდრე მომღერალს, ბუნებრივია, იძულებული ხარ, დაემორჩილო მის ხუშტურებს, რომლებსაც მუსიკასთან საერთო არაფერი აქვს.

**– რიკარდოს პარტია რამდენად შეეფერება თქვენს ამჟამინდელ მდგომარეობასა და ფიზიკურ მონაცემებს?**

– პირველად დიდ თეატრში ვიმღერე პეტერ ფერანისთან ერთად. რიკარდო ყველა ტენორისთვის ძალიან მომგებიანი პარტიაა. ყველას მოწონს სცენაზე ლამაზად სიკვდილი. საერთოდ, იგი უფრო საღ, ახალგაზრდა ხმას მოითხოვს: რიკარდო უდარდელი კაცია, რომელიც მხოლოდ გრძნობებით თამაშობს და სურს, რომ მის გარშემო ყველამ ითამაშოს.. ამჟამად უფრო მძიმე რეპერტუარს ვარჩევ, მაგრამ ეს მაინც მომგებიან პარტიად რჩება.

**– მომეჩვენა რომ თქვენს ძველ ჩანაწერებს ძალიან კრიტიკულად უყურებთ...**

– უცნაური თვისება მაქვს - დღეს რომ მოვისმენ ჩემს ჩანაწერს, საშინლად არ მომწონს, ათი წლის შემდეგ კი – პირიქით. ალბათ იმიტომ, რომ საკუთარ თავს უფრო მეტ მოთხოვნას ვუყენებთ, ვიდრე შეგვიძლია. იმ 12 წლის მანძილზე, რაც სცენაზე ვარ, სულ 12-ჯერ თუ ვყოფილვარ კმაყოფილი საკუთარი ნამღერით.



მადი სერებრიაკოვას ფოტო

*ბადრი მაისურაძე*

**განსაკუთრებით რომელ თეატრში გიყვართ გამოსვლა?**

– დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად სახელოვან თეატრში ვმღერი. არავინ იკეკლუცოს, რომ "თეატრის კედლები შთააგონებენ" და ა.შ. თვით ლა სკალაშიც დღეს ძალიან არასახარბიელო სიტუაციაა. საქმე იქამდე მიდის, რომ სტუდენტებს ამღერებენ. ეს წარმოუდგენელია, ჩემს სტუდენტობაში სტუდენტებს საოპერო სტუდიის სპექტაკლებშიც არ გვამღერებდნენ. პედაგოგების დეფიციტიც არის, მე თვითონ სამი თვით მიმიწვიეს ლა სკალას აკადემიაში. ლაშა ნიქაბაძეს, გია ონიანს დი კიდევ რამოდენიმე ბულგარელ გოგონას ვამეცადინებდი.

**–თუკი სტუდენტს ფენომენური ხმა აქვს?**

– რაც უნდა ფენომენური ხმა ჰქონდეს სტუდენტს, იგი მაინც არ არის მზად ასეთი სპექტაკლებისთვის (საქართველოში ათიდან ცხრას ხმა აქვს, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი სცენაზე უნდა დავაყენოთ). ასეთ პოპულარულ თეატრებში დღეს ფული უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე მუსიკა. ყველაფერი აგენტების დონეზე წყდება: თუ აგენტს ბევრ ფულს გადაუხდი, ის ჟურნალის ყდაზე დაგბეჭდავს. თეატრი კი, რომელიც ძვირადღირებულ ბილეთს ყიდის, დაინტერესებულია ცნობილი სახელები დაწეროს აფიშაზე. ადრე ამას ვინ გაპატიებდა - სტვენა, პომიდორების სროლა... ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, ახლა ის კორიფეები რომ ამოახედა საფლავიდან, ვინც იმ სცენებზე იდგა, რას იფიქრებდნენ?! გახსოვთ, სულ დავობდნენ - "ხელოვნება ხალხისთვის" თუ "ხელოვნება ხელოვნებისათვის". დღეს რაც მსოფლიოში ხდება, ეს არის "ხელოვნება ფულისთვის".

**– ძალიან მოდაშია ძველი, კლასიკური მუსიკის ავანგარდული დადგმების განხორციელება. როგორ უყურებთ ამ ტენდენციას?**

– ვერ ვიტყვი, რომ ეს რაიმე ახალი მიმდინარეობაა - ეს არის მხოლოდ ფულის მიმდინარეობა. რეჟისორი სხვანაირად რომ ვერ ახარხებს, ცდილობს, საკუთარი თავი იმით დაიმკვიდროს, რომ, რაც შეიძლება, სკანდალური სპექტაკლი დადგას.

**– თქვენ ბევრ ვარსკვლავთან მოგიწიათ მუშაობა...**

– ვარსკვლავთან თამაში ყველაზე ძნელია. ის ხშირად ქმნის ისეთ სიტუაციას, რომ სულ მის გარშემო უნდა იტრიალო. განსაკუთრებული შემთხვევაა ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი ბარიტონი, კარლოს ალვარსი, რომელსაც მადრიდში, "ერნანი"-ში შევხვდი. ქართველი მომღერლებიდან კი, ძირითადად, პაატა ბურჭულაძესთან, ლადო ათანელთან (ბარსელონაში "ბალ-მასკარადი", დოიჩე ოპერაში "აიდა" ვიმღერეთ) მაქვს კონტაქტი. იანო ალიბეგაშვილსაც ვხვდები ხოლმე. ახლა ვგეგმავთ, რომ პაატას იუბილესთან დაკავშირებით ყველა ერთად ჩამოვიდეთ თბილისში და საიუბილეო კონცერტი მოვაწყოთ.

**– რამდენიმე წლის წინ თქვენ ძალიან მნიშვნელოვანი აქცია მოაწყეთ - დიდი თეატრის სოლისტები რომ ჩამოიყვანეთ კონსერვატორიაში სტუდენტებისთვის მასტერ-კლასების ჩასატარებლად. დასკვნით კონცერტზე რამდენიმე პოტენციური ვარსკვლავიც კი აღმოაჩინეს.**

– მაშინ ამ აქციას საკმაოდ არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. თუმცა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, თუ რა მნიშვნელოვანია, დამწყებ სტუდენტს ვიღაც ზედმეტად რომ მოგისმენს, გირჩევს. უკვე მოვილაპარაკეთ, რომ ჩამოვიყვანოთ ცნობილი იტალიელი პედაგოგი, მარკო პალიაცი, რომელიც ახლა დიდ თეატრში კონსულტანტად არის მიწვეული. იგი რამოდენიმე კვირის განმავლობაში გაკვეთილებს ჩაუტარებს ჩვენს სტუდენტებს.

## არაჩვეულებრივი გამოფენა




დღეს "ძველი გალერეა" ძველ ფოტოებს მასპინძლობს. მე-19 საუკუნის ცნობილ ფოტოხელოვანთა: ერმაკოვის, როინიშვილის, ჟვანიას, მიშენკოსა თუ კაჩუხოვის ფოტოებზე გარდასული ეპოქის ბავშვები პოზიორობენ თავიანთ სათამაშოებთან ერთად და ძველ დროს აცოცხლებენ. გამოფენას "ჩემი პატარა ბებია და ბაბუა" ჰქვია. ფოტოები კი ცნობილი გალერისტების მანანა და არჩილ დარჩიების კოლექციიდან არის. "ძველ ფოტოებს ოცი წელია, ვაგროვებ; ვყიდულობ მშრალ ხიდზე თუ კერძო პირებისგან. დაინტერესებული ვარ გასული საუკუნეების ტიპაჟებით. ამჯერად ჩემი დიდი კოლექციის მხოლოდ იმ ნაწილს წარმოგიდგენთ, რომელიც ჩვენი დიდი ბებიებისა და ბაბუების ბავშვობის სამყაროს შეგვაგრძნებინებს", - ამბობს არჩილ დარჩია.

## ჯაზი, ელექტრონიკა და დრამ-ენდ-ბეისი

### De-Phazz-მა "აჭარა მიუზიკ ჰოლიც" დაიპყრო

ვერა ნეფარიძე

გერმანია ყოველთვის გამოირჩეოდა ისეთი უცნაური მუსიკალური პროექტებით, რომლებიც მსოფლიოს, თითქმის, არცერთ ოფიციალურ მუსიკალურ სტრუქტურაში არ თავსდებოდა. გაიხსენეთ, თუნდაც, ნინა ჰაგენი, "კრაფთვერკი" ან Einsturzende Neubauten. ამიტომაც, ის, რომ De-Phazz სწორედ გერმანული ჯგუფია, უფრო ბუნებრივი ამბავია, ვიდრე - არაჩვეულებრივი.

"თანამედროვე საკლუბო მუსიკის ლიდერი", - ასე იცნობდა ფართო საზოგადოება ჩვენთან De-Phazz-ს ჯგუფის თბილისური კონცერტის სარეკლამო რგოლის საშუალებით. De-Phazz-ს ელოდნენ საქართველოში მისი თაყვანისმცემლებიც (რომელთა რიცხვიც ობიექტური მიზეზების გამო, ვერ იქნება მრავალრიცხოვანი) და, უბრალოდ, ცნობისმოყვარეებიც, რომელთაც კონკრეტული მუსიკალური ჟანრის მოყვარულების სტატუსს ვერ მივცემთ.

De-Phazz ცდილობს, მისი მუსიკა ყველა თანამედროვე მუსიკალური მიმართულების მოყვარულისთვის მისაღები იყოს. ამიტომ მიმართავენ ჯგუფის წევრები სხვადასხვა მუსიკალური სტილების სინთეზს. "თუკი ვინმე ჩვენს კონცერტზე ჯაზის მოსასმენად მოვა, მიიღებს მას; მაგრამ ასევე მოუსმენს დრამ-ენდ-ბეისსა თუ ტრანსს", - ჯგუფის წევრები ამაყობენ ჟანრობრივი მრავალფეროვნებით და მიაჩნიათ, რომ De-Phazz-ის "კოზირიც" სწორედ ესაა. ამაში ჩვენც დავრწმუნდით, როდესაც ოთხშაბათს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გამართულ კონცერტს დავესწარით.

გერმანულ ჯგუფს თბილისურ კლუბში საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორია დახვდა, მაგრამ არც ისეთი ხალხმრავალი, როგორც ბრაზილიური წარმოშობის სალომე დე ბაიას. ასეთი დასწრება საკმარისი აღმოჩნდა მუსიკოსების გასამხნევებლად; საიმისოდ, რომ De-Phazz-ის წევრებს თავიანთი ტრადიციული საკონცერტო რიტუალი გაემართათ. "ყოველი კონცერტი სიყვარულის გაცემის საშუალებაა, გარკვეულწილად რიტუალია", - მითხრა კონცერტამდე ჯგუფის მომღერალმა ფეთ ემფელთოუნმა. დასანანია, რომ როგორც წინასწარაც ვიუწყებოდით, კონცერტი წმინდად მუსიკალური გამოვიდა - ყოველგვარი ვიდეო-შოუს გარეშე. სამაგიეროდ, ჯგუფის არტისტული მუსიკოსები, ვოკალისტები: კარლ ფრიერსონი და ფეთ ემფელთოუნი გარკვეულწილად, ცდილობდნენ, ამ დანაკლისის შევსებას. ალბათ, სანახაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი მომღერლების მიერ კოსტიუმების ხშირი ცვლაც იყო.

ასე რომ, თბილისურმა აუდიტორიამ ამჯერად ვერ იხილა De-Phazz-ის ვიზუალური ნამუშევარი. რაც შეეხება მუსიკას, ამ მხრივ, გერმანულმა ჯგუფმა უფრო თანამედროვე ჯაზზე ორიენტირებული მსმენელი დატოვა კმაყოფილი. ისინი, ვინც თაყვანს სცემენ ჯორჯ ბენსონისა თუ ელ ჯეროს ვოკალს, აუცილებლად შენიშნავდნენ კარლ ფრიერსონის დამოკიდებულებას ამ მსოფლიო დონის მუსიკოსების მიმართ; სიმართლე რომ ითქვას, არც ფეთ ემფელთოუნის სიმღერის მანერა იყო ნოვატორული. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეს შეუმჩნეველი დარჩა ჯგუფის მომღერლების ან თუნდაც ინსტრუმენტალისტების პროფესიონალიზმი, რომლის წყალობითაც "აჭარა მიუზიკ ჰოლის" აუდიტორია მთელი ორსაათნახევრის განმავლობაში ენერგიულად ცეკვავდა. კონცერტი გვიან ღამით დასრულდა და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ De-Phazz-მა მსოფლიოს ცნობილი კლუბების შემდეგ წამყვანი თბილისური მუსიკალური კლუბიც დაიპყრო.





ვახო ხაბალიას ფოტო

*De-Phazz-ის საკონცერტო რიტუალები*

## კალენდარი

### 7 მარტი



ანა მანიანის (1908-1973) მამა ეგვიპტელი ჰყავდა, დედა კი – იტალიელი. ის ალექსანდრიაში დაიბადა, ხოლო როცა მისი ოჯახი რომში გადავიდა, ანა 5 წლისა იყო.

1921 წელს მანიანიმ "სანტა-ჩეჩილიას" დეკლამაციის კურსებზე დაიწყო სიარული. იმხანადვე ლუიჯი ჩიმარის თეატრალურ ჯგუფში მუშაობდა, "ტეატრო დელ არტის" სცენაზე გამოდიოდა. მისი პირველი მეუღლე რეჟისორი გიფრედო ალესანდრინი იყო, რომელსაც მსახიობი სულ მალე გაშორდა.

ანა მანიანის წარმატება ვიტორიო დე სიკას ფილმში, "პარასკევაში" შესრულებულმა როლმა მოუტანა – ის ვარიეტეს მსახიობს თამაშობდა. პარალელურად, ანა ესტრადაზე გამოდიოდა, სადაც მისი მეწყვილე ტოტო გახლდათ.

ნეორეალიზმის "პროგრამულ" კინოფილმში, რობერტო როსელინის სურათში "რომი – ღია ქალაქი" (1945), მანიანიმ პინა ითამაშა ვარიეტეს მსახიობი. ამ ფილმის შემდეგ, თავისი ცეცხლოვანი ტემპერამენტის, გარეგნობისა და უდავო ნიჭის წყალობით, ანა მანიანი იტალიური ნეორეალიზმის წამყვანი მსახიობი გახდა: ლუიჯი ძამპას "დეპუტატი ანჟელინა", ლუკინო ვისკონტის "ყველაზე ლამაზი" და მრავალი სხვა სურათი სწორედ ანა მანიანის სამსახიობო ხელოვნების გამო შევიდა იტალიის კინოკლასიკის სიაში.

სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში მიიჩნიეს, რომ ანა მანიანი "ტიპაჟით არ შეესაბამებოდა ეკონომიკური სასწაულის ეპოქას". ახალი თაობის მხოლოდ ერთმა რეჟისორმა, პიერ პაოლო პაზოლინიმ მიანდო მას მთავარი როლი ფილმში "მამა რომა", რომელშიც მან, დედის ბედნიერებისა და ტრაგედიის გარდა, ძლიერი პიროვნების დრამაც გამოხატა - პიროვნებისა, რომელიც დრომ არ დაინდო.

60-იან წლებში მანიანის მიერ შესრულებული როლებიდან ტელეფილმ "სამ ქალში" შექმნილი სახეები უნდა აღინიშნოს. კინოში უკანასკნელად ფედერიკო ფელინიმ გადაიღო ფილმში "რომი" - პატარა ეპიზოდში ანა მანიანიმ ანა მანიანი ითამაშა.

იტალიელი მსახიობი **ანა მანიანი** დაიბადა 1908 წლის 7 მარტს.

## პრეზენტაცია ავტორის გარეშე

### კონსტანტინე გამსახურდია უმცროსის წიგნის პრეზენტაცია "სარდაფში"

ნანა ბასილაშვილი

გუშინ "სარდაფის" ხუთშაბათობაზე კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიას წიგნის პრეზენტაცია გაიმართა, ოღონდ - ავტორის გარეშე. სამაგიეროდ, ახალი წიგნის "გასაცნობად" კლუბში უმცროსი გამსახურდიას მკითხველები და მისი ნაცნობ-მეგობრები მივიდნენ. პრეზენტაციას კოკოს დედაც ესწრებოდა.

წიგნს, რომელიც მწერალმა, ზაალ სამადაშვილმა და პოეტმა, რატი ამაღლობელმა წარუდგინეს საზოგადოებას, "ვიტრაჟები" ჰქვია და გერმანული პოეზიის ( მე-19 საუკუნიდან მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე) თარგმანების კრებულს წარმოადგენს.

"კრებული გერმანული ლირიკის ქართულად ამეტყველების მცდელობაა. მისი სათაური გოეთეს პოეზიიდან წარმოსდგება, ვისაც ლექსები ეკლესიის ვიტრაჟებს მოაგონებდა", - ვკითხულობთ მთარგმნელის წინათქმაში.

გამსახურდია უმცროსს სათარგმნად სულ სხვადასხვაგვარი ლექსები აქვს არჩეული. ესაა გერმანული პოეზიის მცირე ანთოლოგია - გოეთედან ენცენსბერგერამდე, რომელიც, თითქმის ყველა მიმდინარეობასა და სტილს მოიცავს - შილერი, ნოვალისი, ბრენტანო, აიხენდორფი, ჰოლდერლინი, რიუკერტი, ჰაინე, ნიცშე, თრაკლი, გეორგე, ჰესსე და ა.შ.



ვახო ხაბალიას ფოტო

*რატი ამაღლობელი: "გირჩევთ, თარგმანებს ხშირად უკირკიტოთ"*

კონსტანტინე გამსახურდია უმცროსი, უკვე 10-11 წელიწადია, რაც შვეიცარიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ბოლო წლების განმავლობაში ქართველ მკითხველს მაინც მიეცა საშუალება, მის შემოქმედებას გასცნობოდა ("პოლიტიკური სცენის მიღმა", "დინების საწინააღმდეგოდ" და ა.შ.). გამომცემლობა "საარმა" ერთი თვის წინ გამსახურდიას კიდევ ერთი წიგნი გამოსცა - "ვიტრაჟები". "ეს არის სერიოზული და მნიშვნელოვანი შენაძენი ქართველი მკითხველისათვის, რომელიც მრავალი თქვენგანისათვის, შეიძლება სამაგიდო წიგნადაც იქცეს, - ასე წარუდგინა "ვიტრაჟები" დამსწრეთ რატი ამაღლობელმა, - ჩვენ საშუალება გვეძლევა, გერმანული პოეზიის კიდევ ერთ ქართულ თარგმანს გავეცნოთ. გირჩევთ, თარგმანებს ხშირად უკირკიტოთ, რადგანაც, რაც უფრო ხშირად ადარებ თარგმანს ორიგინალთან, მით მეტად ფართოვდება ლიტერატურის შეფასების უნარი."

თავად ავტორი კრებულის წინათქმაში წერს: "გერმანული ლიტერატურის თარგმნას საქართველოში, თითქმის, საუკუნენახევრის ტრადიცია აქვს. შესაძლოა, ზოგიერთი ლექსი, რომელიც წინამდებარე კრებულშია შესული, უკვე თარგმნილიც იყოს. და მაინც, თვალსაჩინო პოეტური ქმნილების კიდევ ერთი თარგმანი არასგზით არ აწყენს კულტუროსან ერს."

მთარგმნელის, ამირან სვიმონიშვილის შეფასებით, - "ლიტერატურით დაინტერესებული ყველა ქართველი მიესალმება ამ წიგნის გამოცემას, ძალიან ძნელია პოეზიის თარგმნა. კოკოს კრებულში გერმანული ენის პლასტიკა კარგადაა გადმოცემული. ვფიქრობთ, ავტორი ამით არ დაკმაყოფილდება და გერმანულ პოეზიას კიდევ უფრო სრულად წარმოგვიდგენს."

ბოლოს რატი ამაღლობელმა საზოგადოებას "ვიტრაჟებიდან" რამოდენიმე ლექსიც წაუკითხა და სარდაფის კიდევ ერთი საინტერესო ლიტერატურული საღამოც დასრულდა.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

## "ვერდერი" ჩაქოლვას ძლივს გადაურჩა

ამ ბოლო დროს ბრემენის "ვერდერი" აშკარად კრიზისშია. მათ ბუნდესლიგაში ზედიზედ ხუთი მატჩი წააგეს და თასის ნახევარფინალიდანაც გამოვარდნენ. რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, ბოლო ორი მარცხი სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილზე მყოფმა "ვერდერმა" ბუნდესლიგის აუტსაიდერებთან განიცადა - ჯერ ლევერკუზენის "ბაიერთან" წააგო, მერე კი – ბოლო ადგილზე მყოფ "კაიზერსლაუტერნთან".

მიროსლავ კლოზეს "კაიზერსლაუტერნი" ბუნდესლიგის უიმედო აუტსაიდერია. 23 ტური ისე გავიდა, "კაიზერს" ერთი მატჩიც არ მოუგია. და აი, კლოზემ და კომპანიამ პირველი სენსაცია მოახდინეს: გავიდნენ გერმანიის თასის ფინალში, სადაც მათი მეტოქე იქნება მიუნხენის "ბაიერნი", რომელმაც უპრობლემოდ მოუგო აქამდე შემორჩენილ ლევერკუზენის "ბაიერს."

"კაიზერთან" წაგების (0:3) შემდეგ "ვერდრის" გულშემატკივრებმა ალყაში მოაქციეს გუნდის ავტობუსი და ფეხბურთელებს სტვენით და ყიჟინით შეხვდნენ. სტვენა ბრემენელებს არც მოედანზე დაჰკლებიათ. ფანებმა "კოკა კოლას" ბოთლებიც დაუშინეს თავგზააბნეულ ფეხბურთელებს. ავტობუსთან კი ნამდვილი საპროტესტო აქცია გაიმართა. "ჩვენ ბრემენელები ვართ და გვრცხვენია, რომ თქვენ ჩვენი ქალაქის სახელით თამაშობთ!" - ასეთი კატეგორიული ტონი ჰქონდათ კლუბის თეთრ-მწვანე მაისურებში გამოწყობილ ფანებს.

განრისხებულ გულშემატკივრებთან დალაპარაკება გაბედა მხოლოდ სამმა ფეხბურთელმა – ბაუმანმა, ბორელმა და დაუმმა, მთავარმა მწვრთნელმა შააფმა და სპორტულმა დირექტორმა ალფოსმა. ისინი შეეცადნენ, ფანები დაემშვიდებინათ. დანარჩენები კი ჩუმად შეიძურწნენ სასტუმროში.

"ვერდერის" ხელმძღვანელობა ბოლო დროს განცდილ წარუმატებლობას, ძირითადად, პოლონელი მეკარის, იაკუბ ვიერზხოვსკის ცუდ თამაშს აბრალებს (მან სამ მატჩში შვიდი გოლი გაუშვა). მთავარი მწვრთნელის, ტომას შააფის გაშვებას ბრემენელები არ აპირებენ. კლუბში იმედი აქვთ, რომ მეკარის შეცვლით მდგომარეობა გამოსწორდება.

## სიგარეტის მაფია და "შალკე"

მიონხენგლადბახის "ბორუსიასთან" მატჩის წინ "შალკეს" პოლონელი ლეგიონერის, ტომას ჰაიტოს დუისბურგულ ბინაში დეტექტიური ფილმის საკადრისი სცენა გათამაშდა - განთიადისას, როცა ფეხბურთელის მეუღლეს, რენატას, და ვაჟიშვილს, მატოისს, მშვიდად ეძინათ, კარზე ზარის ხმა გაისმა. ტომას ჰაიტო შინ არ იყო - გუნდთან ერთად საწვრთნელ ბაზაზე გახლდათ და მატჩისთვის ემზადებოდა. კარი რენატამ გააღო და გაოგნებული მიაჩერდა დაუპატიჟებულ სტუმრებს: ზღურბლზე პოლიცია იდგა...

სამართალდამცავებმა მთელი სახლი გადააბრუნეს, ყველაფერი გაჩხრიკეს, კარადები, უჯრები, სარდაფიც კი. რას ეძებდა პოლიცია ჰაიტოს ბინაში? როგორც გერმანული პრესა იუწყება, იმ დღეებში დიუსბურგის პოლიციამ დააკავა ხუთკაციანი გერმანულ-პოლონური ჯგუფი, რომელიც უაქციზოო სიგარეტის კონტრაბანდას ეწევა. მერედა, ჰაიტო რა შუაშიაო, იკითხავთ, ალბათ. საქმე ის არის, რომ, თურმე, ბანდის ერთ-ერთი წევრი პოლონელი ფეხბურთელის მეზობელი ყოფილა და პოლიციას ეჭვი აქვს, რომ ჰაიტოც დაკავშირებულია სიგარეტის მაფიასთან... "შალკე" პოლონელს წელიწადში ერთ მილიონ ევროს უხდის და ისეთი რა გაუჭირდა, რომ მაფიასთან დაიჭირა საქმე?

პოლიციამ ფეხბურთელის ბინა მთლიანად გაჩხრიკა და ჰაიტოს პასპორტიც ხელს გააყოლა. ამის მიუხედავად, მეორე დღეს პოლონელმა სრული სიმშვიდით ითამაშა და გლადბახელებს გოლიც კი გაუტანა. ჰაიტოს ბედით "შალკეს" ხელმძღვანელობა სერიოზულადაა შეწუხებული. კლუბის პრეზიდენტი რუდი აუსაუერი აცხადებს, რომ ფეხბურთელს გაჭირვებაში არ მიატოვებს და აუცილებლად დაეხმარება.

## "ლივერპულის" პრობლემები

ჟერარ ულიეს გუნდმა ცოტა ხნის წინ უორტიგტონის თასის ფინალში მრისხანე "მანჩესტერ იუნაიტედი" დაამარცხა და ცოტათი გამოისწორა ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის გამო შერყეული იმიჯი. მერსისაიდული კლუბის ფანებმა თითქოს დაივიწყეს "ლივერპულის" მოულოდნელი მარცხი შვეიცარიულ "ბაზელთან", რის გამოც გუნდი ლიგას დაემშვიდობა და იმედი გაუჩნდათ, რომ ოუენი და კომპანია მომავალ წელს ისევ მოხვდებოდა ევროპული ფეხბურთის უმნიშვნელოვანეს ტურნირზე. მერსისაიდელებმა UEFA-ს თასის მერვედფინალშიც მოახერხეს გასვლა. მოკლედ, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ შვეიცარიელ სტეფან ანშოს ტრავმამ ჟერარ ულიეს ისევ გაუჩინა საფიქრალი.

შვეიცარიელი მცველი "მანჩესტერ იუნაიტედთან" ბრწყინვალედ მოგებულ მატჩში დაშავდა - მარცხენა ფეხის სამთავა კუნთი გაუწყდა და საოპერაციო გახდა. ანშო ულიეს გუნდისთვის უდიდესი ძალაა და მის გარეშე "ლივერპულს", ალბათ, ძალიან გაუჭირდება პრემიერლიგისა და UEFA-ს თასის ურთულესი მატჩების ჩატარება.

## "ლაციო" გადარჩა

როგორც იქნა, UEFA-ს თასის ბოლო მერვედფინალისტიც გაირკვა. ალბათ, გახსოვთ, ერთი კვირის წინ რა ამბავი ატეხა კარაკოვში ჩასულმა რომის "ლაციომ", - ამ საშინელ სტადიონზე როგორ უნდა ვითამაშოთო. UEFA-მ მატჩი გადადო და რომაელებს კიდევ ერთხელ მოუხდათ პოლონეთში გასეირნება.

მატჩის გადადება "ვისლასთვის" საბედისწერო აღმოჩნდა. რომის ოლიმპიურ სტადიონზე სამი გოლის გამტანმა პოლონელებმა საკუთარ მოედანზე კიდევ ერთი სენსაცია ვეღარ მოახდინეს და მერვედფინალში "ლაციო" გავიდა. არადა, მატჩი "ვისლასთვის" ბრწყინვალედ დაიწყო. უკვე მე-4 წუთზე კოუზბამ მარკეჯანის გოლი გაუტანა და კრაკოვის სტადიონი ეიფორიამ მოიცვა, მაგრამ მასპინძელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ჯერ კოუტუმ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი კიეზამ გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. მერვედფინალში "ლაციოს" მეტოქე თურქული "ბეშიქთაში" იქნება.

## "რომა" პატივს მიაგებს თავის ერთგულ გულშემატკივარს



ალბერტო სორდი

მომავალ შაბათს "რომა" თანაქალაქელ "ლაციოს" შეხვდება. გარდა იმისა, რომ ეს მატჩი დერბის მნიშვნელობისაა, ის იმითაც იქნება გამორჩეული, რომ შეხვედრის წინ გულშემატკივრებს ფილმების ნახვის საშუალება ექნებათ.

რომის ოლიმპიურ სტადიონზე გიგანტურ ეკრანს დაამონტაჟებენ და უჩვენებენ ფრაგმენტებს იმ ფილმებიდან, რომლებშიც ლეგენდარული იტალიელი კომიკოსი ალბერტო სორდი იღებდა მონაწილეობას. იტალიური კინოს ერთ-ერთი უდიდესი მსახიობი გასულ კვირას, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ალბერტო სორდი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწორედ "რომას" გულშემატკივარი იყო და კლუბიც, თავის მხრივ, პატივს მიაგებს მას. ჩემპიონთა ლიგის წინა ტურის მატჩში, როდესაც რომაელებმა 3:0 სძლიეს "ვალენსიას", ფრანჩესკო ტოტიმ თავისი ორივე გოლი ალბერტო სორდის მიუძღვნა.

# მიდოზე ნახევარი ევროპა ნადირობს

...თვითონ კი "ბარსელონაში" სურს თამაში

აკა ტონია

ამსტერდამის "აიაქსის" ხელმძღვანელობასა და კლუბის ეგვიპტელი თავდამსხმელის, აჰმად მიდო ჰოსამის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა და მისი გაგრძელება არც ერთ მხარეს აღარ სურს. ის, რომ მიდო სეზონის ბოლოს "აიაქსს" დატოვებს, უკვე გადაწყვეტილია.

20 წლის თავდამსხმელი გუნდის საუკეთესო ფორვარდია. მიმდინარე სეზონის 16 მატჩში მან 9 გოლი გაიტანა, მაგრამ ცივ უარზეა, კარიერა "აიაქსში" გააგრძელოს. "წინადადებები ევროპის თითქმის ყველა წამყვანი კლუბიდან მივიღე. მომავალ წელს, შესაძლოა, "ბარსელონაში" ამოვყო თავი", - ამბობს თავად მიდო.

როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობაც ეთანხმება იმ აზრს, რომ მიდოს გუნდში დარჩენას არავითარი აზრი აღარა აქვს. რამდენიმე დღის წინათ ამის შესახებ ისაუბრა "აიაქსის" ტექნიკურმა დირექტორმა ლეო ბეენჰაკერმაც, რომელმაც განაცხადა, რომ მიდოს მათ კლუბში მომავალი არა აქვს.



მიდო

ცნობილია, რომ გასულ კვირას მიდო არ მივიდა კლუბის სპონსორებთან შეხვედრაზე, რომელზეც ის დაპატიჟეს. ამის გამო ის პირველი გუნდიდან დაითხოვეს და ახალგაზრდულში გადაიყვანეს. ჩემპიონთა ლიგის წინა ტურის მატჩში, ლონდონის "არსენალის" წინააღმდეგ, მწვრთნელმა კუმანმა მიდო კვლავ ძირითად გუნდში დააბრუნა, რამაც ჰოლანდიური პრესის შეშფოთება გამოიწვია. თავად ეგვიპტელმა განაცხადა, რომ პირველ გუნდში ის იმის გამო არ დაუბრუნებიათ, რომ ბოდიში მოიხადა. "ბოდიში არავისთვის მომიხდია და არც ვაპირებ. როცა ბოდიშს იხდი, ეს იმას ნიშნავს, რომ თავს დამნაშავედ გრძნობ. მე კი არაფერი დამიშავებია", - ეგვიპტელის ამ განცხადებამ გამოიწვია ის, რომ იგი კვლავ დააბრუნეს ახალგაზრდულ გუნდში.

იმ ფაქტს, რომ მიდო აუცილებლად წავა "აიაქსიდან", ისიც ამტკიცებს, რომ ამსტერდამული კლუბი უკვე ეძებს ახალ თავდამსხმელს. ცნობილი გახდა, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩთან შესაწყვილებლად "აიაქსს" ჰეერენვეენელი რომანო დენებუმის შეძენა სურს. შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და, სოლიდური საფასურის სანაცვლოდ, "ჰეერენვეენი", ალბათ, დათმობს კიდეც დენებუმს.

ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვა ჰოლანდიაში ჯერ კიდევ შესაძლებელია - სატრანსფერო ფანჯარა იქ მარტის ბოლოს იხურება. ასე რომ, "აიაქსს" ჯერ კიდევ აქვს დრო, ახალი თავდამსხმელი შეიძინოს. ვინ იცის, იქნებ ამსტერდამელები სეზონის დასრულებას არც დაელოდონ და მიდო მარტის ბოლომდე მოიცილონ თავიდან.

# პრემიერლიგა ახალი რევოლუციის მოლოდინში

მიხეილ აბაიშვილი

ინგლისის პრემიერლიგაში მძიმე ფინანსური კრიზისია, რაც კლუბებს მდგომარეობის გამოსასწორებელი გზების ძიებისკენ უბიძგებს. პრემიერლიგის შექმნამდე, ანუ ამ ათიოდე წლის წინ, ინგლისური კლუბები ერთხელ უკვე იდგნენ ფინანსური კრახის წინაშე. მაშინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ შეიმუშავა მდგომარეობის გამოსასწორებელი ბიზნეს-გეგმა, რომელიც რამდენიმე პუნქტისა და ეტაპისგან შედგებოდა. პირველ რიგში, ასოციაციამ კლუბებს რეკომენდაცია მისცა, რომ არა დამოუკიდებლად, არამედ ასოციაციის ეგიდით გაეყიდა ტელეტრანსლაციისა და რეკლამის უფლებები. ამ მიზნით, ლიგა გადაკეთდა პრემიერლიგად, ხოლო ტელეარხები, ტრანსლაციის უფლების მოსაპოვებლად, იძულებული გახდნენ, ერთ რომელიმე კონკრეტულ გუნდთან კი არა, პრემიერლიგასთან გაეფორმებინათ ხელშეკრულება. ამ გზით ინგლისის კლუბებმა სოლიდური შემოსავლები მიიღეს და დაიწყო სატრანსფერო ბუმი. ადრე ალბიონელები ლეგიონერებს, ძირითადად, ბრიტანეთის სხვა ქვეყნებიდან (ირლანდია, უელსი, შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია) იწვევდნენ, რასაც მათი მწირი ბიუჯეტი უმტკივნეულოდ აუდიოდა. ახალმა ფინანსურმა შესაძლებლობებმა, რაც პრემიერლიგის შექმნამ და სატელევიზიო შემოსავლებმა წარმოშვა, ინგლისურ კლუბებს ხელ-ფეხი გაუხსნა და ისინი სატრანსფერო ბაზარზე კონკურენციის უწევდნენ ისეთ აღიარებულ ქვეყნებს, როგორებიც არიან იტალია და ესპანეთი. კვალიფიციური ფეხბურთელების იმპორტის თვალსაზრისით, ინგლისი დღეს ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა მსოფლიო მასშტაბით.

ამის მიუხედავად, სატელევიზიო ქსელში დაწყებულმა კრიზისმა, რამაც არაერთი ტრანსნაციონალური არხი შეიწირა და 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, ინგლისის კომერციულ სატელევიზიო არხებსაც შეუქმნა პრობლემები. შედეგად, სატელევიზიო ტრანსლაციებიდან ინგლისის საფეხბურთო კლუბების ხაზინის შემოსავლები მკვეთრად შემცირდა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კვლავაც დროზე იგრძნო საშიშროება და მდგომარეობის გამოსასწორებლად ორ სიახლეს გეგმავს. ბრიტანული გაზეთის, "გარდიანის" ცნობით, ინგლისის უძლიერესი კლუბების პრეზიდენტთა უახლოეს თათბირზე, რომელიც "ბირმინგემ სიტის" ბოსების ინიციატივით აპრილში გაიმართება, რევოლუციურ გადაწყვეტილებებს მიიღებენ. კერძოდ, გააუქმებენ სატრანსფერო ფანჯრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კლუბებს გახურებული სეზონის დროს ექნებათ ფეხბურთელის შეძენისა და განაცხადში შეყვანის უფლება.

ამას გარდა, მოსალოდნელია, რომ ინგლისური კლუბები ერთმანეთში ფეხბურთელების იჯარით გაცვლის უფლებასაც მიიღებენ. ეს მათ ფეხბურთელთა შეძენით გამოწვეული გიგანტური ხარჯებისგან იხსნის. ხშირად კი ასეთი ხარჯები არ ამართლებს. ერთი სიტყვით, იტალიელებისგან განსხვავებით, რომლებიც ლეგიონერებზე შეზღუდვების დაწესებას აპირებენ, ინგლისელები ყოველმხრივ ხელს უწყობენ კლუბებს ახალი ფეხბურთელების მოზიდვაში, რაც, მათი აზრით, კარგი სატყუარაა გულშემატკივრებისა და სპონსორებისთვის.

# შეზღუდვა იტალიურად

არაევროკავშირელებს იტალიაში აღარ დაედგომებათ

*თავის დროზე კლუბებში უცხოელთა ლიმიტის მოხსნას, მოწინააღმდეგეებთან ერთად, ბევრი მომხრე ჰყავდა. დღეს კი ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ამ გადაწყვეტილებას სულ უფრო მეტი მოწინააღმდეგე უჩნდება. მიუხედავად ამისა, FIFA, ევროკავშირის "წყალობით", რეალურ ნაბიჯებს ვერ დგამს ლეგიონერთა რიცხვის შემცირების საკითხის მოსაგვარებლად და, ეროვნული ფედერაციების დახმარებით, მხოლოდ მცირე რეფორმებს სჯერდება.*

პაატა თოთაძე

ერთ-ერთი ასეთი რეფორმა მომავალი სეზონიდან განხორციელდება იტალიაში. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც კლუბებს არაევროკავშირელ მოთამაშეებზე ლიმიტი დაუწესდათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი სეზონიდან იტალიურ კლუბებს მხოლოდ სამი არაევროკავშირელი ფეხბურთელის ყოლა შეეძლებათ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ფრანკო კარაროს თქმით, ლიმიტი არა მხოლოდ სერია A-ს, არამედ სერია B-სა და სერია C-ს კლუბებსაც დაუწესდებათ. "მომავალი სეზონიდან ჩვენ მკაცრად გავაკონტროლებთ, რომ გუნდებს სამ არაევროკავშირელ ფეხბურთელზე მეტი არ ჰყავდეთ შემადგენლობაში. თუ ისინი ვინმეს შეძენას მოისურვებენ, მაშინ ვილაცა უნდა გაყიდონ", - ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტმა სერჯიო კამპანამ. მისი თქმით, ასეთი გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთის ფედერაციამ ასეთი გადაწყვეტილება FIFA-ს რეკომენდაციით და ქვეყნის ოლიმპური კომიტეტის დაჟინებული მოთხოვნით მიიღო. ის აპირებს, ასეთი ღონისძიებები სპორტის ყველა სახეობაში გაატაროს.




ფრამკო კარარო

ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება განსაკუთრებით არ ესიამოვნათ სამხრეთამერიკელებს. კვალიფიციური და იაფი მუშახელის ძებნაში იტალიური კლუბები უმეტესად სამხრეთამერიკელებს მიმართავდნენ დასახმარებლად, იშვიათად კი - არაევროკავშირელ ევროპელებს.

იტალიელებისგან განსხვავებით, ფრანგები უფრო ლმობიერები აღმოჩნდნენ არაევროკავშირელთა მიმართ და მათ ფრანგულ კლუბებში ნებისმიერი რაოდენობით თამაშის უფლება მისცეს. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას არასწორი უწოდა FIFA-ს პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა. ბლატერის თქმით, არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში რამდენიმე წლის შემდეგ უფრო მეტი უცხოელი ითამაშებს, ვიდრე თავად ფრანგები. "ფრანგები თვითონ იღუპავენ თავს. ვერ გამიგია, რა არის კარგი იმაში, რომ ახალგაზრდა ფრანგ ფეხბურთელებს გაზრდის, კლასის ამაღლების საშუალება არ მიეცემათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფეხბურთის ფედერაცია მათ უმუშევრებს ტოვებს", - განაცხადა ბლატერმა. მოჰყვება თუ არა ფრანგების მხრიდან რაიმე რეაქცია ბლატერის ასეთ გადაწყვეტილებას უცნობია, თუმცა, ლეგიონერთა ლიმიტის დაწესების მომხრეების რიცხვი სულ უფრო იზრდება.

არაევროკავშირელთა ამბავი, ასე თუ ისე, გარკვეულია, მაგრამ რა ვუყოთ ევროკავშირელებს? FIFA ეძებს იმ გზას, რომელიც კლუბებს ევროკავშირელთა ლიმიტსაც დაუწესებდა, მაგრამ ვერაფრით პოულობს. ბლატერი მხოლოდ იმ ქვეყნების მთავრობათა იმედზეა, რომლებიც, FIFA-ს პრეზიდენტის თქმით, "კეთილგონიერებას გამოიჩენენ და თავიანთი ქვეყნის მოქალაქეებს სამუშაოს საძებნელად სხვაგან არ გაუშვებენ".

# "მილანს" კაკას შეძენა სურს

ბრაზილიური პრესა იუწყება, რომ იტალიურ "მილანს" "სან პაულოს" ნახევარმცველის, კაკას შეძენა სურს. სახელდება სატრანსფერო თანხაც: 19,5 მილიონი აშშ დოლარი.

ამბობენ, რომ ეს აზრი "მილანის" ხელმძღვანელებს "სან პაულოს" ყოფილმა ფეხბურთელმა, ამჟამად კი "მილანის" წევრმა, ლეონარდომ მიაწოდა. ცნობილია, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ლეონარდო "მილანის" ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნება. როგორც ჩანს, მან უკვე დაიწყო თავისი მოვალეობის ნაწილობრივ შესრულება და მომავალ კოლეგებს კაკას შეძენას ურჩევს.

თავად კაკა, რომელიც ახლა 20 წლის არის და ბრაზილიის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად მიაჩნიათ, ამბობს, რომ საქმის კურსში არ არის.




კაკა

"წარმოდგენა არა მაქვს რა ხდება, მაგრამ შესანიშნავი იქნება, თუ ლეონარდოსთან ერთად მომიხდა მუშაობა", - განუცხადა მან ბრაზილიელ ჟურნალისტებს.

კაკას შეძენა მრავალ ევროპულ კლუბს სურს, თუმცა, თავად ფეხბურთელი დღემდე ყოყმანობს. "ევროპაში სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ არ ვიცი, მოხდება თუ არა ეს ამჯერად", - თქვა კაკამ.

წავა თუ არა "მილანში", თავად კაკაზე ნაკლებად არის დამოკიდებული. მთავარი ის იქნება, რამდენად მოინდომებს "მილანი" ამ ტრანსფერის განხორციელებას და რა აზრის იქნება "სან პაულოს" ხელმძღვანელობა. ბრაზილიური კლუბის პრეზიდენტმა, მარსელო პორტუგალ გუვეამ განაცხადა, რომ "მილანისგან" ოფიციალური წინადადება არ მიუღია და 20 მილიონ დოლარზე ნაკლებად კაკა ვერსად წავა.

ჭიდაობა

# გრიპი თურქეთშიც გრიპია

*ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე არცთუ ისე დიდი დროა, მაგრამ მაინც საკმარისია იმისთვის, რომ ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა 2004 წლამდე საკუთარი თავი წარმოაჩინონ. ერთ-ერთი გამოსაცდელი ეტაპი ნაკრების პოტენციურმა კანდიდატებმა რამდენიმე დღის წინათაც გაიარეს. "თავისუფლებმა" ანკარის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზეს, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა კი - ტაშკენტში.*

ბიბა ბურასაშვილი

წლეულს ბერძენ-რომაელებსა და "თავისუფლებს" საერთაშორისო სარბიელზე არაერთხელ მოუწევთ გასვლა. მიმდინარე წელი იმითაც არის საინტერესო, რომ შემოდგომაზე ორივე სახეობის წარმომადგენლებს მსოფლიო ჩემპიონატი ელით: ბერძენ-რომაელებს - პარიზში, "თავისუფლებს" – ნიუ-იორკში. პარიზისა და ნიუ-იორკის მსოფლიო ჩემპიონატები იმითაც არის გამორჩეული, რომ იქ საოლიმპიადო ლიცენზიები გათამაშდება. ლიცენზიის დასაუფლებლად კი პირველ ათეულში ადგილის დაკავებაა საჭირო. როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში ამბობენ, ქართველ ფალავნებს ეს არ უნდა გაუჭირდეთ. მანამდე კი წინ ევროპის ჩემპიონატები და მსოფლიო თასია. ეს უკანასკნელი კი, შეიძლება ითქვას, უცხო ხილია ქართული საჭიდაო სკოლისთვის. პირველად ქართული სპორტის ისტორიაში მსოფლიო თასზე ასპარეზობის საშუალება ორივე სახეობის წარმომადგენლებს მიეცათ. 5-6 აპრილს, ბოისში (აშშ), ხალიჩაზე გავლენ თავისუფალი სტილით მოჭიდავეები, ბერძენ-რომაელები კი - 25-26 ოქტომბერს, ალმაათაში. შუალედებში კი საერთაშორისო ტურნირებიც მრავლადაა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ომარ შოშიტაშვილი

რამდენიმე დღის წინ, კერძოდ, 28 თებერვლიდან 2 მარტამდე, თურქეთის დედაქალაქში ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელზეც ქართველი მოჭიდავეებიც იყვნენ მიწვეულნი. ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ზაზა თურმანიძემ, ანკარაში შვიდივე წონითი კატეგორიის 9 ფალავანი წაიყვანა. ორ-ორი სპორტსმენი გვყავდა 55 და 74კგ წონაში. წარმატებას კი მხოლოდ ორმა მოჭიდავემ მიაღწია. თუმცა, თუ გარემოებებსაც გავითვალისწინებთ, არც ეს უნდა იყოს ცუდი შედეგი, მით უფრო, თურქეთში, სადაც დიდი საჭიდაო ტრადიციებია. ისიც სათქმელია, რომ მასპინძლები თითოეულ წონაში 10-12 სპორტსმენით ასპარეზობდნენ. მათ სამი ოქროს მედალი მოიპოვეს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. საქართველოს ნაკრები რომ გრიპის ვირუსით არ დასნეულებულიყო, ვინ იცის, იქნებ თურქებს იმ სამ ოქროშიც შევცილებოდით. თუმცა, ოქროს გარეშე არც ჩვენ დავრჩენილვართ – ჩემპიონი გახდა რევაზ მინდორაშვილი (84 კგ). როგორც მისი პაექრობების თვითმხილველმა, ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა გვითხრა, ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე მას ხუთი მეტოქე ჩამოუცილებია გზიდან, თანაც, სულ იოლად. ასეთივე წარმატებით გამოსულა მძიმეწონოსანი ალექსანდრე მოდებაძესაც, ოღონდ მან ვერცხლის მედალი დაიმსახურა. თუმცა, "საპატიო" მიზეზიც ჰქონია. ფინალის წინ, ისედაც სიცხიან მოდებაძეს, ტემპერატურამ უფრო აუწია და ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ქართველ ფალავანს უარი ეთქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. დანარჩენებმა კი მეოთხე-მეხუთე ადგილები დაიკავეს. მიუხედავად ამისა, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს გუნდმა, თითო "ოქროსა" და "ვერცხლის" მედლით, მეორე ადგილი დაიკავა. მესამეზე კი ბულგარეთის გუნდი გასულა. მეოთხე-მეხუთე ადგილები კი, შესაბამისად, ირანისა და რუსეთის ნაკრებებს დაუკავებიათ. ახლა ქართველი ფალავნები ბაკურიანში გადიან 18-დღიან შეკრებას.

"თავისუფლების" მსგავსად, საერთაშორისო ტურნირზე იყვნენ ბერძენ-რომაელებიც. ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა, ბეგი დარჩიამ, შვიდ სპორტსმენს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. რადგან გუნდი ტაშკენტიდან ბაქოს გავლით დღეს, გამთენიისას ჩამოფრინდა, მათთან გასაუბრების საშუალება არ მოგვცემია. მხოლოდ ის ვიცით, რომ ქართველთა ყულაბაში 96 კგ წონითი კატეგორიის ოქროს მედალია. გამარჯვება რამაზ ნოზაძეს უზეიმია. დანარჩენები უმედლოდ დარჩენილან.

ფორმულა 1

# 2002 წლის მრბოლი – ჯან-კარლო ფიზიკელა

მიხეილ აბაიშვილი

ფორმულა 1-ის პილოტებში ჩატარდა წლის საუკეთესო პილოტის გამოსავლენი გამოკითხვა, რომლის შედეგებიც, შესაძლოა, საკმაოდ უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია: ფორმულა 1-ის 2002 წლის გამარჯვებული, ხუთგზის ჩემპიონი, გერმანელი მიხაელ შუმახერი ვერ გავიდა პირველ ადგილზე. პილოტებმა ჯანკარლო ფიზიკელას მიანიჭეს უპირატესობა. მას "წლის პილოტის" (Driver's Driver of the Year) ტიტული მიენიჭა. ძნელი საფიქრებელია, რომ 30 წლის ფიზიკელა 2003 წლის სეზონის სასტარტო რბოლაში, ავსტრალიის გრან-პრის გათამაშებაში გაიმარჯვებს, მაგრამ ჯილდო ადასტურებს, რომ იგი თავის საქმეში ერთ-ერთი საუკეთესოა.

"ფერარის" ექს-პილოტმა, ჟან ალეზიმ, ბევრი განაცვიფრა, როდესაც წლის საუკეთესო პილოტად დაასახელა ფიზიკელა და არა შუმახერი, მაგრამ როდესაც გამოკითხვის საბოლოო შედეგები გახდა ცნობილი, ალეზის გადაწყვეტილება აღარავის ეჩვენა უცნაურად.

"რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ. "წლის პილოტის" ტიტული ძალიან საპატიოა და ამისთვის ჩემს კოლეგებს დიდ მადლობას ვუხდი. ამ ჯილდოს მიღება ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ფანტასტიკური დღე გამითენდა, სასიამოვნო დღესასწაული მომიწყვეს!" - განაცხადა გულაჩუყებულმა ფიზიკელამ.



ჯან-კარლო ფიზიკელა

2003 წლიდან ფორმულა 1-ში ძალაში შედის ახალი წესები, რომლებიც იმისთვის შემოიღეს, რომ რბოლის შედეგებში გაიზარდოს მოულოდნელობის ელემენტი. ამის მიუხედავად, "წლის პილოტი" და "ჯორდანის" გუნდის წევრი მაინცდამაინც ოპტიმისტურად არ არის განწყობილი. "ახალი წესები ძალიან საინტერესოა და, როგორც გამოცდილ მრბოლს, გარკვეულ უპირატესობასაც მანიჭებს, რაც საკუთარი თავის რწმენას მმატებს. მაგრამ გამარჯვება რომ მოიპოვო, კარგი მანქანაც უნდა გყავდეს. შარშანდელთან შედარებით, "ჯორდანის" ბოლიდი საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ვერ გეტყვით, ფავორიტთა მანქანებს კონკურენციას გაუწევს თუ არა. სამწუხაროდ, გუნდში არ არის ისეთი ფინანსური მდგომარეობა, რომ ბოლიდის საჭირო კონდიციამდე სრულყოფა გახდეს შესაძლებელი", - განაცხადა ფიზიკელამ.

როგორც ნებისმიერი იტალიელი ავტომრბოლი, ფიზიკელაც "ფერარის" გუნდში მოხვედრას ისახავდა მიზნად, მაგრამ ფორმულა 1-ში გატარებული 7 წლის შემდეგ ამის შანსი, პრაქტიკულად, ნულს უტოლდება.

"ეს ჩემი ოცნებაა, ჩემი მიზანი, მაგრამ არ ვიცი... ამის გამო დაღონებულიც ვარ, მაგრამ იმედი მაქვს, ოდესმე მეც მომეცემა კარგი ბოლიდით ასპარეზობის საშუალება. ვინ იცის, იქნებ წლეულს "ჯორდანი" საუკეთესო ფორმაშიც აღმოჩნდეს", - იმედს არ კარგავს ფიზიკელა.

ჩოგბურთი

# ანას სპონსორების დაკარგვის ეშინია

ცნობილი რუსი ჰოკეისტის, სერგეი ფიოდოროვის ამერიკულ გაზეთ "ჰოკეი ნიუზისთვის" მიცემულმა ინტერვიუმ, შესაძლოა, სექს ბომბად მიჩნეულ ანა კურნიკოვას ბევრი უსიამოვნება მოუტანოს. ფიოდოროვმა ისე უდარდელად თქვა, მე და ანა დაქორწინებულები ვიყავითო, რომ, ალბათ, აზრადაც არ მოსვლია, რა უსიამოვნებებს შეუქმნიდა ჩოგბურთის ყველაზე სექსუალურ ვარსკვლავს მისი მოულოდნელი აღიარება.

ანამ თავის ოფიციალურ საიტზე ფიოდოროვთან ქორწინების ფაქტი უარყო და, საერთოდ, ეს თემა დახურულად გამოაცხადა. რუსი ჩოგბურთელი შიშობს, რომ ამ სკანდალურმა სენსაციამ მას, შესაძლოა, სპონსორები დააკარგვინოს. საქმე ის არის, რომ ანას აქამდე ახალგაზრდა, სექსუალური გოგონას იმიჯი ჰქონდა და რეკლამებში მონაწილეობისთვის წელიწადში ათ მილიონ ევროს იღებდა. ანას სპონსორებს კვლავაც თავისუფალი, ყველასთვის საოცნებო გოგონა სჭირდებათ და არა დაქორწინებული ქალი. სწორედ ამიტომ, ოქროსფერთმიანი ანას სერიოზულად დგას სპონსორებისა და, შესაბამისად, მილიონების დაკარგვის საფრთხის წინაშე. ბოლოს და ბოლოს, სარეკლამო საქმიანობა ხომ მისი შემოსავლის თითქმის ერთადერთი წყაროა. ჩვეულებრივ, ჩოგბურთელები პროფესიულ ასპარეზზე მიღწეული წარმატების მიხედვით იღებენ ანაზღაურებას, ანას კი ერთი ტურნირიც არ მოუგია და სპონსორებმაც რომ მიატოვონ, მილიონებს ვინღა გადაუხდის?

ისტორიული ფოტო

# ეს იყო 41 წლის წინათ...



1962 წლის 1 ივნისი, ჩილე.
იტალიის ნაკრების ფეხბურთელი
ომარ სივორი.

კრივი

# როი ჯონსი: "მაჩვენეთ ფული!"

კრივის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ როი ჯონსის უნიკალური მიღწევის შესახებ. ერთ დროს საშუალო წონის ჩია მოკრივემ WBA-ს ვერსიით სუპერმძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გადამწყვეტ ბრძოლაში ჯონსმა ქულებით დაამარცხა რუისი. ამ ფაქტს იმდენად დიდი რეზონანსი ჰქონდა, რომ კრივის სამყარო როი ჯონსის გამარჯვებას დღემდე აანალიზებს. შეგახსენებთ, რომ 1985 წლის შემდეგ ჯონსი პირველი მოკრივეა, ვინც მსოფლიო ჩემპიონის წოდება უფრო მაღალ წონით კატეგორიაში მოიპოვა. ამის შემდეგ კრივის სამყარო იმაზეც ალაპარაკდა, რომ როი ჯონსს უმაღლეს დონეზეც მოესინჯა ძალები.

ჯონსის შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა უკრაინელმა ვლადიმირ კლიჩკომაც. თუმცა, სხვებისგან განსხვავებით, მან ჯონსს ურჩია, მძიმეწონოსნებს აღარ გადაეყაროს. "მე, რასაკვირველია, მესმის, რომ კრივი შოუბიზნესის ნაწილია, - ამბობს ვლადიმირ კლიჩკო, რომელიც შაბათს სამხრეთაფრიკელ რონი სანდერსთან იჩხუბებს, - მისტერ ჯონსი თავის იმიჯს კარგად იყენებს, მაგრამ თუ ის უმაღლეს წონით კატეგორიაში გადავა, უბრალოდ, სცემენ. მას არავითარი შანსი არა აქვს არც ლუისისა და არც მაიკლ გრანტის წინააღმდეგ".

სხვათა შორის, კრივის მოყვარულებს საშუალება ექნებათ, როი ჯონსისა და ვლადიმირ კლიჩკოს შესაძლებლობები ერთმანეთს შეადარონ. ამერიკული სატელევიზიო არხი "ნვო" საინტერესო ექსპერიმენტს გეგმავს: კლიჩკო-სანდერსის ორთაბრძოლის დროს ჯონს-რუისის ჩხუბის ფრაგმენტების ჩართვას აპირებს.

ექსპერიმენტი ექსპერიმენტად, მაგრამ, როგორც ჩანს, თავისი შესაძლებლობების შესახებ როი ჯონსმა თავადაც კარგად იცის და კლიჩკოს დარიგება არ სჭირდება. ამერიკელი Fox Sports-ის ეთერით გამოსვლისას ჯონსმა განაცხადა, რომ სუპერმძიმე წონაში მისი შემდგომი მოღვაწეობა ჰონორარებზეა დამოკიდებული. "თუ ჰონორარი ადეკვატური იქნება, რინგზე გამოვალ, - განაცხადა ჯონსმა, - ხოლო თუ არასაკმარისი თანხა შემომთავაზეს, უბრალოდ, მძიმე წონაში დავბრუნდები. ვფიქრობ, ეს ძნელი გასაგები არ უნდა იყოს". როი ჯონსმა მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეებზეც ისაუბრა.

**კრის ბერდზე:** "მის შესახებ ჯერ ვერაფერს გეტყვით. სუპერმძიმე წონაში ჩემი შემდგომი ჩხუბი ძალიან ძვირი ეღირება. როცა რუისის წინააღმდეგ ვიჩხუბე, ტელემაყურებლებს ჩემს ხარჯზე სანახაობა ვაჩუქე, ანუ ჩემს ხარჯზე გაგიმასპინძლდით. ამიერიდან ჩემი მომსახურება ფული ეღირება. ამიტომ, თუ ბერდი, ან ვინმე მისი მსგავსი, ჩემთან ჩხუბს დააპირებს, ჯერ ჰონორარზე უნდა შევთანხმდეთ".

**მაიკ ტაისონზე:** "კრეტინი უნდა ვიყო, ტაისონთან ჩხუბზე რომ დავთანხმდე. მარტო ამის გაფიქრებისთვის 50 მილიონი დოლარი მეკუთვნის. ტაისონი უსაზღვროდ კარგი მოკრივეა. საქმე ის კი არ არის, რომ ტაისონს ვერ დავამარცხებ - მსოფლიოში არ არსებობს მოკრივე, ვისი დამარცხებაც არ შემიძლია. უბრალოდ, რინგზე გამოსვლისას, წონითი კატეგორიის მიუხედავად, ყოველთვის ვრისკავ, შემდეგ ჩემს რისკს ვაფასებ და თანხას ვითხოვ. მეტოქემ კი საპასუხო თანხა უნდა დაასახელოს. ტაისონის შემთხვევაში ეს სწორედ ასე იქნება".

**ლენოქს ლუისზე:** "დახატეთ 7-ნულიანი ციფრი, დაუსვით დოლარის აღმნიშვნელი და მას გაუგზავნეთ".

თუ თქვენი ქალაქის ტელეფონი იწყება რიცხვით 25 და გსურთ, რომ თქვენი მობილურის ნომერი ემთხვეოდეს სახლის ნომერს, მიაკითხეთ ჯეოსელის მომსახურების ოფისს მისამართზე: გამსახურდიას 24 და წარადგინეთ ცნობა ქალაქის სატელეფონო ქსელიდან.

იჩქარეთ! აქცია ძალაშია ა.წ. 25 მარტამდე. რის შემდეგაც ნომრები გაიყიდება ჩვეულებრივი წესით.

25....

დამატებითი ინფორმაციისათვის მიაკითხეთ ჯეოსელის მომსახურების ოფისებს ან დაგვიკავშირდით ნომრებზე (822) 770177 და 928.

ჯეოსელი

GEOCELL

კომპანია ჯეოსელი უფლებას იტოვებს შეცვალოს აქციის მოქმედების თარიღი.

# "სუხია-2003"




საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია და კავშირი „სუხია" აწყობენ შეჯიბრს სამთო-სათხილამურო სპორტში - „სუხია - 2003". შეჯიბრის გენერალური სპონსორია კომპანია „ჯეოსელი". სპონსორები: მაკა ასათიანი და „ვულე ვუ". საინფორმაციო მხარდაჭერა - ტელეკომპანია მე-9 არხი, რადიო „ფორტუნა".

**სტარტი - გუდაურში, 8 მარტს 12 საათზე.**

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## ა ც ხ ა დ ე ბ ს

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების ქვითარი

მიიღება მხოლოდ კერძო პირების განცხადებები

ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვასწავლი, მომსახურება, სამუშაო, მკურნალობა

უფასო განცხადებების ქვითარი მოიტანეთ სარეკლამო სამსახურში ვაჟა-ფშაველას 45, სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა 12
გაურკვევლად დაწერილი განცხადებები არ გამოქვეყნდება

სამედიცინო ხასიათის განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება

7.03.03 N-64

# აფიშა

## საკონცერტო დარბაზები

**■ აჭარა მიუზიკ ჰოლი**
კლუბის ბენდის კონცერტი
კლუბის დი-ჯეების დისკოთეკა
დას: 20 სთ; ფასი ბიჭები 20 ლარი, გოგონები - უფასო

## თეატრები

**■ რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**■ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ბადრი მაისურაძის (დიდი თეატრი, მოსკოვი) გასტროლი
ჯუზეპე ვერდი "ბალ-მასკარადი", ოპერა ოთხ მოქმედებად
დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე
დას: 18:00 სთ

**■ მარჯანიშვილის თეატრი**
"ხელოვნება", რეჟ: თემურ ჩხეიძე, როლებში: მიხეილ გომიაშვილი, ზურა ყიფშიძე, ალეკო მახარობლიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3-5 ლარი

**■ სამეფო უბნის თეატრი**
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი
"მერე რა, რომ სველია სველი იასამანი", რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 სთ; ფასი 4-7 ლარი

**■ თავისუფალი თეატრი**
"პროვოკაცია", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**■ თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 10 ლარი

**■ თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**■ პანტომიმის თეატრი**
"სტუმარ-მასპინძელი", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**■ უნივერსი**
მამუკა მიქელაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**■ ორიენტი**
"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

**■ ქარვასლა**
შვეიცარიელ მხატვართა ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
დავით იაკობაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

**■ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**■ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ზამთარი ქართველი მხატვრების შემოქმედებაში"

**■ ეროვნული გალერეა**
თემო გოცაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

## კინოთეატრები

**■ "ამირანი"**
"სიმონა"
დას: 14:00; 19;00; 21:30; ფასი 5-8 ლარი
"ზარი"
დას: 16:30 სთ; ფასი 7,8 ლარი

**■ "ელისო"**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუე ყველა"
დას: 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სოლარისი"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

**■ "რუსთაველი"**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 17;00; 22:00; ფასი 7,9 ლარი
"სოლარისი"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

იყიდება კეთილმოწყობილი 100 კვ.მ. კერძო სახლი ბაღით ბაგებში. ფასი 30 000. 23 59 18

იყიდება 500 კვ.მ. ფართობის საკუთარი სახლი ავეჯით და ავტომობილით ნავთლუღში. 8(99) 14 68 25

იყიდება ოთხოთახიანი ბინა მიცკევიჩზე, ახალაშენებულ კორპუსში, მე-9 სართ. 93-91-91, 899 19-55-19.

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

ვიქირავებ იზოლირებულ ბინას დიდუბის ან დ/მასივის ტერიტორიაზე ტ: 34-27-84, 899 977975.

ვიგირავებ ბინას 1000 $-ის ფარგლებში. 60 66 28, 8(93) 24 19 24 ვახო, 8(77) 74 58 70 ელისო

## მანქანები

**იყიდება !**
**ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$**
**ტელ: 899 16 28 68**

## სწავლება

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559

შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას. ფასი 15 ლარი. მეცადინეობა ინდივიდუალური მეთოდით. 98 80 23 ნიკო

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

ვარ 24 წლის, პროფესიით ჟურნალისტი. ვფლობ კომპიუტერის საოფისე პროგრამებსაც. გთხოვთ გამომეხმაუროთ. 76 26 43, 8(99) 15 69 02 ნანა

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავებაში. ალმაშენებლის 72/2. 23 70 91, 94 66 24, 8(77) 71 05 90

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ თანხების სესხება-გასესხებაში დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ალმაშენებლის 72/2. 23 70 91, 94 66 24, 8(77) 71 05 90

ორხევის N16-ში, პროფილაქტიკაში აწარმოებენ ყველა სახის იმპორტული მიკროავტობუსების ჭერის ამაღლებას. 899 292358,

გეპატიჟებათ კაფე-რესტორანი „იმედი"
გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.
სანდრო ეულის ქ. 1.
8(93) 21 76 12

**სავენახე რკინა-ბეტონის ახალი ბოძები და ლუზები. მოთუთიებული და სპეციალურად ქიმიურად მდგრადი პოლიმერით დაფარული მავთულები.**
ტ/ფაქსი 94 27 15, 94 26 47

**სიახლე!**
**გთავაზობთ ყველა უცხოური ავტომობილის სამუხრუჭე ხუნდების (კალოტკების) აღდგენას ქარხნული წესით (გარანტიით) ადგილზე მომსახურებით. დაზოგეთ დრო და ფული**
**9.00-2.00-სთ-მდე**
**მის: დიღომი, კინოსტუდიის ავტოფარეხი.**










# TV პროგრამა 7 მარტი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „საბედისწერო ქალი"
02.30 მხ. ფილმი „ბუმია გრუნდება"
04.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მხ. ფილმი „დედოფალი მარგო"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 „ნაშუადღევს"
14.05 „მხოლოდ კლასიკა"
15.15 მხ. ფილმი „ქალები და მამაკაცები"
16.35 დოკ. სერიალი „პალიტრა"
17.10 50-50
17.45 „ზუმი"
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „საგნების ისტორია"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ენა დედაა ერისა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 „მრავარსახეობა"
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „დღის ბოლოს"
00.00 მხ. ფილმი „შესანიშნავი"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. მიქსი მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი"
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 რუსული მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 პაპარაცი
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „ზღვარზე"
02.15 ფილმი ღამურა „ხანგრძლივი კოცნა ძილის წინ"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 საქართველო არის ესე
21.00 დოკ. ფილმი
21.30 აფხაზეთის ტელევიზია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ამფეთქებელი"

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.35 მხ. ფილმი „მზის დევნაში"
12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10 მხ. ფილმი „ჰადსკერის ხელქვეითი"
14.30 დოკ. ფილმი
15.20, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
16.20 მულტფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.30 „ნათელი სახეები"
20.00 მხ.ფ. „უილგლოთა კლუბი"
22.00 დიალოგი
00.55 მხ. ფილმი „სახელგანთქმული"
02.10 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.00 რუსული ენის გაკვეთილი
11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 მუსიკალური კოლაჟი
12.30, 22.00 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „მომავალი"
20.00 ტელესერიალი „ჩრდილოეთი-სამხრეთი"
21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება
22.30 „გამარჯობა"
23.15 ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი „ურჩხული"

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ გოძილა"
14.30 მხ. ფილმი „სიჩქარე 2"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „გენერალი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „მაშველი"
23.30 მხ. ფილმი „რაშია საქმე დოკ"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.55, 23.40 მუსიკა
10.00 მულტსერიალი „ალექსი"
10.30 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
12.35 მხ. ფილმი „კოლეჯი"
14.15 „ჩემი ქვეყანა"
14.45 დოკ. ფილმი „მე რომ თქვენ მიყვარდეთ მარტო ეს არ მინდა" 1-ლი ნ.
15.15 დოკ. სერიალი „ცხოვრებისეული გამოცდილება"
15.45 მხ. ფილმი „დარტყმის ზონა"
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
18.40 მულტსერიალი „ალექსი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 დოკ. ფილმი „მე რომ თქვენ მიყვარდეთ მარტო ეს არ მინდა" მე-2 ნ.
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ. ფილმი „უკვდავნი"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „უცნაური რომანი"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.30 დოკუმენტური ფილმი
10.00 საბავშვო ფილმი „ადგილების შეცვლა"
12.15 ფილმი-კატასტროფა „რვაფეხა"
13.50 დოკუმენტური ფილმი
14.00 დრამა „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი"
15.50 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი
17.30 კომედია „ბრილიანტის პოლიციელი"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.15, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.20 Пресс-папье
19.25, 22.55, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.00 სათავგადასავლო ფილმი „ექვსი დღე და შვიდი ღამე"
22.40 Пресс-папье
22.50 „გალერეა"
23.05, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.15 „ალტერნატივა" საავტორო გადაცემა
01.00 მხატვრული ფილმი „ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება"
02.35 დოკუმენტური ფილმი
03.30 თრილერი „მხედარი გვიახლოვდება"

### VII არხი

09.15 მელოდია
09.35 „აჩიკუდა"
10.00 კომპიუტერული ტექნიკა
10.40 „ბიორითმი" - ოლეგ გაზმანოვი .
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.45 მობილურები
12.25 დისნეი და მისი მეგობრები
12.50 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
13.25 „მელოდია"
13.50 კომპიუტერული თამაშები
14.00 „მელოდია"
14.10 აუდიო-ვიდეო-ტელე
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.30 ამინდის პროგნოზი
19.35 ჰოროსკოპი
19.40 კომპიუტერული თამაშები
19.45 „ობიექტივი" -სტუმარი
20.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
21.00 მელოდია
21.30 აუდიო-ვიდეო-ტელე
22.10 რაგბი - ზე12 - ველინგტონი -კეიპტაუნი
23.40 „კინოკლუბი „ - „ფანატი".
01.35 სპორტი
01.40 მობილურები
02.20 ბიორითმი" - ოლეგ გაზმანოვი

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.10 Худ.фильм „Следующий" („Next 2")
11.50 Человек и закон
12.40 Док.сериал „Твинисы"
13.15 Худ.фильм „Семь стариков и одна девушка"
15.00 „Новый день". „Таинство обета"
15.30 „Новый день". „Короли смеха". Леонид Енгибаров
16.15 Док.сериал „Дикие штучки"
16.50 Сериал „Ключи от смерти"
18.00 „Большая стирка"
19.25 Док. детектив „Дуэль на Северном Клондайке"
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
20.50 „Поле чудес"
22.00 Время
22.35 „Фабрика звезд 2"
00.05 Комедия „Любовь зла"
01.30 „Дибров-party: Девичник"
02.45 Комедия „Женщина в красном"

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал „Леди Мэр"
10.40 Сериал „Кобра". „Замороженный транзит"
11.40, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20 „В поисках приключений"
13.20 Сериал „Титаны"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Мусульмане
14.45 Вести-Москва
15.20 Моя семья
16.15 Комната смеха
17.15 Сериал „Простые истины"
18.20 „Сам себе режиссер"
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Аншлаг
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Бенефис И. Николаева
01.30 Худ.фильм „Город ангелов"
03.45 Дорожный патруль НТВ
07.00 Утро на

### НТВ

10.00 Сериал „Скорая помощь 7"
11.00 Сегодня утром
11.25 Драма „Преступление и наказание"
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Шоу Е. Степаненко"
13.05 Сериал „Вечный зов", 4 с.
14.25 „Модель сверхчеловека". „Профессия - репортер"
14.45 Криминал
15.05 „Без рецепта"
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Принцип „Домино"
18.10 Сериал „Бандитский Петербург"
19.20 Команда.ru
20.35 „Свобода слова"
21.55 Боевик „Живи и дай умереть другим"
00.15 „Все сразу!"
00.50 Худ.фильм „Вход и выход"
02.30 Сериал „Доктор"
03.35 Ночь



# რა გაანათებს „ოსკარების" ღამეს



ევა ჰერციგოვა



ნაომი კემპბელი



ჯენიფერ ლოპესი



კეტრინ ზეტა ჯონსი

REUTERS

"ძვირფასეულობის ცოდნის გარეშე ქალი დაღუპულია", - ურჩევს დეიდა ალისია ახალგაზრდა ქალებს. ეს ელეგანტური, ხანდაზმული მანდილოსანი სამკაულების ძველი ექსპერტია. მას ძვირფასეულობის დიდი ზარდახშა აქვს, რომელშიც ათასგვარი წონის, ფორმისა თუ ფერის სამკაულს – ულამაზეს ბრილიანტებს, ლალებს, საფირონებს და მარგალიტებს სათუთად ინახავს. მისი აზრით, ძვირფასეულობის ცოდნა ყოველი ქალისთვის აუცილებელი საქმეა, რადგანაც დახვეწილ მანდილოსანს ნამდვილად უნდა შეეძლოს, ერთმანეთისგან ტოპაზისა და ბრილიანტის გარჩევა.

დეიდა ალისიას რჩევა მართლაც სულ უფრო გასათვალისწინებელი ხდება. ეს იმიტომ, რომ სპორტული სტილის პარალელურად ბრილიანტების მოდა თანდათან ისევ აქტუალური ხდება. ბრილიანტები ახალ ამბებსაც ქმნიან. მაგალითად, ბულვარული პრესა ერთი კვირის განმავლობაში საუბრობდა იმ ძვირფასი ბეჭდის შესახებ, რომელიც ბენ აფლეკმა თავის საცოლეს, ჯენიფერ ლოპესს უძღვნა. ეს გახლდათ ვარდისფერი ბრილიანტის ულამაზესი ბეჭედი. თუმცა, ჩვეულებრივი ადამიანები ამხელა ფუფუნებაზე ოცნებასაც ვერ ბედავენ. ფერადი ბრილიანტები ხომ ძალიან იშვიათია და ამიტომ ასტრონომიულ თანხადაც ფასობს.

რაც შეეხება ძვირფასი ქვების ფორმებს, აქაც ახალ ღირებულებებს ვაწყდებით. ყველაზე გავრცელებულ ფორმად ისევ კლასიკური მრგვალი ან კვადრატული ბრილიანტები რჩება. ნიშნობისთვის ნაყიდი ბეჭდების 52 პროცენტსაც მრგვალი ფორმა აქვს. ბოლო მონაცემებით, არანაკლებ პოპულარულია ბრილიანტის ოთხი სახის ფორმა: ოვალური, მარკიზის, გულისა და ცრემლის.

ასე რომ, სხვადასხვა ელიტარულ ღონისძიებებზე ცნობილი სახეები თავს ძვირფას ჩასაცმელთან ერთად სამკაულებითაც იწონებენ. ეს ტენდენცია დაიწყო შარშანდელი შემოდგომიდან, როდესაც "ვოგის" მოდის დაჯილდოების ცერემონიალი ჩატარდა. მაშინ ვარსკვლავები მოდის ჰორიზონტზე ათასგვარი ახალი ფორმის ძვირფასი ქვებით გამოჩნდნენ, შემდეგ იყო "ოქროს გლობუსი", "გრემის" ცერემონიალი, ბრიტანული და ფრანგული კინოს დაჯილდოების შოუები... – მოკლედ, ძვირფასეულობის კოლექციების შესავსებად ვარსკვლავებს მიზეზი არ დაელიათ. ახლაც ისინი 23 მარტისთვის ემზადებიან. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ კინო-აკადემიის 75-ე ცერემოანილი "ოსკარის" ბრილიანტის იუბილეც გახლავთ. ამიტომაც ამ დღეს ძვირფასი ქვებით მორთვას თავისებური სიმბოლური დატვირთვაც ექნება.

მაშ ვინ არიან ამ ლამაზი ბრილიანტების პატრონები? კეტრინ ზეტა ჯონსს ათ კარატიანი მარკიზის ფორმის ბრილიანტის ბეჭედი აქვს. ჯოან კოლინზს გულის ფორმის ბრილიანტის ბეჭედი აქვს, ჯენიფერ ლოპესს – გულის ფორმის მძივი, გვინეტ პელტროუს, ლიზა ქუდროუსა და ბრიტანი მერფის კი – ცრემლის ფორმის მძივები. ტონი ბრექსტონს ოვალური ფორმის ბრილიანტის ფორმის ბეჭედი აქვს, რომელსაც გულის ფორმის ქვები ახლავს თან. ასევე ოვალური ფორმის ბეჭედი აქვს დებრა მესინგსაც. მომღერალ ივს კი – მარკიზის ფორმის მძივი. "ცნობილი ადამიანები ერთობიან ამით", - ამბობს მორისონი. ფორმები კარგად ასახავენ მათ პიროვნებას და ისინიც ძვირფასეულობას სწორედ იმიტომ მიმართავენ, რომ უკეთ გადმოსცენ თავიანთი "მე".

ახლა, ასევე მოდაში შემოვიდა ბალიშის ფორმის ბრილიანტი. ეს სრულიად ახალი და უცხო რამ არის. მას ოთხი კიდე აქვს, მაგრამ არც ოთხკუთხედია და არც კვადრატული. ამ ბრილიანტს უკეთ შეუძლია შუქის გამოსახვა – იგი თავად არის სინათლის განსახიერება. მორისონის თქმით, სწორედ ასეთი ნათელი სხივებით იქნება სავსე "ოსკარის" ღამე. "ალბათ, ცნობილი ვარსკვლავები ამ საღამოსთვის კაბასა და ძვირფასეულობას ერთდროულად აირჩევენ. ან კიდევ შეიძლება, ბრილიანტების შეძენაზე უფრო ადრეც დაიწყონ ფიქრი".

## სკანდინავიური კროსვორდი




N63-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი:

კრიმინალი; ფოლიანტი; ერქომაიშვილი; მადრიდი; როსტერი; კამიკაძე; გაბრიაძე; მულინე; მოენე; რაბი; კომენტატორი; ვიზა; მარკიზი; ანტრესოლი; ტატამი; კაიზერი; უზნაძე; ბოინგი; ბუსოლი; ბია; მორტირა; ტივი; აბისინია; სმენა; მერანო; კარნავალი; მეტრონომი; პატრონომია; ანეროიდი; მარკეტინგი; მარიტა; მიმოზა; ალდაგი; ლაერტი; სმეტანა; ავარია; ტინტორეტო; რეკორტანი; ტალეირანი; ოდეონი; დემოკრატია; მენოტი; არია; ლოკომოტივი; ლაზიერი.


თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში